



ეკადი წერილის სახელმავის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ISSN 15112-09-53

მროვალი ტ. IV (38)
საბუნების მეცნიერებები - გათმამატიკურ
მათემატიკა სერია

WORKS V. IV (38)
THE SERIES OF SCIENTIS
AND MATHEMATICS



აკაკი თერთლის სახელობის ქათათის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

KUTAISI AKAKI TSERETÉLI STATE UNIVERSITY

ISSN 15112-09-53

მოგვარი გ. IV (38)
საბურგოს მათემატიკა-მათემატიკურ
მეცნიერებათა სერია

WORKS V. IV (38)
THE SERIES OF SCIENTIS
AND MATHEMATICS

ქათათი
2004

მთავარი რედაქტორი - პროფესორი ავთანდილ ნიკოლებიძე

მთავარი სარედაქციო საბჭო: ვახტანგ ამაღლობალი (საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დაწეს პროექტორი), პროფესორი რიმარ გილირბეგი (ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი იორნიკე ეფრემიძე (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), შალვა პირმიაძე (გამომცემლობის დირექტორი), პროფესორი რმარ ლანჩავაძე (სასწავლო და სამეცნიერო დაწეს პროექტორი), პროფესორი გილირბეგი რნიანი (საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი ლევან სვანიძე (სოციოლოგიურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), ლოცენგი შარმინი ქასპარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პროფესორი გერამ ჩაჩანიძე (პედაგოგიკურ და მეთოდიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), ნატო წელებისპირი (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მდივანი).

სერიის რედაქტორი - პროფ. გილირბეგი რნიანი

სარედაქციო კოლეგია: ლ. გვეტაძე, პროფ. თ. გრძელიძე, ლოც. ი. ერემეევიძე, პროფ. თ. ეფრემიძე, ლოც. რ. თუთებრიძე, ლოც. თ. ლობჟანიძე, პროფ. ა. მახარაძე, ლოც. თ. ნადირაძე, ლოც. ა. ნანავა, ლოც. გ. ა. ონიანი, ლოც. რ. საკანდელიძე, ლოც. თ. სურგულაძე, პროფ. თ. გონია, პროფ. თ. ლიბრაძე, ლოც. გ. ჩირაძე, ლოც. თ. ჩხეიძე, ლოც. შ. ჯინჯოლია, ლოც. ბ. ჭუმბურიძე.

გერადი პერიოდი, გერამი ზრდისას შევიტი

გაგურ-სიტაური ნაკადების პილოტინამიკური
პარამეტრების კვლევის თანამედროვე მდგრადებელი

I ორგანიზაციის ნაკადების სტრუქტურა

ცნობილია რომ, ორფაზიანი ნაკადების სხვადასხვა გეომეტრიულ არჩებში დინებისას ადგილი აქვს სხვადასხვა სტრუქტურებს, რომელიც განისაზღვრებიან ფაქტორების დიდი რიცხვით, ისეთებით როგორიცაა ფაზის მოცულობითი კონცენტრაცია, მათი ფიზიკური თვისებები, ფაზათა სიჩქარე, ქიმიურ რეაქციებში ფაზური გადასვლების არსებობა და სხვა. დინების ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება ფაზების ურთიერთებები, მათი ფარდობითი მოძრაობა, სითბოსა და მასათა ცვლის მახასიათებლები, ფაზების გაყოფის ზედაპირი, სითბოცვლის კრიზისის დადგომის პირობა, პიდ-რავლიკური წინაღობა და სხვა.

ორფაზა სისტემებში დინების მრავალფეროვანი რეჟიმების დროს შეიძლება გამოყოფილი შემდეგი ძირითადი რეჟიმები, რომლებსაც ადგილი აქვთ ვერტიკალურ არჩებში: ბუშტოვნი, ჭურვისებური, დისპერსიული, დისპერსიულ-წრიული. ბუშტოვნი დინებისას სითბოს ნაკადში გაზური ფაზა განაწილებულია ცალკეული ბუშტულების სახით, გაზის ბუშტულებს შეუძლიათ შეერთება და დანაწევრება. თუ შეერთების პროცესი ხდება დანაწევრების ზემოთ, მაშინ ადგილი აქვს ბუშტულების ზომების გადიდებას და მათ შეუძლიათ მთლიანად დაიკავონ არსის თითქმის მთელი კვეთი და მიიღონ ჭურვისმაგვარი ფორმა, მათ შორის სივრცე აქცენტული აღმოჩნდება წვეთებითა და გაზური მცირე ბუშტულებით. სწორედ ასეთ რეჟიმს უწოდებენ ჭურვისებურს.

გაზშემადგენლობის მოცულობის შემდგომი გაზრდისას მიიღობა დინების დისპერსიულ-წრიული რეჟიმი, რომლის დროსაც არჩები მიედინება წრიული თხევადი ფენა, ხოლო ნაკადის ბირთვში მიედინება გაზი მასში სითბოს წვეთების დისპერსირებით. გაზური ბირთვისა და თხევადი ფენის დინამიკური ურთიერთებების შედეგად ფენის ზედაპირზე წარმოიქნება ტალღები, რომელთა თხემებიდან ადგილი აქვს წვეთების მოწყვეტის. იმავდროულად ნაკადის ბირთვის წვეთების ნაწილი ტურბულენტური დიფუზიის გავლენით დასხდებიან ფენაზე. თუ არხი გაზურებულია, მაშინ ბუშტულფარდებულისას

წარმოებს სითხის ფენიდან ტენის დამატებითი წარტაცება და ასევე ტენის აორთქლება ფენის ზედაპირიდან. ფენის სრულად გაქრობის შემთხვევაში დგება დისპერსიული რეჟიმი, რომელიც ხასიათდება არხის მთელ კვეთაზე ნისლის ნაკადის წარმოქმნით.

პორიზონტალურ და მცირედ დახრილი მიღების შემთხვევაში გრავიტაციული ძალების ზემოქმედებით წარმოებს ფაზების დალექცა და ამ მომენტში შეიძლება გამოყოფო დინების შემდევი ძირითადი რეჟიმები: ბუშტოვანი, საცობისებრი, განშრევებული, ტალღური, ჭურვისებური და დისპერსიულ-წრიული.

პორიზონტალური დინებისას ბუშტოვანი რეჟიმი ხასიათდება არხის ზე და ნაწილში ბუშტების კონცენტრაციის ტენდენციით: საცობისებრი რეჟიმისას მსხვილი ბუშტები ჭურვების სახით მოძრაობებს მიღის ზედა მსახველის გასწვრივ გაშრევებული რეჟიმი ხასიათდება ფაზის სრული განფენებით, რომლის დროსაც სითხე მოძრაობს მიღის ქვედა ნაწილში, გაზი კი ზედა ნაწილში, ე. გაზი-სითხის ზედაპირზე, გაზის სიჩქარის გაზრდისას წარმოიქმნება ტალღები და დინება გადადის ტალღურში. როცა ტალღის ამპლიტუდა ისე გაიზრდება, რომ იგი შეხებას იწყებს არხის ზედა მსახველთან, დგრება ჭურვისებური რეჟიმი, რომელიც ხასიათდება ტალღური განფენილობით.

მთელი რიგი შრომებისა მიძღვნილი გაზური ბუშტულების დინამიკის შესწავლას მცირე გრავიტაციისა და უწონობის პირობებში, რომლის დროსაც უკვე დგება საკითხი მართვადი ვიბრაციულიული ზემოქმედების მიზან-შეწონილობისა და მისი პერსპექტივების შესახებ მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებში.

ასევე მრავალი შრომები მიეძღვნა დიდი გაზური სიღრუების დინამიკის გამოკვლევას სხვადასხვა სიძკრივის მერხევ სითხეებში.

მრავალ ტექნოლოგიურ პროცესებში სითხის გადადგილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს. რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დისპერსიულობის პროცესების ეფექტურობაზე; ექსტრაქციაზე, სითბოვადაცემაზე, ქიმიურ რეაქციებზე და სხვ. ერთი მხრივ სითხის გადადგილების პროცესი წარმოადგენს საგანგებოდ როტულს, ადექვატური მათემატიკური მოდელი-რებისა და მეცნიერით თეორიული ანალიზის თვალსაზრისით. ზოგიერთ შრომებში მოყვანილია ზოგიერთი შესაძლო მექანიზმების აღწერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სითხეში ქაოსური მოძრაობას ვიბრაციული ზემოქმედების პირობებში. ამის გამო, გაზური ბუშტულების ქაოსური გადადგილება სითხეებში აისხნება წონასწორული დონეების არსებობით, რომლის ქვემოთაც წარმოებს ბუშტულების წარტაცება და ჭურჭლის ფსკურისკნ მოძრაობა. ამ დონის თავისუფალი ზედაპირიდან განცალკევდა უკუპროპორციულია სითხეში ვიბრაციული აჩქარების კვადრატისა, რომლის სიდიდეც განისაზღვრება სითხე-გაზი სისტემის რეზონანსული მახასიათებლებით. სისტემის გადაწყობის მექანიზმის გადიდება, რომელიც წარმოებს გაზის ბუშტულების

ნაკადებთან მიერთებით, იწვევს წონასწორული დონის დაშვებას ჭურჭელის ფსკორისკენ. ამის გამო ადგილი აქვს გაზის ბუშტულების ნაწილის ამოცულების ტივებას, რომელიც იწვევს სისტემის რეზონანსულ რეჟიმზე გადასვლას. ამ რეჟიმში წარმოებს წონასწორული დონის მიახლოება თავისუფალ ზედაპირთან და ამის კვალობაზე წარმოიშობა ზონაში დიდი რიცხვი ბუშტულების ჩატერის პირობები. ჩატერის ასეთი დონის "გადაადგილებებს" შეუძლიათ პერიოდული განმეორება და როგორც გაზური ბალიშის, ასევე სითხის მოძრავი ბუშტულების მუდმივობის შენარჩუნება.

უნდა შევნიშნოთ, რომ მრავალ ანალოგიურ შრომებში უარყოფილია გამოკვლევები სისტემის პარამეტრებისა და გარეგნი აღვზნების პარამეტრების რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ, რომლის დროსაც რეალიზდება გაზურ-სითხური გარემოს გადაადგილების რეჟიმი.

ვიბრაციული ზემოქმედების კონკრეტული პარამეტრების განსაზღვრას მიეღღვნა განივის შრომები, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეს თუ ის პროცესი და თეორიულად დადგინდა გაზური ნაკადების წარმოქმნის მიზეზები სითხის კრიტიკული დონის ვიბრაციულ სკეტში და რომლის ქვემოთაც წარმოებს გაზის ჩატერა და სითხის გადაადგილება ჭურჭლის განსაზღვრულ უბანში. ეს დონე წარმოადგენს როტული სივრცული კონფიგურაციის ზედაპირს და მისი დაშორება ჭურჭლის ფსკორიდან გაბრაციული აჩქარების პროპორციულია ($\alpha\omega^2$), სადაც α -მუშა ორგანოს რხევის ამპლიტუდაა, ω -წრიული სიხშირე.

ასეთი დონის არსებობა კოორდინატის მიხედვით განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$X = H_* - \frac{2ag_o(\Omega^2 - \omega^2)R_o^2}{3(a\omega^2)^2} \quad (1)$$

სადაც H_* - აპარატის მოცულობაში სითხის დონეა;

g_o - თავისუფალი გარდნის აჩქარება;

α - გადატვირთვის კოეფიციენტი;

R_o - გენერირებული გაზის რადიუსი;

Ω - პულსირებული ბუშტულების საკუთარი სიხშირე.

$$\Omega = \frac{3n}{H_* R_o} (P_o + \rho_o g_o H_* + \frac{(3n-1)}{3n} \frac{2\sigma}{R_o}) \quad (2)$$

სადაც n - გაზის პოლიტროპის გახასიათებულია;

σ - ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი.



როგორც (1) და (2) ფორმულებიდან ჩანს, წატაცების დონეზე განვითარება დამკიდებულია გრავიტაციული ველის ინტენსივობაზე და ზე-დაპირული დაჭიმულობის ძალებზე, რომელიც განსაზღვრავენ გაზურ ზომებს.

გაზის თითული R_i ხარისხის ბუშტულებისათვის X კოორდინატის მიხედვით არსებობს საკუთარი განზიდვის დონე, განსაზღვრული ვიბრაციის დონების შემთხვევაში.

ამგარად, ვიბრაციული გადაადგილების პროცესის ორგანიზაციისათვის, საწყის ეტაპზე აუცილებელია გაზის ჩაჭრის უბნის გაფართოება, რათა ადგილი ექნება მათ გადაადგილებას განსაზღვრულ უბანში.

სითხეში გაზური ნაკადების არსებობას მივყავრთ სითხე-გაზის თვის-სობრივად ახალი მერხევი სასტრემის შექმნამდე, რომელშიც დრეკადობის ელემენტების როლს თამაშობს ლოკალიზებული გაზი, ხოლო ინერციულისას-მის ზემოთ სითხის სვეტის არსებობა.

ასეთი სისტემის საკუთარი სიხშირე შეიძლება განსაზღვროს თუ გამოვალთ იმ პირობიდან, რომ გვაქვს ცილინდრული ფორმის გაზური ბალიში

$$\Omega^{*\eta} = \frac{n(P_o + \alpha g_o \rho_* (H_* - h_o - x_o))}{\rho_* n_o (H_* - h_o - x_o)} \quad (3)$$

სადაც P_o -ატმოსფერული წნევა;

h_o -გაზური ბალიშის სიმაღლე;

x_o -მანძილი ჭურჭლის ფსკერიდან ბალიშამდე;

H_o -ჭურჭელში სითხის სვეტის სიმაღლე.

ბუშტულების მდგრადი შეკვება წარმოებს აღვ ზნების იმ სიხშირეზე, რომელიც ახლოსაა ან ტოლია ბუშტულის საკუთარი Ω^* სიხშირისა.

ზოგიერთ შრომებში ზოგადი სახით განხილულია მრავლდაზოვანი (სითხე, გაზი, მყარი ჩანართი) გარემოს მოძრაობა. ასეთი სისტემის მათემატიკური აღწერა ტალღური ამოცანების შემთხვევაში დაუშენებულია კუმშვადი გარემოს ურთიერთშელწევის ჰიდროდინამიკის განტოლებზე, ამასთან მანძილი მეზობელ გაზურ და მყარ დონეებს შორის იმ მინიმალურ მანძილზე ნაკლებია, რა პირობებშიც წარმოებს დონების დინამიკური და კინემატიკური მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ასეთი დაშვებები საშუალებას იძლევა განვიხილოთ ისეთი უწყვეტი ნაკადები, რომლის დროსაც წარიტაცება ნაწილაკები. ოლონდ მიზანშეწონილია გაზში ბუშტულების შენიშვნი დაცული იყოს ბაროტროპულობისა და ერთგაროვნობის პირობები, გაზური მასა რჩებოდეს მუდმივი, მყარ ნაწილაკებში გაზური ბუშტულების ფორმა უნდა იყოს სფერული, მყარი ნაწილაკები კი უკუმშვადი.

ამ პირობების გათვალისწინებით მოძრაობის განტოლებენი წარმოვადგინოთ ასეთი სახით:

$$\begin{aligned}
 \frac{dP_i}{dt} + \operatorname{div} (\rho_i \vec{V}_i) &= 0 \\
 \frac{d\vec{V}_i}{dt} &= -\frac{1}{\rho_i} \nabla P + \frac{1}{\rho_i} \sum_{j=1}^3 k_{ij} + F_i, \quad i \neq j \\
 \sum_{i=1}^3 \frac{P_i}{\rho_i} &= 1 \\
 P_i^o R^3 &= \text{const} \\
 P_3^o &= \text{const} \\
 k_{13} &= k_{31} = 0
 \end{aligned} \tag{4}$$

$$R\ddot{R} + \frac{3}{2}\dot{R}^2 + \frac{4\eta R}{\rho_2 R} = \frac{P_o - P}{\rho_2^o} + \frac{|\vec{V}_1 - \vec{V}_2|}{4} - \frac{2\sigma}{\rho_2^o R}$$

$$P_i = P_o(\rho_i^o, C_i); \quad i = 1, 2, 3 \quad P = (\rho_2^o, C_2).$$

სადაც ρ^o, ρ_i — ფაზათა ჭეშმარიტი და საშუალო სიმკვრივეებია;

\vec{V}_i — ფაზის სიჩქარე;

k_{ij} — ფაზათა შორის ურთიერთქმედების ფუნქცია;

F_i — გარეგანი მასური ძალები;

R — გაზური ჩანართის რადიუსი;

η — სითხის დინამიკური სიბლანტი;

σ — სითხე-გაზი გამყოფ საზღვარზე ზედაპირული დაჭიმულობის

პოვი-

ცინტი;

P — წნევა თხევად ფაზაში;

P_o — გაზის ბუშტულების შინაგანი წნევა.

სიდიდეები ინდექსით "1" ეუთვინის გაზურ გარემოს, ინდექსით "2" — წარმტაც ფაზას სითხისას და "3" — მყარ ნაწილაკებს.

$k_{21}, k_{23}, k_{12}, k_{32}$ კონკრეტული ფუნქციების სახე, რომლებიც აღწერენ ძალურ ურთიერთქმედებას წარმტაცებულ და წარმტაც გარემოებებს შორის,

მრავალ შემთხვევებში წარმოგვიდგება ორი შესაკრების ჯამის საჭით და წილ-მელიც ითვალისწინებს მიერთებული ფაზების ხახუნის უფერტების შემთხვევაში შუბლა წინაღობას.

კონკრეტული ამოცანის ამოხსნის დროს (4) განტოლება აუცილებლად უნდა შევავსოთ საწყისი და სასაზღვრო პირობებით, რაც დაფუძნებული იქნება (4) სისტემის პერიოდულ ან თითქმის პერიოდულ ამოხნაზე.

შევიძლია გამოყოთ (4) სისტემის შემდეგი სახის კერძო ამონახსნები:

1. $V_i; P=f(t); f(t)$ —დროის პერიოდული ფუნქცია, $i=1,2,3;$
2. $V_2=f(t); P=f(t) V_3=0$ —გარემოს ზოგიერთ წერტილებში;
3. $V_2=f(t); P=f(x)$ სადაც $f(x)$ —კონტინუური ფუნქცია, ამასთან $f(x) \neq 0$ x -ს ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.

თითქულ კერძო ამონახსნს შესაბამება მოძრაობის განსაზღვრული ფორმა და მაშასადამე განსაზღვრული პროცესი: პირველს ვიბროვადაცემა ანუ ჩანართის პერიოდული რხევა, მეორეს ჩანართის ლოკალიზაცია წარსატაცებელი გარემოს განსაზღვრულ წერტილებში (სოლარაცია, დეგაზაცია) და მესამეს ჩანართის ერთშერიც მიმართული გადაადგილება. მოძრაობის კონკრეტული ტიპი განისაზღვრება კერძო ამონახსნების მდგრადობის პირობებით.

ამგარად შეიძლება გავაკეთოთ დასკნა, რომ ვიბრაციული გადაადგილების რეჟიმი არის არაწრფივი რეზონანსული რეჟიმი. თეორიული წინამდებრები საშუალებას იძლევა განსაზღვროთ მდგრადობის პირობები და მოცემული რეჟიმის გარე შემაშეოთხებელი ზემოქმედების პარამეტრები. ეფექტურის რეზონანსული პირობა ვიბრაციული გადაადგილების პირობებში და ინტენსიური მასათა ცვლის პროცესებში საშუალებას იძლევა არსებითად შევაძიროთ ენერგოდანახარჯები ტრადიციულ, არარეზონანსულ მეთოდებთან შედარებით.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მათემატიკური მოდელის შედეგისა და ანალიზის სირთულეს, რაც ადექტურად რეალურია არსებული ტექნოლოგიური პროცესების დროს, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ექსპერიმენტულ გამოკვლევებს.

ამოცანის დასმა და მრავალფაზიანი სისტემის დინამიკის ექსპერიმენტული გამოკვლევის მეთოდიკა დაბალსისშირული ვიბრაციული ურთიერთქმედებისას.

ექსპერიმენტული გამოკვლევების ჩატარების მიზნით დადგენილი იყო არა მარტო შესაბამისი გამოთვლითი მონაცემები რეალურად მიმდინარე პროცესებში, არამედ გამოკვლეული იქნა დაკვირვებული ეფექტების მექანიზმი.

ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევები და მრავალი ავტორის
შრომები საშუალებას იძლევა დავადგინოთ ძირითადი კანონზომიერებაზო შემთხვევაში რჩებო-
ლის ქვედა ნაწილში სითხის ვიბრაციული გადაღინების შემთხვევაში რჩებო-
ნანსული ეფექტების დროს. დიდი კონცენტრაციის შემთხვევაში
($\alpha = 0.6 - 0.8$, სადაც α – მოცულიბითი გაზშემცველობა) რეალიზდება
დინების დისპერსიულ-წრიული რეჟიმი. ამიტომ პორიზონტალურ ნაკადებში,
მილის ფსკერზე, ფენა უფრო სქელია, ვიდრე მის მასაველზე, რაც გამოწვეუ-
ლია არხის კედლიდან სითხის ჩამოდენით.

ორფაზიანი ნაკადების დინების რეჟიმების განსაზღვრის მეთოდები და კლასიფიკაცია

თავდაპირველად გამოყენებული იყო ცდები ორფაზიანი ნარევის დინების
კლასიფიკაცია მომხდარიყო ერთფაზიანი სითხის დინების რეჟიმის საფუძ-
ველზე, მაგრამ მსგავსმა კლასიფიკაციამ ვერ შეძლო ორთქლ-გაზური-
სითხეური სტრუქტურული ფორმების მრავალსახეობის რეალური ასახვა. ამი-
ტომ შემდეგში აღებული იქნა კლასიფიკაციის გზზუალური სისტემა. ამასთან
ასეთ სისტემას მიერისა ტერმინოლოგიის სუბიექტურობა, ანუ თითეული ავ-
ტორი სარგებლობდა თავისი, სხვებისათვის მძიმედ მისაღები კლასიფიკაციით.
მოგვიანებით გამოყენებული იქნა დინების რეჟიმების გრაფიული გამისახვა.

დინების რეჟიმების დაყოფის შემდგომი ობიექტივიზაციის მიზნით დამუ-
შავებული იქნა რამდენიმე მეთოდი, რომლებიც შეიძლება დაყყოთ ორ ძირი-
თად ჯგუფად: დინების რეჟიმების პირდაპირი და ირიბი განსაზღვრის მეთო-
დები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: მარტივი და მაღალსიჩქარული ფოტოგ-
რაფია, რენტგენოგრაფია, ელექტროკონტაქტური მეთოდები, γ -დასტივება.
ხოლო მეორეს-წნევის პულსაციის სტატისტიკური ანალიზი, რენტგენის
სხივების შესუსტების ფლუქტუაციის ანალიზი, "ხმაურის" გაბნევის თერმო-
ნეიტრონული ანალიზი და სხვა.

კოსტერინმა, მაგალითად, ექსპერიმენტული დამუშავების შედეგები პირ-
ველად წარადგინა რუკების სახით, რომლებზეც შეტანილი იყო სხვადასხვა
რეჟიმის დინებების უბნების არსებობა. რუკის კოორდინატებად წარმოდგენი-
ლი იყო გაზურ-სითბური ნარევის დინების მახასიათებლები (მოცულიბითი
გაზშემცველობა და ნარევის დაყვანილი სიჩქარე). რამდენადც ქს რუკები
გათვლილი იყო კონკრეტული დიამეტრის მილზე, ამდენად თითეული რუკის
გამოყენებაც შეზღუდული იყო მითითებული დიამეტრით.

ჰორიზონტალური დინებებისთვის კლასიკური გახდა ბეკერის დინების რეჟიმების სქემა, რომელშიც გამოყენებული იყო კოსტერნიკის მონაცემები მათი დიდი ნაწილი მიეკუთხნება წყალი_ჰაერის ნარევს, ხოლო საკოორდინატო ღერძებად გამოყენებულია: სიდიდე, რომელიც პროპორციულია ვერტიკალზე გაზის მასური სიჩქარისა და სიდიდე, რომელიც პროპორციულია სითხისა და გაზის მასურ სიჩქარეთა შეფარდებისა. თუმცა ბეკერის სქემა შეაცავს შესაბამის ცვლადებს სხვადასხვა პირობებისათვის, მოვინანებით დადგენილი იქნა, რომ აგა არაადექვატურად წინასწარმორტყველებს დინების რეჟიმს პროპორციულ არხებში, რის გამოც გამოჩნდნენ მისი სხვა მოდიფიკაციები. ორიგინალური საკოორდინატო სისტემა გამოყენებული იქნა იტონისა და სხვათა მიერ. ავტორები ექსპერიმენტებს ახდენდნენ ნარევებზე: ბუნებრივი გაზი_წყალი, ბუნებრივი გაზი_დისტილატი. კოორდინატად ისინი იყნებდნენ რენოლდის რიცხვს და ნარევის კებერის რიცხვს.

გაზურ_სითხური ნარევის რეჟიმების სქემის აგებისათვის სხვა შრომებში გამოყენებული იქნა ერთიანი საკოორდინატო სისტემა: ნარევის ფრუდის რიცხვი_მოცულობითი გაზშემცველობა.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა მრავალი სქემები, რომლებიც შორის იყვნენ სრულყოფისგან, რაც ასესნებოდა არასაკამარისი ექსპერიმენტული მასალის გამოყენებით. სწორედ ასე შეიქმნა იდეა ექსპერიმენტული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა. მსგავსი ტიპის ასეთ პირველ შრომაში ავტორების მიერ შემოთავაზებული იყო მიმდევრობით 12_გვ-მიანი დინების რეჟიმების იდენტიფიკაცია, რომელიც აგებული იყო 4475 ექსპერიმენტული წერტილის საფუძველზე. თითეული გეგმა თავის მხრივ წარმოადგენს წერტილების სიბრტყეზე გრაფიკულ გამისახულებას და მიეკუთვნება დინების 7 ძირითად რეჟიმს: ბუნებრივნანის, გამჭოლს, დაყოფილს, ტალღურის, წრიულსა და დისპერსიულს. გამოყენებული იყო 10 სხვადასხვა საკოორდინატო სისტემა, რომლებიც ან ნასესხები იყო სხვადასხვა ავტორებისგან ან ნაწილობრივ მოდერნიზებულნი იყნენ შესაფერის პირობებში. გამოსაყალ პარამეტრებს, რომელთა მიხედვით იდენტიფიცირდება დინების რეჟიმი, წარმოადგენს: სითხისა და გაზის მასური სიჩქარები, მილგაყვანილობის დიამეტრი, ზედაპირული დაჭიმულობა, სიმძიმის ძალის აჩქარება, ასევე სითხის და გაზი სიმკვრივე და სიბლანტე.

მეორე გზა არჩეულ იქნა მადხონის, გრევორისა და აზიზის მიერ, რომლებიც იყნებდნენ ექსპერიმენტული მონაცემების 5935 წერტილს. ავტორები არ გამიჯნავდნენ წრიულ და დისპერსიულ რეჟიმებს, რამდენადაც ერ-

თი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლა ხორციელდებოდა თანდათანობით ქაცხონისა და სხვათა მიერ აგებული იყო დინების რეჟიმების სქემა ასეული მოწყობით სისტემაში: "სითხის დაყავანილი სიჩქარე" – "გაზის დაყავანილი სიჩქარე", სადაც საზღვრების გამიჯვნა უკვე ხდებოდა ოპტიმალური მეთოდით. რომლის კრიტერიუმს წარმოადგენდა ორი პარამეტრი, ერთი ლოკალური, (მიეკუთვნება თითეულ რეჟიმს ცალსახად) და მეორე გლობალური (მიეკუთვნება დინების რეჟიმების გარკვეულ ერთობლიობებს). ლოკალური პარამეტრი α ; თავის მხრივ წარმოადგენს ექსპერიმენტული წერტილების შეფარდებას, რაც ზუსტადაა ნაწინასწერმეტყველები I რეჟიმს მიეკუთვნებული რეჟიმების სქემებით. გლობალური პარამეტრი β თავის მხრივ წარმოადგენს წერტილთა რაოდენობის შეფარდებას, რომლებიც ასევე წინასწარ არის ნაწინასწარმეტყველები და მიეკუთვნებიან დინების შესაბამის რეჟიმებს ექსპერიმენტული წერტილების საერთო რაოდენობიდან.


უნდა აღინიშნოს, რომ სქემებულ ნაშრომებში რეჟიმების სქემა (იხ. ნახ.2), აუცილებელია წყალი_ჰერი ნარევის იძენტიფიკაციური მონაცემებისათვის. სხვა ნარევების დინებებისათვის ავტორები გვთავაზობენ საკონკრიტოატო სქემათა სისტემის მოდიფიკაციას მასშტაბური მარმარების შემთხვევის გზით, რაც დამოკიდებულია ნარევის კომპონენტების ფიზიკურ თვისებებზე.

მართალია კაცხონი და სხვები იხილავდნენ იმ მონაცემებს, რომლებიც მიღებული იყო 13_150 მმ. დიამეტრის მიღებზე, არ გამირიცხავდნენ დიამეტრის გავლენას რეიმის სქემაზე. მათ მოახდინეს სხვადასხვა დიამეტრების რეჟიმული სქემების სიზუსტის შემოწმება და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი სქემა იძლევა საუკეთესო სიზუსტეს 50მმ_ზე ნაკლები დიამეტრისათვის, თუმცა დიდი დიამეტრებისათვის ამ სქემის სიზუსტე არასრულად შესაბამებოდა სხვა რეჟიმული სქემების ჩვეულებრივ სიზუსტეს.

ამგარად სტატისტიკური მეთოდები საშუალებას იძლევა სრულიად დამაკაოცილებლად მოვალეობით დინების რეჟიმის იძენტიფიკაცია.


იმ შრომებიდან, რომლებიც მიეძღვნა ორთქლი_წყალი ნარევის ნაკადების დინებას მაღალი წნევების დროს, უნდა აღინიშნოს ბენეტის და სხვათა შრომები. მათ ჩაატარეს 12,7 მმ. დიამეტრის გახურებულ ვერტიკალურ მილში, 3,5 და 6,9 მმა. წნევის დროს წყალი_ორთქლი ნარევისათვის ჩქარული კინოგადალება. ნახ.3-ზე მაგალითის სახით მოცემულია დიაგრამა 6,9 მმა. წნევის დროს ნარევის მასური ხარჯის მასური გასავლის ხარჯი ორთქლშემცველობაზე. კარგი შედეგები იყო მიღებული აგრეთვე ბოგლისისა და

სხვათა მიერ ისეთი დინების რეგიმებისთვის, როცა $\dot{\pi}$ წნევა იყო 3,5 და 6,9
გვ, ხოლო მასური ხარჯი $\rho\omega = 550 - 5500 \text{ კგ/მ}^2\cdot\text{წმ}$.




სა. 24. კონტაქტური არჩევის განცხადების რეგმისის გამოსახულებული რეკ.

1 – $P=3,5 \text{ k}\Omega\text{m}$, 2 – $P=6,9 \text{ k}\Omega\text{m}$



სა. 22. პრინციპური შედეგის განცხადების რეგმის რეკ.



Фіг. 2.3. Давлення в залежності від концентрації рідини

1-1-фазовий рівень; 2-2-фазовий рівень; 3-3-фазовий рівень;
4-4-фазовий рівень; 5-5-фазовий рівень; 6-6-фазовий рівень.

Беродзе М.И., Григалашвили Г.А.

Современное состояние исследования гидравлических параметров газожидкостных потоков

Резюме

В современных жидкотехнических установках большое значение придаются исследованию гидравлических параметров газово-жидкостных потоков.

В работе представлены различные структуры течения двухфазовых потоков в различных геометрических каналах двухфазовых течений, определяемые множеством факторов, какообъёмная концентрация фазы, их физические качества, скорость фаз, наличие фазовых переходов в физических реакциях и др.

В работе даётся осследования гидравлических параметров газово-жидкостных потоках в сравнении с результатами ранее проведенного исследования. Результаты эксперимента в должном согласии с результатами, полученными путём расчётов.

1. Василенко Н.В., Кудрявцева Л. А. "Исследование движения газового пузырка в жидкостном
2. уровне с учетом вибрации платформы". 1974 г. Киев.
3. Василцов Э.А., Ушаков В.Г., "Аппаратура для перемешивания жидких сред". Л.1972.
4. Гончаревич И. Ф., Фролов К. В., "Теория вибрационной техники и технологии", М., "Наука",1981.
5. Гудушаури Э. Г., Беродзе М. И. и др. "Определение расхода жидкости в дисперсионно- колцевом пульсирующем потоке", Тезисы XI конференции математиков ВУЗ-ов Груз. ССР, 28-30/ V , 1986. Кутаиси.

ფიზიკის ქათედრა

თინა დვალი, მურმან ერევანშვილი, ელეონორა ყიფიანი,
აგენტ ჭოდნაძე

წყალტუბოს რაიონის გოგიერთი მხედარები შემავალ
ნივთიერებათა თვისებითი ანალიზი და ფლავოილების
განსაზღვრა

ფლავონოიდები ფართოდაა გაფრცელებული მცენარეულ ორგანიზმებში და წარმოადგენს ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნივთიერებებს, რომელთაც აქვთ, როგორც მეცნიერული ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ამიტომ ამ მხრივ ფართო კვლევით მუშაობა სწარმოებს მოსკოვის, ტამკენტის, ხარკოვის, თბილისის, ალმა-ატის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, მინსკის, პიატიგორსკის, მეცნიერულ ცენტრებში.

ფლავონოიდების გაფრცელების შესწავლას მცენარეულ სამყაროში აქვს უდიდესი მნიშვნელობა ისეთი მეცნიერული ამოცანების გადაჭრისათვის, რომელიც დაკავშირებულია ახალი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძიებასთან.

ფლავონოიდები დიდი ხანია იყორმბს მცნიერთა ყურადღებას, მაგრამ თუ გასულ საუკუნეებში ეს ინტერესი ძირითადად განპირობებული იყო საუკეთესო მცენარეული საღებავების მიზნით, ამჟამად ფლავონოიდები ყურადღებას იყორმბს, როგორც მაღალი ფარმაკოლოგიური აქტივობის მქონე ნივთიერებანი და გამოიყენებისა მედიცინაში მრავალი დაავადების სამკურნალოდ.

ცალკეული ჯგუფის ფლავონოიდების ბიოსინთეზის და დაგროვების შესწავლამ მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიყრო, როგორც შეგასახულოვანი და გვარისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისების განმსაზღვრელი ნაერთები.

60-იან წლებში არსებული გამოკვლევებით გამოითქვა პიპოთება იმის შესახებ, რომ უმეტესი უდიდესი მცენარეების მრავალი ოჯახი უნდა ხასიათდებოდეს განსხვავებული 3-დეზოქსიანთოციანიდების, ფლავონების, ლეიკოანთოციანიდების, ქალკონების და დეზოქსიქალკონების ნახშირბადჩანაცვლებული (C-მეთილირებული, C-პროპილირებული, C-გლიკოზიდირებული) ბიფლავონების წარმოქმნით.

უმაღლეს მცენარეებში, განსაკუთრებით ორლებნიანებში აღინიშნება ფლავონოიდების კვოლუციის შემდეგი ეტაპი: იკარგება ლეიკოანთოციანიდების წარმოქმნით.

შობის უნარი, აგრეთვე ვიცინალური ჰიდროქსილები 3 და 5 მდგომარეობაში, ფლავონოლები ფლავონონებით A და B მეთოქსილირებულ რგოლში.

შიშველთესლიან მცენარეებში ნაპონია ფლავონოლების ყველა სახე: ფლავონები, ფლავონოლები, ფლავონონები, ლეიკონთოციანილები, ბიფლავონოლები, და იზოფლავონოლები. ამ თავლსაზრისით აღსანიშნავია მათი აგებულების მსგავსება გვიმრანაირებში არსებულ ფლავონოლებთან (მაგ: C- მეთოლირებული ნაერთები, C-ბიფლავონები, C-გლიკოზილები).

მრავალი ავტორის მიერ გმოკვლეულია, რომ შიშველთესლიანი მცენარეებიდან კვიპაროსისებრთა (Cupresaceae) და ჭაობის კვიპაროსისებრთა (Taxodiaceae) ოჯახებში არის ქინკოფლავონი ან სხვა C-O-ბმის ქინკოფლავონები, მაშინ, როცა პოდოკარპუსისებრთა (Podocarpaceae) ოჯახში არის მხოლოდ ბიფლავონები C-C ბმით.

საყურადღებოა, რომ ფართოდ გავრცელებული ფიჭვისებრთა (Pinaceae) ოჯახის მცენარეებში არის ფლავონონების, ფლავონოლების, ფლავონონების და ფლავანონოლების C- და O- მეთოლის ნაწარმები.

შიშველთესლიანი მცენარეების მრავალი ოჯახი შეიცავს გლიკოზილებს. მაგ: კვარცეტინს, კაბიტერილს და იზორამნეტინს, იშვიათად კი გლიკოზიდ მერიცეტინს.

ორლებნიანი მცენარეებიდან საყურადღებოა პარკოსანთა, რთულყვავილოვანთა, ვარდისებრთა, ქოლგოსანთა, ჯვაროსანთა, ტევანისებრთა, მატიტელასებრთა, ძაღლყურძენასებრთა, ტირიფისებრთა და სხვა ოჯახების სრულყოფილი კვლევა.

მანოლისებრთა (Magnoliaceae) ქვეკლასში უმეტესად შექმნავლილია ოჯახი ბაიასებრნი (Ranunculaceae), რომელთა ზოგიერთ წარმომადგენლებში ნაპონია კაბიტერილის და კვარცეტინის C-გლიკოზილები, აცილგლიკოზიდები და O-გლიკოზიდები.

ქალკონებით და მეთოქსილირებული ნაერთების შემცველობის თავლსაზრისით საყურადღებოა პილპილისებრნი (Piperaceae) და დაფნისებრნი (Lauraceae), რომელთაგან გამოყოფილია დი და ტრიმეთოქსილირებული ფლავონები და მეთოქსილირებული ქალკონები (ფლავოკავინ A და B; 2,6-დიოქსი-4-მეთოქსი-ქალკონი). ამ ოჯახის ზოგიერთ წარმომადგენელში კი ნაპონია ანთოციანიდის 3-O-გლიკოზიდი.

ფლავონოლები და მისი გლიკოზიდები ნაპონია წიფლისებრთა (Faraceae), თუთისებრთა (Moraceae), არყისებრთა (Betulaceae), კაკლისებრთა (Juglandaceae) და ჰემამელისებრთა (Hemamelidaceae) ოჯახების უმეტეს სახეებში.

თუთისებრთა (Moraceae) ოჯახიდან გვარი (Morus) შეიცავს კვარცეტინს და მისი ჯგუფის გლიკოზიდებს, მათთან ერთად არის მორინი, რომელიც B-რგოლში შეიცავს ერთი ჰიდროქსილის ჯგუფს 2 მდგომარეობაში.

ფლავონოლები წარმომადგენს ბუნებრივი ნაერთების ერთ-ერთ მრავალ-რიცხოვან ჯგუფს, ამჟამად აღწერილია დაახლოებით 2000-ზე მეტი, რომელნიც

მიუკუთხნება ფენოლურ ნაწარმებს. ფენოლური ნაწარმები ეწოდებათ მრავალ-
რიცხოვან რიგს ნაერთებისას, რომელიც შეიცავს არომატულ რეოლს პერსის განაკვეთის
სილის ჯგუფით და მათ ფუნქციონალურ ნაწარმებს.

ფეროლური ნაერთებიდან მცენარეებში ფართოდაა გავრცელებული ფლავონოლები, რომელიც შეიცავს დიარილპროპანის ფრაგმენტს $C_6-C_3-C_6$.

ფლავონოიდების ქვეჯგუფის ნაერთებია: ეუფლავონოიდები, იზოფლავონოიდები და ნეოფლავონოიდები.

უფლავონოიდებს ანუ საკუთრივ ფლავონოიდებს მიეკუთხნება. ფლავანი, ფლავონი, ფლავონოლი, ქალკონი, დიპირონქალკონი, ანთოციანიდები და აურონი. ქს უკანასკნელი განსხვავებით სხვა ფლავონოიდებისაგან არს 2-ბენზილიდენ-კუმარინის ნაწარმი (2-ბენზილიდენ-3-ბენზფურანონი).

იზოლაციონიდებმის გაერთიანებულია 3-ფენილ ა ან გ ბენზპირანი, პირონი, როტენიდები, ჰომოზოლაციონიდები და სხვა მრავალი ნაერთები.

მცენარეებში მონომერული ფლავონოიდების გარდა ნაპოვნია პოლიმერული ფლავონოიდები.

ფულავონიდები კლასიფიცირდება მოლექულაში სამნახშირბადიან ფრაგმენტთან დაკავშირებული სტრუქტურით.

ბერზოლის პირთვები აღინიშნება A და B ასოებით.

ფულავონოიდების მნიშვნელოვან ქვეჯგუფს მიეკუთვნება: კატექინები, ლეიკო-ანტოციანიდები, ფულავონოლები, ანთოციანები, ფულავონები და ფულავონოლები. მათ შორის აღმდენილ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ძირითადად კატექინები და დაუან-გულს ფულავონოლები.

კატეგინები, ლეიკოანთოციანიდები და ფლავონოლები უფერო ნაერთებია, ფლავონები და ფლავონოლები შეფერილია ყვითლად, ანთოციანები - წითელ, ლურჯ და ინსტერ გარდამასალ ფერებში.

ფლავონოიდები და ოქსიდარინინმეუკები ამჟღავნებს მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ თვისებებს და P-გოტამინურ აქტივობას.

ძირითადად P-ვოტამინურ პრეპარატს წარმოადგენს რუტინი, რომელიც მოპოვებულია წიწიბურას ყვავილების წვეროებიდან ან იაპონური საფარას ბუტონებიდან. ამს გარდა ვიტამინურია მრეწველობა უშვებს კატექინებს - ჩაის ფოთლებიდან. გესპერიდინს - ციტრუსების ნარჩენებიდან და ახებს - შავნაყოფა ცირცელიდან.

ამჟამად შემუშავებულია P-კოტამინური მოქმედების პრეპარატების მიღების ხერხი მრავალძარღვიანი ქვაპურადან, მაგრამ ეს პრეპარატები ვერ აქმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ამიტომ მათი მიღების ახალი სამრეწველო წყაროების ძიება არის აქტუალური პრიობლემა.

ფლავონოიდები არის მცენარის ყველა ნაწილში და მთელი გამოყოფის მეთო-
დები დამოკიდებულია ფლავონოიდის ტიპზე და მცენარის ტენირების ზოგი დრო.

კულაზე უკეთესია პარზე გამშრალი, ნედლეულის ექსტრაცია. თუ დავამუშავოთ ახალ ნედლეულს ამ შემთხვევაში გამოიყენება ცხელი გამსხნელი, რომელიც ნაც საჭიროა შეწყდეს ფერმენტების მოქმედება, მაგრამ ცხელი გამსხნელის გამოყენებისას გლიკოზიდები პიდროლიზს განცდიან.

ექსტრაქციისათვის გამსხნელის შეჩრჩევა დამოკიდებულია ფლავონოიდის პოლარობაზე. უფრო პოლარული გამსხნელი გამოიყენება გლიკოზიდების და ანთოციანების ექსტრაქციისათვის, ნაკლებპოლარული კი აგლიკონებისათვის.

იზოფლავონის, ფლავონონის, დიპიდროფლავანონის, მეთოლინებული ფლავონების ექსტრაქციას აწარმოებენ ბენზოლით, ქლოროფორმით, ეთერით ან ეთილაცეტატით.

გლიკოზიდები, პიდროქსილინებული ფლავონოიდები, აურინები, ქალკონები ადვილად გადადინ სხვადასხვა კონცენტრაციის სპირტში ან აცეტონში.

ნედლეულის გასუფთავებისათვის ფლავონოიდები, აურინები, ქალკონები ადვილად გადადიან სხვადასხვა კონცენტრაციის სპირტში ან აცეტონში.

ნედლეულის გასუფთავებისათვის სტეროლებისაგან, კრიოტინიდებისაგან, ქლოროფილისაგან და სხვა ლიპოფილური ნარევებისაგან მცვნარეულ მასალას გადაამუშავებენ პეტროლეუნის ეთერით ან ჰექსანით, მაგრამ ზოგიერთი ძლიერ მეთოლინებული ფლავონოიდები ან იზოფლავონოიდები ლიპოფილურ ნივთიერებებთან ერთად გადადიან გამსხნელში.

საქართველოს ფლორის სახეობრივი სიმდიდრე იძლევა დიდ შესაძლებლობას ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოსავლენად.

ქიმიკურების, ფარმაკოლოგების, ბიოქიმიკების, მემცნარეთა კომპლექსური კვლევა იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ ახალი, სამკურნალო თვისებებით ფასეული მცვნარეები, გამოყოფით იქნებან ალკალინიდები, გულის გლიკოზიდები, პოლისაქარიდები, ტერპენები, ფლავონოიდები, ოქსიდარიჩინმჟავები, პოლისაქარიდების ნაწარმები და სხვა მრავალი, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში.

ამ ასეუქტში ჩვენს მიზანს შეადგინდა შეგვესწავლა დასავლეთ საქართველოს - წყალტუბოს ზონის ზოგიერთ მცვნარეში: *Phisalis alkakengi* - ონტკოფა, *Viburnum opulus* - ძახველი, *Neurum oleander* - ოლეანდრი, *Centaurea salicifolia* - წითელი ღილილი - შემავალ ნივთიერებათა თვისებითი ანალიზი და ფლავონოიდების განსაზღვრა.

ფლავონოიდების გამოსაკვლევად პარზმრალ მცვნარეს ვწვლილავდით 80%-იანი ეთანოლით, მდუღარე წყლის აბაზანაზე (ორვერ ან სამჯერ), მიღებულ გამნაწვლილს ვფილტრავდით, ფილტრატს გამოვხდიდით, დარჩენილ მასას ვათავსებდით ფილაზე და სპირტს ვამრთოვლებდით, ვამზადებდით დარჩენილი მასის წყალსხარს და მასზე ვატარებდით ცანიდურ რეაქციას. რეაქციის ინტენსივობას გამოვსახავდით "+" სამბალიანი სისტემით.

ქაღალდზე ქრომატოგრაფიული ანალიზისათვის ვიყენებდით გამოსაკვლევი ობიექტის შესქელებულ ექსტრაქტებს.

ქრომატოგრამბის გამეღავნებდით ნატრიუმის ტუტის სქნარით. ჩვენს მიერ გამოსაკვლევი მიეკუთხებიდან ანალიზი ჩავატარეთ: ონტკოფას ფოთლებზე, ღეროსა, ყვავილსა და ნაყოფზე, ხოლო ოლგანდრის ძახველისა და წითელი ღილილის მხოლოდ ფოთლებზე.

ანალიზის შედეგებით დასტურდება, რომ ფლავონოიდური ნივთიერებებით მდიდარია

წითელი ღილილო++++

ონტკოფა+++

ოლგანდრი +ან++

ძახველი+

ონტკოფას (*Phisalis alkakengi*) ფოთლების და ღეროს ქრომატოგრაფიული ანალიზი ასეთია:

ფოთლი და ღერო თითქმის ერთნაირი შემადგენლობისაა, მაგრამ რაოდენობრივად განსხვავებული. კერძოდ ფოთლები უფრო მდიდარია ფლავონოიდებით, ვიდრე ღერო. ნაყოფში ფლავონოიდური ნივთიერებები არ არის. ქლოროფორმში ფლავონოიდები არ გადაის. ფოთლისა და ღეროში აღინიშნება 9 ლაქა, აქედან ფლავონოიდებს განკუთხება საგარუუდოდ 8. ყველაზე დიდი რაოდენობით არის ორი ლაქა, რომელთაგან უფრო საინტერესოა ერთი RF-ით 0,40. აგრეთვე საინტერესო ლაქები RF-ით 0,20; 0,44; 0,54; 0,71.

ქრომატოგრამა №1

განალიზებული იქნა ონტკოფას ყვავილი, რომელიც გამოვწილვეთ ექვსი სხვადასხვა გამშსნელით.

1. პეტროლეინს ეთერი
2. ეთერი
3. ოთხქლორინი ნახშირბადი
4. ქლოროფორმი
5. ეთილაცეტატი
6. 80%-იანი ეთანოლი

აღმოჩნდა, რომ პეტროლეინის ეთერში იწვილვება ცოტა, ეთერში, ოთხქლორინ ნახშირბადში და ქლოროფორმში იწვილვება კარგად, ეთილაცეტატში გადადის მცირედ, 80%-იანი ეთანოლით თითქმის არ იწვილვება.

(ქრომატოგრამა №2)

ლიტერატურული მონაცემებით ის შეიცავს: α და β კაროტინს, ფიკოქანტინს, ლუტიენს, კრიპტოქანტინს, ზეაქსანტინს, ზეაქსანტინის ეთერს, ლუტეინის ეთერს, ლიკოპინს (ნაყოფი).

ჩვენი ანალიზის შედეგად ნაპოვნია: α და β კაროტინი, ფლავოქანტინი, ლუტიენი, ზეაქსანტინი.

(ქრომატიკული რამა №3).

დაზუსტებისათვის მე-7 ლაქა ამოფტიკეთ Rf-0,96 - და გამოვწვდების შემდეგ დასმულ სისტემაში იყოფა ჰექსანში, ხელახლა დაგვეკით სხვა სისტემაში ჰექსანი-აცეტონი 6:4.

ამოფტების და ჰექსანით გამოწვლილვის შემდეგ დასმულ სისტემაში იყოფა ორ ლაქად: Rf 1. 1. 0,00.

2. 0,17 და ფერი იკარგება ე. ამ ორ ლაქას ერთად აქვს მეწამული ფერი, ცალ-ცალები კი ყვითელი

(ქრომატიკული რამა №4).

გაანალიზებული იქნა ონტეკოფას ნაყოფიც, რისთვისაც დაქუცმაცებული თესლი და რბილობი გამოვწვლილვეთ რამდენჯერმე ჰექსანით, სრული გამოწვლილვისათვის დავაყოფნეთ მეორე დღემდე, შემდეგ კი გამოვხადეთ.

ნაყოფის წონა - 2,5 გ. მიღებული ნივთიერების წონა 0,27 გ. გამოსავალი 10,8%.

ობიექტს დავუმატეთ რამდენიმე წვეთი ჰექსანი.

მოწმე: ზეოთუნის ზეთი - ტრიგლიცერიდებისათვის.

ქოლესტერინი - თავისუფალი სტერინებისათვის.

ცხიმოვანი მეუავა (C₁₇) - თავისუფალი ცხიმოვანი მეუავისათვის, ან (ჩვენ ავიღეთ იუდას ხიდან გამოყოფილი ცხიმოვანი მეუავს მეთილის ეთერი)

სისტემა: ჰექსანი - ეთერი - ძმარმეუავა

85 : 14 : 1

გამომეღლავნდება: იოდის კრისტალების ორთქლში.

გამედავნების შედეგად აღმოჩნდა შემდეგი ლაქები:

თავისუფალი სტერინები X₁ და X₂

თავისუფალი ცხიმოვანი მეუავი - უფრო უნაჯერი ბუნების, ტრიგლიცერიდები და ნახშირწყალბადები.

ამის გარდა არის ორი ლაქა X₂ და X₃

დაზუსტებისათვის ანალიზი გავიმეორეთ იგივე სისტემაში.

აღმოჩნდა შემდეგი:

X₁ და X₂ თავისუფალი სტერინები

X₃ თავისუფალი ცხიმოვანი მეუავი უნაჯერი ტიპის, ტრიგლიცერიდები X₄

{სავარაუდოა სტერინის ან ცხიმოვანი მეუავს მეთილის ეთერი

X₅

ნახშირწყალბადები

(ქრომატიკული რამა №5)

წითელი ღილილო (ფოთლები)

ფლავონოიდების შემცველობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო მცენარეა.

აქ ფლავონოიდებში იწვილვება ორი ლაქა, რომელიც ქლოროფორმში გადადის და დიდი რაოდენობითაა ფოთლებში. მედავნდება სულ 13 ლაქა, რომელიც გან ჟელაზე საინტერესოა დიდი რაოდენობით ლაქები Rf-ით: 0,49 და 0,76.

ალანიშნავია ის, რომ ნივთიერება Rf 0,49-ში არის ორი ლაქა. მუქ ლაქას გარეთ აკრაგს ნათელი ცისფერი ფლუორესცენციის ლაქა, რომელიც გამედავნების შემდეგ ხდება მუქი ყვითელი ფერის.

ლაქა Rf 0,69 არის დიდი რაოდენობით და მისი ფერი ნათელცისფრიდან გადადის ყვითელში.

თუ შევადარებთ ქლოროფორმიან და წყლიან ექსტრაქტს, უნდა ვიფიქროთ, რომ მუქი ლაქა Rf 0,76 იმიტომ არის მცირე რაოდენობით, რომ ის გადასულა ქლოროფორმში, ამიტომ საინტერესოა ქლოროფორმიანი ექსტრაქტიც.

სტარტთან ახლო მყოფი ლაქები არის 6.

Rf 0,03-დან 0,21-ის ჩათვლით. აღნიშნული ლაქები ტუტით მოსხურების შემდეგ იფერება სხვადასხვა ფერად: პირველი ლაქა Rf 0,3 არის მუქი შავი, ამის შემდეგ კი ყვითელი. მესამე ლაქა მომწვანო ცისფერია. ეს ფერები დღის სინათლეზე ხანდახან ღებულობს ვარდისფერს, გარდა პირველი ლაქისა, ის კი რჩება შავად.

აღნიშნული ობიექტი ფლავონოიდების შემცველობის თვალსაზრისით მთლიანად საინტერესოა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შესწავლილი იქნას მცენარე მთლიანობაში.

(ქრომატოგრამა №6).

ოლეანდრი (ფოთლები)

ლიტერატურული მონაცემებით ოლეანდრის ფოთლები შეიცავს საგულე გლიკოზიდებს: ალეანდრინს, დეზაცეტილოლენდრინს, ადინერინს, ნერინტინს, ნერინს, ურსულის მჟავას.

ფლავონოიდებს: რუტინს, კემპფეროლის 3-რამნოგლიკოზიდს, მზადდება პრეპარატი ნერიოლინი.

ჩვენი კვლევის შედეგად დადგნილია შემდეგი: ოლეანდრის ფლავონოიდები ქლოროფორმით არ იწვილვება, გარდა ზოგიერთი ფენოლმჟავებისა, რომლებიც ცისფერი მედავნდებიან. აქ საკმაოდ მკვეთრად გამოვლენილია 5 ლაქა. აქედან საინტერესოა სამი ლაქა: Rf-0,39; 0,44; 0,68.

(ქრომატოგრამა №7).

ეს ლაქები შესაძლოა იყოს ლიტერატურაში აღწერილი ლაქების იდენტური, რაც შემდგომ გამოკვლევას და დაზუსტებას მოითხოვს.

რაც შეეხება ძახველის მოცემულ ნიმუშს ფლავონოიდების შემცველობის თვალსაზრისით აღნიშნული ნიმუში (ფოთლები) საინტერესო არ არის.

(ქრომატოგრამა №8).



1. Л.К. Клишев, В.А. Бандюкова, Л.С. Алюкина. Флавоноиды растений. Изд. "Наука" КАЗахский ССР Алма-ата, 1978 г.
2. Растительные ресурсы ССР (Т-1). Изд. "Наука" Ленинград 1990 г.
3. М.Н. Запрометов. Основы биохимии фенольных соединений. Москва, "Высшая школа" 1974 г.
4. Биологически активные вещества флора Грузии. "Мецниереба", 1976 г.
5. ს.ვ. დურმიშვილე, ა. შალაშვილი, ვ. მეურაძე, გ. წიკლაური, საქართველოს კულტური ფლორის ზოგიერთი წარმომადგენლის ფლავონოିଡେଜି ଏବଂ ଉଚ୍ଚପଦାରଣିକିନମ୍ବାଗ୍ରେହଣୀ. ଠଥିଲାଙ୍କିଳିବା, "ମୁଦ୍ରନୀର୍ବାଦା", 1981 ଫି.



თორნია ეფრემია

სიმამართობის უროღება და მათი გამოვლინება ბუნებასა და ხელოვნებაში

არაორგანულ ბუნებაში სიმეტრიის გამოვლენის ნაირსახეობა არსებობს და იგი მატერიის მოძრაობის უმარტივესი ფორმების შემსწავლელი მეცნიერების—ფიზიკის საგანს შეადგენს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ფიზიკის ისეთი დარგების განვითარებამ, როგორიც იყო ელექტროდინამიკა, ფარდობითობის თეორია და კვანტური მექანიკა, დაადგინა სიმეტრიის, შენახვის კანონსა და სივრცე-დროს თვისებების შორის კავშირი, რომელმაც აჩვენა, რომ ოთხგანზომილებიანი სივრცე-დროის ერთგვაროვნება და მასში მატერიალური წერტილის გადატანა კოორდინატთა ათვლის სისტემის მიმართ, გარკვეული ფიზიკური სიდიდეების უცვლელობა—ინვარიანტობისთანა დაკავშირებული, როგორიცაა ენერგია—იმპულსის და მომენტის შენახვის კანონები. სივრცესა და დროში არსებული მიკრო და მაკრო (თვალით უხილავი და თვალით ხილული) სხეულებისათვის, სივრცე-დროის ერთგვაროვნობის და იზოტროპულობის უნივერსალურობა, აისახება ამ სხეულების იმ თვისებებში, რომლებიც შენახვადა არაორგანული და ორგანული მიკრო სხეულებისა და ორგანიზმებისათვის, რაც საბოლოოდ განაპირობებს ცოცხალი მაკრო-ორგანიზმების გენების შემადგენლობის მუდმივობას [1, 2].

ამ დიდი და პრობლემატური საკითხის გარკვევა, აღმართ 21-ე საუკუნის ერთ—ერთი სამეცნიერო—კომპლექსური ამოცანა იქნება, რომლის გადაწყვეტაში, საბუნების მეტყველო მეცნიერებებთან ერთად უნდა ჩაეტანონ ადამიანის შემცნებით— მსატრიული დარგის მუშაკები, თუმცა ეს თანამშრომლობა, საბუნების მეტყველო—მათემატიკური და მსატრიულ—სახვით შემოქმედების დარგის მუშაკებს შორის, დიდი ხანია უკვე არსებობს პოზიტიურის, მუსიკის, მხატვრობასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში, რაც ცოცხალ ანუ ორგანულ ბუნებაში არსებული საგნებისა და მოვლენების პროპორციულ შეთანასწორებაში გამოისახება [2, 3].

თავისთვალი, ცოცხალ ორგანიზმებში, მცნარეული (ფლორა) თუ ცხოველური (ფაუნა) წარმოშობის იქნება ის, შენახვადი თვისებები და ნიშნები მეტყველეობით გადაეცემა თაობიდან თაობაში. ის, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აღმოჩენილი და გაშიფრული გრის სტრუქტურული აღნიშნება ორმაგი სპირალური აგებულება და ეს სპირალი მარჯვენა ხრახნის ფორმისაა, თითქოს

უნდა უზრუნველყოფდეს ცოცხალ ორგანიზმებში მარჯვენა სპირალობის შეონებულების აბსოლუტურ დომინანცობას, რაც არ დასტურდება და იგი ახსინდება კიროებს ე.წ. ლურმბის (მარჯვენა—მარცხენა სიმეტრიულობის) შენახვის კანონის დარღვევის თავალსაზრისით.

არაორგანულ ბუნებაში მოვლენების ერთ წყება და განსაკუთრებით ელექტრომაგნიტური მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ მარჯვენა და მარცხენა სიმეტრიის მქონე პროცესები თითქმის მსაგასნი არიან, მაგრამ არა იდენტურნი. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ელექტრომაგნიტური ინდუქციის დროს, წარმოქმნილი ცვლადი დენი და მასთან დაკავშირებული დროში ცვლადი ელექტრული ველი, ქმნის მარცხენა ხვიარობის (სპირალობის) ანუ მარცხენა ბურლის განსაზღვრულ თანწყობას ინდუქციური დენის ძალწირების შემოვლის და წინსვლის მიმართულებებს შორის, ხოლო მაგნიტური ველის შემთხვევაში— მარჯვენა ბურლის შესაბამის თანწყობას, გამტარობის (ასევე წანაცვლების) დენის გრიგალური მაგნიტური ველის ძალწირის შემოვლის მიმართულებას და ხვიის წინაცვლების (ბურლის ხვიარობა) მიმართულებას შორის. მათემატიკურად, გრიგალური ელექტრული ველი აღიწერება მარცხენა კოორდინატთა სისტემაში, ხოლო გრიგალური მაგნიტური ველი— მარჯვენაში. მარჯვენა კოორდინატთა სისტემა (oxyz) პირდაპირი შემობრუნებით, ანუ უწყვეტი გარდაქმნით ვრასდროს ვერ გადავა მარჯვენა (oyxz) სისტემაში, სარკული არყვალის ოპერაციის გარეშე. არ შეიძლება მარცხენა სისტემის მარჯვენაში გადასვლა, უწყვეტი სასრულონ გარდაქმნის გზით. თავისთავად ცხადია, რომ ესა თუ ის მოვლენა, მათ შორის ელექტრომაგნიტური მოვლენები, არაორგანულ ბუნებაში და მათთან დაკავშირებული კანონები შენახვადია, ანუ მუდმივია დროის უსასრულოდ დიდ შეალებაში, ანუ დრო და სივრცე ერთგვაროვანი და იზოტროპული (ყოველი მიმართულებით უცვლელი) ფოსქების მქონეა. ცხოველურ და მცენარეულ ცოცხალ ორგანიზმებში, მარცხენა და მარჯვენა ხვიარობის მქონე ფორმების არსებობა, მიუთითებს სარკული სიმეტრიის მიმართ, მუდმივობის კინონების დარღვევაზე.

ამჯერად, ჩვენ შევწერდებით სიმეტრია_ასიმეტრიის ფორმების გამოვლენაზე, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. „ოქროს კვეთის“, „ლეთაებრივი პროპორციის“ ან როგორც მათემატიკაში ამბობენ „გეომეტრიულ საშუალებაზე“, რომლის შესახებ ინტელექტუალურმა კაცობრიობამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში, პითაგორელთა ფოლოსოფიურ_მათემატიკური სკოლიდან იცის. ეს თანაფარიდობა (გეომეტრიული საშუალო), მთელის ისეთ ნაწილებად დაყოფას გულისხმობის, როცა გაყოფის შედეგად მიღებული მცირე მონაკვეთი, ისე შეეფარდება შედარებით დიდს, როგორც დიდი მონაკვეთი მთელს. როგორც მათემატიკურად მტკიცდება, ამ გაყოფით მიღება ირაციონალური რიცხვი, რომლის დამრგვალებული მნიშვნელობა 0,62-ია. მაგრამ ამ რიცხვთან მიახლოებისათვის, მთელის ნაწილებად დაყოფის სხვადასხვა წესი ან შესაბამისი ნაწილების რიცხვითი მწერივები მიიღება, რომელთაც XI საუკუნის იტალიელი მათემატიკოსის ფიბონაჩის რიცხვები

$$\frac{1}{1}, \frac{1}{2}, \frac{2}{3}; \frac{3}{5}; \frac{5}{8}; \frac{8}{13}; \frac{13}{21}; \frac{21}{34}; \frac{34}{55}; \frac{55}{89} \dots$$

მრიცხველებსა და მნიშვნელებში განთავსებულ რიცხვებთან დაკავშირებულ მათემატიკურ პრობლემებს თუ გვერდს აკულით, შეიძლება ითქვას, რომ მათი საშუალებით მიღებული პროპორციები, უნდა მიიგრინოთ „სრულყოფილების და პარმონის უმაღლეს გამოვლინებად ბუნებასა და ხელოვნებაში”; ასე წერდა ლეონარდო და ვინჩი XV საუკუნეში, რომელიც თავად იძლეოდა ამის მაგალითს მისი მეცნიერული და მხატვრული შემოქმედებით. „ოქროს კვეთის” პროპორციით, მრავალ საიდუმლოს აქადა ფარდა, როგორც ეს იყო წარსულში და შეიძლება მოხდეს მომავალშიც.

ამ დიდი ლვთაებრივი პროპორციის და მაგიური რიცხვების საშუალებით, მრავალი საიდუმლო ახსნილა მსოფლიო სიტყვაკაზმული მწერლების, კლასიკური მუსიკის და სახვითი ხელოვნების ისტორიაში. თავი რომ დავანებოთ ევგიპტური პირამიდების საიდუმლოებებს, ძველი სამყაროს იმ საოცრებათა არქიტექტურული დეტალების განხილვას, როგორიცაა ფრიგის აკლდამები, ათენის პართენონი, პეტრეს ბაზილიკა რომში, ტიციანის „ლვთისშემობლის მოგზაურობა ზეცაში”, ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას” და „ჯოკონდას”, რაფაელის „მადონას” გატიკანიდან, ნოტრდამის კათედრალური ტაძრის არქიტექტურას და სხვას, რომელთა შექმნისას გამოყენებულია „ოქროს კვეთის” პროპორცია, ისიც საკმარისია, რომ გენიალური რუსთველის „ვეფხისტყაოსნის” მეტრი (რიტმი) და რითმა გაწყობილია ამ წესით, რომელიც დამტკიცა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, თავის კაპიტალურ გამოკვლევებში „მეტრი და რითმი ვეფხისტყაოსნში” (1970) [4]. რუსთველის პოემის ტექსტი, როგორც ცნობილია გაწყობილია სტროფებად, რომელთა რაოდენობა მერყეობს, სხვადასხვა გამოცემის მიხედვით, დაახლოებით 1500-სა და 1700-ის ფარგლებში. ის გამოცემა, რომელიც საფუძვლად უდევს აკად. გ. წერეთლის შრომას, შეიცავს 1587 სტროფას. სტროფა წარმოადგენს კატ-რენს, ე. ი. შედგება ოთხი კარედის ან სტრიქონისაგან, რომელთაც აერთიანებს რითმა. კარედთა რაოდენობა 1587 სტროფის მიხედვით უდრის 6348-ს. კარედი შედგება თექვსმეტი მარცვლისაგან და აკეტულია დიქტონურ პრინციპზე: იყოფა ორ თანაბარ ნაწილად, ორ ნახევარკარედად_მთავარი ცეზურით მათ შორის, რვა_რვა მარცვლით თითოეულში. ნახევარკარედთა რაოდენობა ქმნის $2 \times 6348 = 12696$ ერთეულს.

შემდეგ, როგორც აკად. გ. წერეთელი წერს, ნახევარკარედების დანაწილება სეგმენტებად ორგვარია:

A. სიმეტრიული, როდესაც ნახევარი სტრიქონის ფარგლებში, გვაქვს თანაბარი/ გალიოთად:

4

4

4

4

"განსწავლულსა გააშმაგებს | უსწავლელსა გაასწავლებს"

B. ასიმეტრიული, მაგრამ აკრეთვე ბინარული ხასიათისა, როდესაც ნახევარკარელი შედგება ორი სხვადასხვა ზომის კუნტმარცვლიანი სეგმენტისაგან 5_3 ან 3_5. მაგალითად:

3

5

1

2

5

"ცოდვათა შესუბუქება | მუნ თანა წასატანისა"

3

2

3

1

4

3

"აქამდის ამბად ნათქვამი | აწ მარგალიტი წყობილი"

განსაკუთრებით ასიმეტრიული ნახევარკარედები, რუსთველური „დაბალი შაირით“ გაწყობილი სტრიფებისა, აგებულია „ოქროს კვეთის“ პროპორციის პრინციპის მიხედვით და ამაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, მაშინ როცა „მაღალი შაირის“ ნახევარკარედები სიმეტრიის და პროპორციის პრინციპითაა აგებული.

მცირე რამ, არქიტექტურაში „ოქროს კვეთის“ პროპორციის გამოყენებაზე უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები აქ მხრივ ჯერ არავის შეუსწავლია, ზოგადი ხასიათის მინიშვნებებს თუ არ გავითვალისწინებთ. საერთოდ, ქართული საეკლესიო ნაგებობათა არქიტექტურული დეტალების ზომები არაა ცნობილი ძეგლთა აღწერილობაში, თუ არა ნაგებობის სიგრძე-სიგანისა და ზოგვერ სიმაღლის ჩვენება. თავისთავად ცხადია, რომ უნიკალური ქართული ეკლესია-მონასტრები, როგორიცაა სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ბედია, ზარზმა, ნიკორწმინდა, სამება და სხვა, ჯვრის ტიპისაა, ჯვრში კი გამოსახულია „ღვთაებრივი პროპორციის“ რიცხვი 0,62. იგულისხმება ჯვრის მცირე და დიდი ნაწილების ზომათა ფარდობა, იგივე ითქმის ადამიანის ტანის, კიდურების და საერთოდ სხეულის ნაკვთთა პროპორციულ დამოკიდებულებაზე, ამიტომ ფრიად საშური საქმეა, ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებული იქნას ბაგრატის ტიპის ტაძრებში სვეტიცხოვლის და ბედის მონასტრებში ზომების შესაბების საკითხი. თუ ეს პროპორციები

3/5 ან 5/8 თანაფარდობით გამოისახება ფუძიდან ყულამდე და ყულიდან გუმბათამდე მანძილების შერჩევისას, ანდა საყრდენი ოთკუთხა დიაგონალის ფუძის და ტაძრის სიმაღლის ფარდობისას, მაშინ გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება ბაგრატის აღსაღვენი ტაძრის სიმაღლის შესახებ.

ამჯერად აღარ შევჩერდებით უნიკალური ქართული ჩუქურთმებში ტაძრების პერაზებზე ამოკვეთილ არქიტექტურულ დეტალებში, ხატებსა და კარედებში

(მაგალითად სახულის კარედის) გამოვლენილი სიმეტრია_ასიმეტრიის ფორმებზე/ რომლებიც კონკრეტულ რელიგიურ გამოსახულებებს წარმოადგენს და უმჯობესობა ლიზებთ გელათის აკადემიის კარიბჭის სფერული გამოხატული სიმეტრია_ასიმეტ-რიის ფორმებს და მათ ერთობას.

როგორც ცნობილია, გელათის აკადემიის შენობის შესასვლელი_კარიბჭიე ეყრდნობა ოთხ 1 მეტრი და 50 სმ სიმაღლის სვეტებს. ოთხივე სვეტის თავი (კა-პიტელი) ერთნაირი არქიტექტურული დეტალისაა. რაც შეტება სვეტებს, რომ-ლებსაც ეყრდნობა კარიბჭის თაღი, ასიმეტრიული არიან, როგორც დასავ-ლეთ_აღმოსავლეთის, ისე სამხრეთ_ჩრდილოეთის სიმეტრიის ღერძის მიმართ. შე-სასვლელის წინა მარჯვენა სვეტი რვაკუთხედის ოთხი გამოკვეთილი მცირე, მაგ-რამ ერთიანი ფორმისაა, უკანა მარჯვენა სვეტი მასიურ რვაკუთხედს წარმოად-გენს. შესასვლელის წინა მარცხენა სვეტი ოთხი მცირე ცილინდრისაგან შედგება, უკანა მარცხენა სვეტი კი მასიურო დიდი ცილინდრის ფორმისაა. უნდა ვივარაუ-დოთ, რომ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა უკანა სვეტების ფუძის ფართობები ერთმანეთის ტოლია და $s = 4s_0$. ($s_0 = 0,25\pi d^2$). ასეთივე თანაფარდობაა მა-სიური ცილინდრის ფუძის ფართობსაც და დიდი რვაკუთხედის ფორმის მცირე ცილინდრის ფართობებს შორის ($s_0 = 4,4a^2$), სადაც d მცირე ცილინდრის დია-მეტრია, ხოლო a მცირე რვაკუთხედის გვერდის სიგრძე. ჩვენი ვარაუდით, ცილინ-დრის და რვაკუთხედის ფორმის სვეტის ფუძის ფართობები, ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, როგორც მასიური, ასევე ოთხკუთხა დაყოფისას, თუ მხედველობაში იქნება მიღებული მრავალკუთხედის გარშემოწერილობის ზღვრული მნიშვნე-ლობა.

ამჯერად ჩვენ არაფერს ვიტყვით კარიბჭის თაღის ოთხი ელიფსური ფორმის ფიგურების ფართობთა ურთიერთდამოკიდებულებაზე და გავაანალიზებთ სიმეტ-რია_ასიმეტრიის ფორმათა მიხედვით შესასვლელის კედლის ძალზე საინტერესო ფიგურას. ქვის ქრთან ბარელიფფზე გამოსახულ, სხვადასხვა სიმეტრიულ, გეო-მეტრიულ ფიგურათა შორის, ყველაზე საინტერესოა წრიულ ბადროზე ამიკვეთი-ლი ცხრაფურცელა ვარდულა, რომლის გარშემო, წრიულად განლაგებულია 27 წერტილიანი რკოლი. თუ რაიმე სიბბოლიკა ამ ციფრებში, მაშინ უნდა გაიშიფ-როს, რას ნიშნავს რიცხვი 27. ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ პანთეონ-ში 9 წმინდა რიცხვია (9 ციური სფერო), ხოლო მთვარის სინოდური თვე 27 დღიანია. თავისთავად 9 და 27, სამ-ებასთან დაკავშირებულ რიცხვების გარკვე-ულ სიმეტრიულ განლაგებას წარმოადგენს. მართლაც:

$3^{\circ} = 1; 3^1 = 3; 3^2 = 9; 3^3 = 27$, საინტერესო იქნებოდა მოძებნილიყო 9X 27=243 რიცხვის, რაღაც სიდიდის საზომთან დაკავშირების საფუძველი, როგო-რიცხა 19 X 28 = 532 წელი; 532 წლიანი დროის აღრიცხვა, რომელიც ქორონი-კონის წელთაღრიცხვასთანა დაკავშირებული, ღრმა ასტრონომიულ_კალენდრუ-ლი ხასიათის რიცხვს წარმოადგენს. კერ_კერობით 243 წლიანი პერიოდის ციკ-

ლზე დაფუძნებული, წელთაღრიცხვის შესახებ, ძველქართულ კალენდარულ სის-
ტემებში არაფერია ცნობილი, მაგრამ სავარაუდოა, ამ ფიგურალურ, რელიეფურ
გამოსახულებაში, ჯერაც გაუმიტერავი მათემატიკურ_ასტრონომიული შენარსის
სიმბოლიკა იმაღლება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისე, როგორც პლატონის
(427_347) აკადემიის შესასვლელში, სიმბოლური წარწერა: გეომეტრიის უცოდი-
ნარს აკადემიაში არაფერი ესაქმება! ასევე გელათის აკადემიის კარიბჭე მიანიშ-
ნებს იმაზე, რომ ამ კარიბჭეში ფეხშედგმული, მათემატიკა_ასტრონომიაში და
სიმეტრია_ასიმეტრიის კანონებში, განსწავლული უნდა ყოფილიყო.

სარკული სიმეტრია_ასიმეტრიის სრულიად შეუწავლელი და ფეხშეუდგამ
სამყაროს წარმოადგენს ხატწერის, ჭედურობის, ვევრარხატების, კარედების, ბიბლი-
ის და სახარების სიუკუტური მხატვრობის ნიმუშები. უპირველეს ყოვლისა, XI ს.
გელათის მონასტერში დაცული კაცის (საკურთხევლის წინ დასადგმელი) რატი-
სეული დიდი ჯვრის შესახებ. ჯვრის სიმაღლე_სიგანეზე (ზომით 2,35 x 1,15 მ)
განლაგებულ ჭედურ ფირფიტებზე გამოსახულ წმინდანთა სარკულ სიმეტრიაში,
ფეხურებზე და ფირფიტის აშებზე გამოკვეთილ ვარდ_ყვავილოვან ორნამენტში
ასახულია გარეშე სიმეტრიისა და შინაგანი ასიმეტრიის აშეარა ნიშნები (იხ. გი-
ორგი ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობა. რკვევის ქართული შუასაუკუ-
ნეთა ხელოვნების ისტორიისათვის“, სახელვამი „საბ. საქართველო“, თბ. 1959.
ტექსტი გვ. 447_482, ილუსტრაციები (№272, 273, 274, 275, 276), [5].
ამათვან გამონაკლისია მარივალტა წირქაღლელის (X-XI ს.) გადასატანი ჯვრის
(ზომით 23 X 27,5სმ), რომელიც კონსტრუქციულად ძალზე რთული
ავებულებისაა და მასში ოქროს კვეთის სიმეტრიის დაფიქსირება ძნელია; ამასთან,
ჯვრის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ბოლოებზე, ზოგიერთი დაკარგული
ბუნიკების გათვალისწინებით, როგორც ჯვრის წინა (ჯვარცმის) მხარეზე, ასევე
უკანა (ღვთისმშობლის) მხარეზე, აღინიშნება ქართული ჭედურობაში გამოვლენი-
ლი სიმეტრია_ასიმეტრიის უნივერსალური ნიშნები (იხ. გ. ჩუბინაშვილი, ტექსტი
გვ. 169_172, ილუსტრაცია 371_374).

სიმეტრია_ასიმეტრიის რა ფორმები არაა გამოყენებული გენიალური ოქრომ-
ჭედლის მიერ, რომელმაც შექმნა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგ-
რატ III-ს განძი (X ს.), ბედის ოქროს ბარძიმი", რომელზედაც გამოსახული
არიან ქრისტე, მისი 12 მოციქული და ღვთისმშობელი_ყრმა იქსოთი.

ჩვენ აქ არაფერს ვიტუვით სხვადასხვა ოქრომჭედლებზე, რომელმაც შექმნეს
მსოფლიო მნიშვნელობის კარედები და_განსაკუთრებით ბექა და ბეჭებრ ოპიზ-
რების ხახულის კარედზე, ორიდ სიტყვით ყურადღებას მივაპყრობთ ქუთაისის
ღვთისმშობლის (პალიასტონის) საწაულოთმოქმედ XII ს. ხატზე, რომელზეც გა-
მოსახულ ყრმა იქსოს და ღვთისმშობელს ამშვენებს თორმეტი, სხვადასხვა პოზა-
ში, ფეხზე მდგარი მოციქული, მარჯვენა_მარცხენა სიმეტრიის ღერძზე 14 წმინ-
დანი ჰორიზონტალურ აშებზე. ვერტიკალური სიმეტრიის ღერძის მიმართ
მდგარი მოციქულები, ერთმანეთის მიმართ სარკული (მარცხენა_მარჯვენა პოზა)

სიმეტრიის შენარჩუნების პარალერულად, არ კარგავენ დინამიზმს, რითაც გენია-ლური ხატმწერალი ავლენს უმაღლეს ოსტატობას. ან, თუ გნებავთ, მშობლის და ყრმა იქსოს ვეირგვინის სიმეტრიის ფორმებს დაფუკვირდეთ, რა სრული პარმონია და უმაღლესი გამოვლენა ღვთაებრივი წესრიგისა.

ყოველივე ზემოთნათქვამი, გვინდა დაგასრულოთ გელათის სამონასტრო კომ-პლექსის მთავარი ტაძრის გუმბათის მოზაიკური მხატვრობის და გენიალური ქართველი ოსტატის ნამუშევრის, სიმეტრია_ასიმეტრიის ან სხვაგვარად სტატი-კურ_დინამიკურ ფერისცვალებაში გადასული ყრმა ქრისტე_ღვთისმშობლის და მთავარანგელოზების მიქაელის და გაბრიელის მოზაიკურ მხატვრობაზე მითო-თებით.

ლიტერატურა

1. Узоры симетрии. Под. ред. М. Сенешаль и Д. Флека, изд. „Мир”, М. 1980.
2. И. А. Кизель. Физические Причины Диссиметрии Живых Систем. Из. „наука”, М., 1985.
3. დ. კურდლელაძე. სიცოცხლე ფიზიის თვალსაზრისით და სიცოცხლის ადგილი სამყროში. გამ. „საქართველო”, თბ., 2001.
4. გ. წერეთელი. მეტრი და რითამ ვეფხისტყაოსანში. გამ. „მეცნიერება”, თბ. 1970.
5. Г. Н. Чубинишвили. Грузинское Чеканное Искусство. т. I текст, т. II иллюстрации. „Саб. Сакарт”, Тб., 1959.

თორნიკე კვრემიძე

სიმეტრია_ასიმეტრიის ფორმები და მათი გამოვლენა
ბუნებასა და ხელოვნებაში
რეზიუეტ

ნაშრომში განხილულია არაორგანულ და ორგანულ ბუნებაში სიმეტრია_ასიმეტრიის ისე-
თი სახეობანი, როგორიცაა „ოქროს კვეთის” პროპორცია, სარკული და ღერძული სიმეტრია,
მათი კუშინირი შენახვა_მუდმივობის კანონებთან და ზოგიერთი გამოვლინებანი ხელოვნების
სხვადასხვა დარგში. ამათვან გაანალიზებულია გიორგი წერეთლისეული კანცეცუცა
„ვეფხისტყაოსნის” დაბალი შარის, „ოქროს კვეთის” პროპორციის პრინციპით გამართებაში, გვ-
ლათის აკადემიის კარიბჭის სკულპტის კონსტრუქციაში, ჯვრის ტიპის ტაძარ_მონასტრების
(სკულპტორები, ბავრატი, ბედია...) არქიტექტურაში, დასადგმელი ჯვრების და ჭიდური კა-
რედების შექმნაში რეალიზებული სიმეტრია_ასიმეტრიის ფორმები.

Tornike Efremidze

The Forms of Symmetry - Assymetry and their Reflection in Art and Nature
Abstract

The work discusses the forms of symmetry-assymetry as proportion of "gold Carvation", mirror image and axis image symmetry in organic and nonorganic nature with the respect of their connection with the law of constant-conservation and some of their reflections in different branches of art. Among them the forms of symmetry-assymetry

realized in Giorgi Tsereteli's conception concerning making up "low shairi" - (two line of four line verse usually humorous and topical recited in a lively manner) in the poem "Tiger in the Panther's Skin" according to "Gold Carvation" principles, in the architecture of cross image cathedrals and monasteries (Svetitskhoveli, Bagrati, Bedia...) in the design of different types of crosses are analized in the work.

The Panorama of the four columns of the Gelati Monastery Academy Arch is an unique example of connection of symmetrical-assymetrical and static-dynamic forms; 8-cornered parallelepiped carved in the front left-side column from the entrance and a big 8-cornered parallelepiped in the back are approximately corresponding in number with 4 circular-cylindrical east-side front colum and massive cylidreal back column.

The question of defining 9-leaf-rose image in the inside circle of the arch ornament and 27 pointed mark in the outside circle is stated.

თეიზოგას კათედრა

თორნია ეფრემიძე, შალვა პირთაძე

**აკად. 6. მუსეალიგვალი შავი გამოსხივების თეორიის
შეარენაზღვი ამოცანის შესახებ**

პ. ურნფესტის [1] და ა. პუანკარეს [2] მიერ 1911 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომებში დასმული იყო შავი გამოსხივების თეორიის (შეთ) პირდაპირი ამოცანის მკაცრი მათემატიკური ამოცსნის გზა.

როგორც ცნობილია, შეთ პირდაპირი ამოცანა, პ. ურნფესტის მიხედვით, დაიყვანება სპეციულული განაწილების $f(\lambda)$ ფუნქციისათვის დისკრეტული G_k და უწყვეტი $G(q)$ წონითი ფუნქციების შერჩევაზე გამოსახულებაში

$$C_1 f(\lambda) = \frac{P(\lambda)}{Q(\lambda)} = -\frac{d}{d\lambda} \ln Q(\lambda), \quad Q(\lambda) = \exp[-C_1 f(\lambda)], \quad (1)$$

$$\text{სადაც } P(\lambda) = \sum_{k=1}^{\infty} q_k e^{-\lambda q_k} G_k + \int_0^{\infty} q dqe^{-\lambda q} G(q), \quad \lambda = \frac{h\nu}{kT}, \quad (2)$$

$$Q(\lambda) = \sum_{k=1}^{\infty} e^{-\lambda q_k} G_k + \int_0^{\infty} dq e^{-\lambda q} G(q), \quad C_1 = \frac{\alpha c^3}{8\pi}, \quad (3)$$

რომელიც უზრუნველყოფს დიდი, შეალედური და მცირე სიხშირეების შემთხვევაში შესაბამისად ვინის ($Q(\lambda) \sim e^{-\lambda}$), პლანკის $Q(\lambda) \sim (e^{\lambda} - 1)^{-1}$ და რელეი-ჯინის ($Q(\lambda) \sim \lambda^{-1}$) განაწილების კანონის მიღებას.

ა. პუანკარემ თავისი წვლილი შეიტანა საშუალო სიხშირეების ინტერვალში პლანკის განაწილების ფუნქციის მათემატიკურ ამოცსნაში. მისი აღწერის მიხედვით, არავითარმა მათემატიკურმა ოინჩა" არ შეიძლება მოვცეს სწორი ამოცსნა, თუ არა მხოლოდ დისკრეტული სტატიკური წონის შემოტანამ.

6. მუსეალიშვილმა 1920 წ. შესრულებულ და 1924 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში [3], სტილტიქის ინტეგრალის გამოყენებით, რომელიც დაიყვანება დირაკის

δ - ფუნქციაზე [4], მე(3) გამოსახულება ჩაწერა სახით:

$$Q(\lambda) = \int_0^\infty e^{-\lambda x} G(x) dx = \lambda \int_0^\infty e^{-\lambda x} \phi(x) dx, \quad (4)$$

სადაც $\psi(x) (0, \infty)$ ინტერვალში წავიტილი ფუნქციაა $x=x_k$ წერტილების მიღამოში, როცა,

$$G_k = \psi(x_k + 0) - \psi(x_k - 0), \quad (5)$$

ხოლო $x \neq x_k (k = 1, 2, 3, \dots)$ წერტილებისთვის $G(x) = d\psi / dx$ უწყვეტია [4]. შეგ შებრუნებულ ამოცანას, ნ. მუსხელიშვილი განიხილავს კომპლექსურ სიბრტყეში ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნის სახით, სადაც $\tau = \lambda + i\mu, (\lambda, \mu > 0)$, რომლის შესაბამისად (4)-ე გადაიწერება სახით:

$$\int_0^\infty e^{-(\lambda+i\mu)x} \psi(x) dx = \frac{Q(\lambda + i\mu)}{\lambda + i\mu}. \quad (6)$$

თუ (6) გამოსახულების ორივე მხარეს $(2\pi)^{-1} e^{i\mu x}$ -ზე გავამრავლებთ და ავიღებთ ინტეგრალს $(-\infty, +\infty)$ საზღვრებში, მიღება

$$\psi(x) = \frac{e^{\lambda x}}{2\pi} \int_{-\infty}^{\infty} \frac{Q(\lambda + i\mu)}{\lambda + i\mu} e^{i\mu x} d\mu. \quad (7)$$

ნ. მუსხელიშვილი (7) ინტეგრალს განიხილავს კომპლექსურ სიბრტყეში, სადაც ინტეგრება ხდება წარმოსახვითი ლერძის გასწვრივ $\lambda \rightarrow 0$, როცა ის ჩაიწერება სახით

$$\psi(x) = \frac{1}{\pi i} \int_{-i\infty+\lambda}^{+i\infty+\lambda} \frac{Q(\tau)}{\tau} e^{x\tau} d\tau : \quad (8)$$

მიღებული ინტეგრალური გარდაქმნის გამოყენების ეფექტურობის დემოსტირების მიზნით. მუსხელიშვილი განიხილავს სხვადასხვა შემთხვევებს.

სპეციული განაწილების კომპლექსური ფუნქციის $\tau = 0$ წერტილში წარმოდგენის მიხედვით, ნ. მუსხელიშვილი ნაშთების ფორმულის გამოყენებით პოლიომს:

$$1) Q(\tau) = \tau^{-1}, \tau \ll 1 \quad (\text{რელეი-ჯინსის ფორმულის თანახმად})$$

$$\psi(x) = \frac{1}{2\pi i} \int_0^\infty \frac{e^{\tau x}}{\tau^2} d\tau = x \quad (9)$$

მართლაც, როგორც ცნობილია, კოშის თეორემის თანახმად (გვ. 79) $f(x)$ ანალიზური ფუნქციის ნაშთი. განსაკუთრებულ განმხოლოებულ a წერტილში ანუ პოლუსში გამოითვლება ფორმულით

$$\operatorname{Re} sf(a) = \frac{1}{2\pi i} \int_{\gamma} f(z) dz = C_{-1}. \quad (10)$$

სადაც C_{-1} არის ლორანის მწერივის $n = -1$ შესაბამისი კოეფიციენტი:

$$C_n = \frac{1}{2\pi i} \int_{\gamma} \frac{f(z) dz}{(z-a)^{n+1}}. \quad (11)$$

საიდანაც სჩანს, რომ აცილებად განსაკუთრებულ $z = a$ წერტილში ფუნქციის ნაშთი ყოველთვის ნულის ტოლია.

ამ შემთხვევაში $f(z)$ ფუნქციის ნაშთი a წერტილში განისაზღვრება ფორმულით

$$\operatorname{Re} sf(a) = \frac{1}{(n-1)!} \lim_{z \rightarrow a} \frac{d^{n-1}}{dz^{n-1}} [(z-a)^n f(z)]. \quad (12)$$

მუსხელიშვილისეული $f(\tau, x) = e^{\tau x} / \tau^2$ ფუნქციისათვის, $\tau = 0$ წერტილი არის მეორე რიგის აცილებადი განსაკუთრებული წერტილი, ამიტომ

$$\operatorname{Re} s f(x) = \lim_{\tau \rightarrow 0} \frac{d}{d\tau} \left(\tau^2 \cdot \frac{e^{\tau x}}{\tau^2} \right) = \lim_{\tau \rightarrow 0} x e^{\tau x} = x. \quad (13)$$

ამ შემთხვევების შესაბამისად

$$\psi(x) = x, \quad G(x) = \psi'(x) = 1, \quad G_k = 0, \quad (14)$$

საიდანაც ნ. მუსხელიშვილი აკვნის, რომ უწყვეტია სპეცირის $G(x) \neq 0$
სტატისტიკური წონა, ხოლო $G_k = 0$.

2) $\mathcal{Q}(\tau)$ არის 2π პერიოდის მქონე ფუნქცია. ამ შემთხვევაში ნ.
მუსხელიშვილი განიხილავს ზოგად გამოსახულებას

$$\mathcal{Q}(\lambda + i\mu) = \mathcal{Q}(\tau) = \sum A_n e^{n(\lambda+i\mu)} \quad (15)$$

a) პლანკის განზოგადებული განაწილების ფუნქცია მიიღება, როცა
 $A_n = e^{-\tau}$ და

$$\mathcal{Q}(\lambda + i\mu) = \sum_{n=0}^{\infty} e^{-(n+1)(\lambda+i\mu)} = (e^{\lambda+i\mu} - 1)^{-1}. \quad (16)$$

ცხადია, ფიზიკური დასაბუთების მიცემა A_n კოეფიცინტებისათვის ძნელია,
მაგრამ მათემატიკურად მე-(16) თანაფარდობა ადვილად მიიღება თუ $\mathcal{Q}(\tau)$
ფუნქციას წარმოვადგენთ მწერივის სახით

$$\mathcal{Q}(\tau) = e^{-\tau} (1 + e^{-\tau} + e^{-2\tau} + \dots) = \frac{e^{-\tau}}{1 - e^{-\tau}}, \quad \tau = \lambda + i\mu \quad (17)$$

b) როცა $A_n = (n!)^{-1}$ მაშინ

$$\mathcal{Q}(\lambda + i\mu) = \sum_{n=0}^{\infty} \frac{1}{n!} e^{-n(\lambda+i\mu)} = \exp[\exp(-\tau)], \quad (18)$$

რომლის გამოყვანის დროს ნ. მუსხელიშვილი სარგებლობს ფურიეს შებრუნვებული
გარდაქმნით:

$$\psi(x) = \frac{1}{2\pi} \int_{-\infty}^{\infty} d\mu \sum_{n=0}^{\infty} A_n \frac{e^{(\lambda+i\mu)(x-n)}}{\lambda + i\mu}, \quad (19)$$

რომელ გამოსახულებაშიც ნ. მუსხელიშვილი სარგებლობს δ - სახის ფუნქციით

$$\theta(\lambda + i\mu, k) = \frac{1}{2\pi} \int_{-\infty}^{\infty} \frac{e^{k(\lambda+i\mu)}}{\lambda + i\mu} d\mu = \begin{cases} 1, & k > 0 \\ \frac{1}{2}, & k = 0 \\ 0, & k < 0 \end{cases}, \quad (20)$$

რომლის გამოყენებით მიიღება:

$$\psi(x) = \sum_{n=0}^{\lfloor x \rfloor} A_n = A_0 + A_1 + \dots + A_{\lfloor x \rfloor}. \quad (16)$$

შესაბამისად

$$G_n \equiv A_n = \psi(x_n + 0) - \psi(x_n - 0) \neq 0, \quad G(x) = 0, \quad n=1,2,\dots[x] \quad (21)$$

[6].

შევნიშნავთ, რომ სტატიის ნაბეჭდ ტექსტს და ამავე სტატიის ხელნაწერს შემორის არის ფიზიკური და მათემატიკური ხასიათის ცვლილებები.

მათემატიკური მტკიცებები მოცემულია შენიშვნების, სქოლიობებისა და მათემატიკური დანამატების სახით, მაშინ როცა ყველა ამ მასალას ხელნაწერი თვით ტექსტში შეიცავს. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გამომცემლობამ სტატია 1921 წლის 21 ივნისს მიიღო და ჩვენს ხელთ არის ხელნაწერი, რომელიც 1920 წლის 20 მარტით არის დათარიღებული, შეგვიძლია დავაკვირა, რომ მასალის ასეთი გადაჯგუფება თვით ავტორის მიერ მოხდა. აქევ უნდა აღნიშნოს იმ გარმოების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს მუსხელიშილის მიერ მისი მუუღლისადმი ლონდონში გაგზავნილ აქამდე უცნობ წერილიდან. ეს წერილი 1923 წლის 4 აპრილით თარიღდება. ქვემოთ მოვაკევს ნაწყვეტი ამ წერილიდან: "... აქ მხოლოდ (იგულისხმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გიორგის შეეძლო გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც ტამარენმა, კრიუტკოვმა და უსაქეს კი გააკეთეს იქ (პეტერბურგის უნივერსიტეტი). როგორც მასსოვს მე შენ უკვე გამამდე ერთი შემთხვევის შესახებ. მე ჩემი ერთი ხელნაწერი დაუტოვე იქ კრიუტკოვისათვის (მან მთხოვა მე ამომეხსნა ერთი მათემატიკური ამოცანა). მათ ეს ხელნაწერი თარგმნეს გერმანულად ჩემი ნებართვის გარეშე და დასაბუჭილად გაგზავნეს გერმანიაში. ერთადერთი, რაც ცუდი გააკეთეს იყო ის, რომ მათ ჩემი გვარი დაწერეს, როგორც მუსხელოვი და არა მუსხელიშვილი". წერილიდან არ ჩანს, რომ პეტერბურგში დატოვებული უცნობი ხელნაწერი და სტატია „ერთი ინტეგრალური ამოცანის ამოხსნა" ხელნაწერი ერთი და იგივე არ არის. ფიზიკური სტატია, რომელიც გერმანიაში გაიგზავნა, მუსხელიშვილის შრომების ბიბლიოგრაფიაში არ ჩანს. ჩვენი კვლევა ამ მიმართულებით უშედგოდ დასრულ-



და. უცნობია თუ რომელ ჟურნალში გაიგზავნა დასაბულებად სტატია. ჩვენ ამ მიენდეთ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგი რამ ამ ამოცანის შესახებ, „კრუტკოვს გამოყენებინა ქვემოთხსენებულ სასწავლო ჟურნალი“. ამ დროს კრუტკოვი მუშაობდა მონოგრაფიულ სტატიაზე ადიაბატური ინვარიანტებით და მათი გამოყენება თეორიულ ფიზიკაში”, რომლის ხელნაწერი სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის რედაქციაში გავზარილ იქნა 1921 წლის 3 ივნისს და სადაც არც ერთი მინიშნება არ იყო მუსხელიშვილის შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ ის თემები, რომლებიც მუსხელიშვილის ზემოთაღნიშნულ სტატიაში იყო განხილული, საერთოდ არ ყოფილა ნახსენები კრუტსოვის სტატიაში. შესაძლებელია კრუტიშვილის თარგმნილი სტატიის ბეჭდვის პროცესში შექმნილმა ვითარებამ, პროფ. კრუტკოვმა ის ჯრФХО რედაქციას წარუდგინა მუსხელიშვილთან კონსულტაციის გარეშე და გამოაქვეყნა ისეთი სახით, როგორიც დღეს ჩვენს ხელთა.

REFERENCES

1. P.Erenfest. Otnositelnost. Kvantiy. Statistica. Moscow. 1977 (Russian);
2. H.Poincare. Izbrannye Trudy. V.3, Moscow, 1974 (Russian);
3. N.Muskhelishvili. JRPCO, Phyz.56,1924,30-39 (Russian);
4. T.Efremidze. Bulletin of the Georgia Acad. of Sciences, 162, N1., 184-187,2000;
5. T.Efremidze. DEMPh. 2001, Internet: <http://www.rmi.acnet.ge/DEMPh>;
6. M.A. Lavrentyev, B.V. Shabat The Theory Methods of Functions of Complex Variable 2-nd edition, M.-L. 1958, 678.
7. I. Krutkov. T O I. B.12. 1-92, s.-Petersburg, 1922 (Russian).

Thornike Efremidze, Shalva Kirtadze
N.Muskhelishvili About Reversal Problem of
The Radiation Theory.

Abstract. The paper discusses N.Muskhelishvili's contribution to the arise and solution of reversal problem of the Blackl Radiation Theory (BR^T) developed in his article "The Solution of the Direct Problem of Black Radiation" (completed in 1920 and published in 1924). He stated that if we have Rayleigh-Jean's, Planck's and Wien spectral distribution functions, mathematically there is possibility of finding corresponding undiscrete and discrete statistical weight for them.

It should be noted that there exist some editorial changes between manuscript of the article and its printed text. This is basically manifested in the separation of mathematical and physical portion of the article. The mathematical substantiations and assertions are given as notices, scholiums and mathematical appendixes, while, this material, in the manuscript, is mainly included in the text. If we take into account the circumstance that

JRPCO received the article on June 21, 1921 and we have manuscript which is dated by March 22, 1920, it can be assumed that such regrouping of the material of the article was made by author. Herewith, it is necessary to note the circumstance which follows from Muschelishvili's future unknown latter to his wife in London. This letter is dated by April 4, 1923 below is the fragment:

"Only (it is implied Tbilisi State University) Giorgi could have done such things what had had done Tamarkin, Krutkov and Uspenski there (Petersburg University). As I remember I told you about one incident. I left one manuscript there written by me for Krutkov's course (he asked me to solve one math. problem). They translated this manuscript into Germany there without my permission and sent it for printing to Germany.

Only one default is that my surname was published as Muskhelov but not as Muskhelishvili [210]. From letter it isn't seen that the left unknown letter in Petersburg and manuscript of the article "The Solution of one Integral Equation" founded by us is the same. The physical article, published in German, is not seen in Muskhelishvili's bibliography of papers. Our research in this direction ended without result (it is unknown to which journal the article was sent). We should guess that some information about the problem was reflected in the Krutkov's abovementioned course. In this period I. A. Krutkov was working on the monographycal article "Adiabatical invariants and their use in theoretical physics" [6], which manuscript was passed to the editorial office of articles of the State Optical Institute on January 9, 1921 and where there was not any indication about Muskhelishvili. We should remark that the themes, corresponding to Muskhelishvili's above discussed article, was not considered at all in Krutkov's article or it was used without any reference to it. It is presumably because of procrastination of the printing process of translated article, Prof. Krutkov submitted it to editorial office of JRPCO without consultation with Muskhelishvili, which was published with such appearance.

ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელწიფო უნივერსიტეტი

მურამ ერებეგვილი, ელენე ყიშიანი, თიმე ღვალი, ირინა იოსელიანი

**კირობალოდის ტიპორალეკილირება მეთილენფილონგაზაზით
კატალიზაციონირების გოგირდობაზე და „KY-2“-ის თანაობისას**

დღეისათვის კაცობრობის წინაშე რიგი გლობალური პრობლემები დგას, ესნია: ომისა და მშენდობის, მზარდი მოსახლეობის საკეთი პროდუქტებით უზრუნველყოფის, ენერგიის ახალი წყაროების მოძიების და ბუნების დაცვისა.

ამ მიზნით უნდა განხორციელდეს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიათა დანერგვის ღრმისის მიერთა კომპლექსი, განუხრელად უნდა გაიზარდოს მარცვლეულის წარმოება-კეცუნის სასურსათო და საფურაუ ფონდების შექმნის საფუძველი, ხორბლის, სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა და სიმინდის მოსავალი. უნდა გაძლიერდეს მუშაობა ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის გამოყენების საფუძველზე სასოფლო -სამეურნეო კულტურების ისეთი ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების შექმნის და წარმოებაში დანერგვისათვის, რომლებიც შექსაბამებიან ინტენსიურ ტექნოლოგიათა მოხმოვნებს, რომლებიც შედეგი იქნებიან გარემოს არაალისაყრელი ზემოქმედებისადმი და აკმაყოფილებენ კვების მრეწველობის მოხმოვნებს.

კეცუნის წინაშე დგას დიდი საპროგრამო ამოცანა — უზრუნველყოს მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურსათზე, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

ორგანული სინთეზის მრეწველობის პროდუქტები ყოველ წლისთვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძნეს, მათგან ერთ-ერთია მცნარეთა ზრდის სტიმულატორები. ეს სახელწოდება აერთიანებს, როგორც ნივთიერებებს, რომლებიც აფერხებენ და ზოგჯერ ანადგურებენ კიდეც მათ. ზრდის სტიმულატორები დაბალი კონცენტრაციითაც კი ააქტივურებენ ამა თუ იმ ფიზიოლოგიურ პროცესს, მაღალი კონცენტრაციით კი ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად აფერხებენ მცნარის ზრდას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ნივთიერებების შეჩრევითი აქტივორობა ზოგიერთი სახის მცნარეების მიმართ, ქმნის კარგ პირობებს ზრდის სტიმულატორების მრავალმხრივი გამოყენებისათვის.

სოფლის მეურნეობაში ქიმიზაცია მოითხოვს მინერალურ სასუქების, ინ-
სკელიციდების, ზრდის სტიმულატორებისა და სხვათა გონიფრულ გამოყენების
თანამედროვე მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა ზემოქმედება მოახდინოს მცენა-
რებში მიმდინარე ქიმიურ პროცესებზე, რათა დაჩქარდეს მათი ზრდა-განვითა-
რება.

პესტიციდებიდან დიდ უურადღებას იპყრობს ზრდის სტიმულატორები, მათი გამოყენებით ჩქარდება ფესვთა სისტემის (მცენარეთა დაფესვიანება) ზრდა, ძლიერდება ავადყოფილობათა მიმართ მცენარის წინააღმდეგობის უნარი, ამასთან მათ გამოიყენებენ მცენარეთა ჭარბი ყვავილებისას ზედმეტი ყვავილების მოსაცი-
ლებლად, რაც იცავს მცენარეს გამოფიტვისაგან (ამ დროს ისინი ხელით შრომა-
საც ცვლიან). ასევე მოქმედებენ მცენარეთა ნაყოფიერებაზე, ზრდაზე, ზრდიან ნაყოფების შაქრიანობას (შაქრის ჭარბალში), სახამებლის შემცველობას სახამებლისმომცემ მცენარეებში, უჯრედისის შემცველობას ბამბაში, ხელს უწყობს უთესლი ნაყოფების მიღებას, ზოგჯერ ზრდის სტიმულატორები გა-
მოიყენებიან ფოთოლცვენის შემცირებისათვის.


ზრდის სტიმულატორებისა და პერიციდების სინთეზის საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა აკად. ს.ს ნამიორეკინმა, უჯრერი აციკლური სპირტების ფენო-
ლებთან კონდესაციით სხვადასხვა კატალიზატორის თანამისას ა.ი. კახნიაშვილმა და მისმა თანამშრომელებმა აწარმოეს სინთეზი მრავალი ალკილფენოლისა, მაგ-
რამ ალიციკლური სპირტებისა და ამ რიგის ზოგიერთი უჯრერი ნაბშირწყალბადის კონდესაცია ფენოლებთან ნაკლებად არის შესწავლილი, ამ მი-
მართულებით საკვლევი მუშაობა პირველად განხორციელდა ქუთაისის პედაგოგი-
ური ინსტიტუტის ქიმიის კათედრაზე პროფ. დ. გაბრიაძის ხელმძღვანელობით და
მრავალი წელია იგი ორგანული ქიმიის ლაბორატორიის კვლევის საგანს წარმო-
ადგენს.

ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს იმ მიმართულებით, რომ მიღებულ იქნეს ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ალკილფენოლები, რომლებიც დააკმაყოფი-
ლებს ყველა იმ მოთხოვნებს, რომელსაც მას უყენებენ, ჩვენს მიერ სინთეზირებუ-
ლი ნივთიერებებიდან მრავალი აღმოჩნდა ბიოლოგიურად აქტიური.

ექსპერიმენტული ნაწილი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოგვებდინა პიროგალოლის (1,2,3-
ტრიოქსიბენზოლის) ციკლოალკილირება მეთილენციკლობუტანით კატალიზატო-
რების გოგორდმეულას და „Ky-2“-ის თანამისას. ჩვენს მიერ წინა გამოკვლევების
დროს, სინთეზისათვის ვიყენებდით 80%-იან გოგირდმეულას, რამაც გამოიწვია მო-
რავირე ნივთიერებათა დიდი ნაწილის გაფისვა, რაც ძლიერ ამცირებდა რეაქცი-
ის პროცესს გამოსავლიანობას. ამიტომ აფილთ გოგირდმეულას 60%-იანი
სსნარი.

პიროგალოლის ციკლოალკილირება მეთილენციკლობუტანით:




p-1-მეთილციკლობუტილპიროგალოლი. (1, 2, 3-ოქსი-1-მეთილციკლობუტილბუტილი)

რეაქტორები: პიროგალოლი-10გ, მეთილენციკლობუტანი-10გ, კატალიზატორი „Ky-2”-10გ, გოგირდმჟავა-10მლ.

სამყელიან მრგვალძირიან კოლბაში, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა მექანიკური სარეველა ვერცხლიწყლის საკეტით, შებრუნებული ლიბიტის მაცივარი და საწვე-
თი ძაბრი-მოვათაქსეთ 10გ პიროგალოლი, 10 გ მეთილენციკლობუტანი და 10გ კატალიზატორი „Ky-2”, კოლბა ჩავდგით ზეთის აბაზანაში, ნარევი გავაცხელეთ 80°C ტემპერატურაზე ზეთის აბაზანაზე 3სთ-ის განმავლობაში და რეაქციის ნა-
რევს ვურევდით განუწყვეტლივ მექანიკური სარეველათი. ამის შემდეგ ნარევი გავაცივეთ ოთახის ტემპერატურაზე და გავთილტრეთ. კატალიზატორი 2-ჯერ ჩავრცხეთ ეთერით. ეთერსნარი გავაშრეთ CaCl₂-ით. ამ მიზნით ნარევი ერთი ლამის განმავლობაში დავტოვეთ. მეორე დღეს ეთერი გადავდენეთ წყლის აბაზა-
ნიდან და ნარევი გამოვხადეთ შემცირებული წნევის ქვეშ 10მმ ატმოსფერულ წნევაზე, გამოვყავით შემდეგი ფრაქციები: I ფრაქცია 60-70°C, II ფრაქცია 70-
120°C, III ფრაქცია 120-150°C

I და III ფრაქცია ძალიან მცირე რაოდენობით გამოიყო; რეაქციის ძირი-
თადი პროდუქტი გამოიხადა მეორე ფრაქციაში, გაცივების შემდეგ II ფრაქცია გამოკრისტალდა, მყარი მასა გადავაკრისტალეთ იზოოქტანში, მივიღეთ ყვითელი ფერის ნემსისებური კრისტალები დაახლ. 3,5გ რაოდენობით.


ჩვენი აზრით რეაქცია წარიმართება შემდეგნაირად:
მესამეული კარბკათიონი



პირველადი კარბკათიონი


მეთილენციკლობუტანი წარმოქმნის პირველად და მესამეულ კარბკათიონს და იმის გამო, რომ მესამეული კარბკათიონი თერმოდინამიკურად უფრო მტკიცა, ვიდრე პირველადი, იგი შევა რეაქციაში პირველოლოთან პარა მდგომარეობაში და მივიღეთ

p-1-მეთილციკლობუტილპიროგალოლი (1,2,3ოქსი-1-მეთილ-ციკლობუტილბენზოლი)



p-1-მეთილციკლობუტილპიროგალოლი

შეიძლებოდა ცდები განსორციელებულიყო შემდეგი სქემის მიხედვით:



დასკვნები

- პიროგალოლის ციკლოალკილირებით მეთილენციკლობუტანთან, კატალიზატორების გოგორდებულისას და „Ky-2”-ის თანაობისას სინთეზირებულია p-1-მეთილციკლობუტილპიროგალოლი (1,2,3-ოქსი-1-მეთილციკლობუტილბუტოლი) მიღებული პროდუქტი ყვითელი ფერის ნემსისებური კრისტალური ნივთიერებაა, წყალში კარგად ხსნადი.
- გამოყენებული კატალიზატორებიდან გოგირდებულის თანაობისას პროდუქტის გამოსავალი 58%-ს შეადგენს, ხოლო „Ky-2”-ის გამოყენებისას 10%-ით ნაკლებია.
- ცდები ჩატარებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმის პირობებში. კერძოდ $120-130^{\circ}\text{C}$ -ზე, $140-150^{\circ}\text{C}$ -ზე. ალკილირებული პროდუქტის მაქსიმალური რაოდენობით მიღიღეთ $140-150^{\circ}\text{C}$ -ზე.
- სხვადასხვა ტემპერატურაზე სხვადასხვა კატალიზატორის გამოყენებით, ცდების მრავალგარინანტად ჩატარებით დადგენილ იქნა მიღებული პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობით მისაღებად ოპტიმალური პირობები.
- სინთეზირებული ნივთიერების სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები გამოიცდება სიმინდის მარცვლის თესვისწინა დამუშავებით მარცვლის მოსავლიანობისა და ქიმიურ შედგენილობაზე მისი გავლენის დასადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Д. М. Габриадзе, М.Е. Еремеишвили-Конденсация некоторых непредельных углеводородов с фенолом- Сообщ. АН. СССР, 583, 1976.
- А.И. Кахниашвили, Д.С. Парджикия, М. А.Кантария- Конденсация непасыщенных спиртов с фенолом- жох, 667ю 1963.
- ონანი თ. მარგველაშვილი გ. -ნადაგის ქმიტური ანალიზი. თბ. 506, 1975.
- დგებუძე ქ. - მცნარეთა ბორჯიმის პრაქტიკუმ, თბ., 1976.

Мурман Еремеишвили, Елеонора Кипиани,
Тина Двали, Ирина Иоселиани

Циклоалкилирование пирогаллола с метиленциклогексаном в присутствии различных катализаторов- серной кислоты, катионита „КУ-2”, и разных температурах

РЕЗЮМЕ

Циклоалкилирование пирогаллола с метиленциклогексаном осуществилость в присутствии катализаторов серной кислоты и катионита „КУ-2”, и при разных температурах $120-130^{\circ}\text{C}$, $140-150^{\circ}\text{C}$. Максимальный выход продукта алкилирования получили при $140-150^{\circ}\text{C}$ температуры. В присутствии в качестве катализатора серной кислоты выход продукта Р-1-метилциклогексилпирогаллола (1,2,3, -окси -5-1-метиленциклогексилпирогаллол) был максимальен.

Синтезированный продукт будет испытан на урожайность и химический состав зерна кукурузы, на физиологической активности стимулятора роста растений.

Циклоалкилирование пирогаллола с метиленциклобутаном осуществляли в различных условиях: при разных катализаторах и разных температурах (в разных вариантах), чтобы установить оптимальные условия для получения синтезированного продукта. Испитание синтезированного вещества проводится методом предпосевной обработкой зерна растворами различных концентраций. Это дает возможность накапливать желаемое вещество в зерно растения и большим количеством с целью возрастания его питательную ценность.

ქიმიის კათედრა

08 ღლდა ღომსიანიმე, ვარვარა ვაშაყაჩამე, გაღონა კუსაღების ვლი

აჯამეთის მემინდენის საცდელი საღგურის ენერ ნიაღაბის
გასწავლის საკითხისათვის

აჯამეთი მღებარეობს ზემო იმერეთში. ამ ზონაში ძირითადად გვხდება ალუ-
კიური და ეწერ ნიაღაგები შექმნავლილია ქართველი მკულევარების: საბაშვილის,
კოსტავას, იმაძის, გელევანიშვილის, ქათამაძის, ტალახაძის, ცისკარიშვილისა და
სხვათა მეურ. აჯამეთის მასივში ეწერ ნიაღაგი ათი ათას ჰექტარზე მეტია. ეს ნი-
აღაგები დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ეწერებისაგან განსხვავებულია,
აյ გაეწრების პროცესი სუსტ ფორმაშია გამოისახული. მის მიზანში, უპირველ
ყოვლისა, მდგომარეობს გამოფიტვის ქერქის კარბონატულ ქიმიზმსა და აგრეთვა
წინათ არსებული ტყის საფარის გაჩერება—მოსუფთავებაში.

აჯამეთის ეწერ ნიაღაგებს სუსტი მეურე რეაქცია ახასიათებთ, რომელიც ქვე-
და ფენაში ნეიტრალურში გადადის. სუბტროპიკული ეწერები კი ძლიერ მეურე
რეაქციით ხასიათდება.

ძირითადი სასიცელო—სამეურნეო კულტურა, რომელზედაც ცდები ტარდება
აჯამეთის საცდელ სადგურში არის სიმინდი („აჯამეთის თეთრი“). ნიაღაგთან და-
მოკიდებულების მხრივ სიმინდი არ წარმოადგენს „ჭირვეულ“ მცენარეს. მართა-
ლია საუკეთესო შედეგს იძლევა ნოყორ, ჰექტარი 1 ჰექტარის მდიდარ, სტრუქტურიან
თიხნარს, ნეიტრალური რეაქციის ნიაღაზე, მაგრამ არის სხვა ნიაღაგებიც, რომ-
ლებიც საქსებით დამატებული და უნდა ჩაითვალოს მისთვის. იგი ადვილად
გვიჩვის მეურის განსაზღვრულ დონესაც.

აჯამეთის ეწერ ნიაღაგის მექანიკური და აგროქიმიური მაჩვენებლების და-
სადგენად ნიაღაგის ნიმუშები აღებულ იქნა 2000 წლის გაზაფხულზე 1 ჰა ფარ-
ობზე 10 ადგილიდან, ორ სიღრმეზე (0-20სმ, 20-40სმ).

ნიაღაგის მექანიკური ანალიზი ჩატარებული იქნა პიპეტის მეთოდით. აგრო-
ქიმიური ანალიზებით განსაზღვრული იქნა ჰექტარი—ტონრინის მეთოდით. საერ-
თო აზოტი — კელდალის მეთოდით. საერთო კალიუმი — ფოტომეტრზე. ჰიდრო-
ლიზური აზოტი — ტიურინისა და კონონოვას მეთოდით. მოძრავი P_2O_5 და
შთანთქმული K_2O 0,1 N H_2SO_4 -ის გამონაწურში — ონიანის მეთოდით. ჰიდრო-
ლიზური მეურების განვიანობა და შთანთქმული ფუძეების ჯამი — კაპნის მეთოდით. ფუ-
ძეების მაძლრობის ხარისხი — ფორმულით:

$$V = \frac{S}{S + H} \cdot 100$$

pH წყლით და 0,1N KCl-ის სუსპენზიაში — ელექტრომეტრული მეთოდით. ჰიგ-როსკოპული წყალი 100–105°C-ზე გაბურებით.
 ავამეთის ეწერ ნიდაგის მექანიკური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ „ფიზიკური თიხა“ მერყეობს 52,59%-დან 55,54%-ის ფარგლებში (ცხრილი 1). ასეთი შედეგი იღების ნიადაგი (კჩინსკის კლასიფიკაციით) მიკურთხება მძიმე თიხნარს.

ცხრილი 1

ნიადაგის მექანიკური შედეგი იღების

N	ფენის სიღრმე	ფრაქციები (%)							ფიზი- კური- თიხა 0,0188
		1,0- 0,25მმ	0,25- 0,05მმ	0,05- 0,01მმ	0,01- 0,005მმ	0,005- 0,001მმ	<0,001მმ		
1	0-20	1,62	18,02	32,44	15,72	25,49	14,33	55,54	
2	20-40	2,14	12,80	27,12	17,50	20,02	15,07	52,59	

რაც შექმნება ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლებს, ავამეთის ეწერ ნიადაგში ჰქონდება შემცველობა დაბალია, მისი რაოდენობა სახნავ ფენაში 2,72%-ია და სიღრმეზე მცირდება 1,60%-მდე. ასევე მცირება საერთო აზოტის შემცველობა (0,15%-0,12%), როგორც სახნავ, ასევე მომდევნო ფენაში (ცხრილი 2).

ჩვენი გამოკვლეული ნიადაგი არ არის მდიდარი საერთო ფოსფორის შემცველობითაც და სიღრმეში მცირება ფარგლებში მერყეობს (0,068%-0,060%).

საერთო კალიუმის შემცველობა შედარებით მაღალია და სიღრმის მიხედვით 2,18%-დან 2,12%-მდე იცვლება.

ჰიდროლიზური აზოტის, მოძრავი P_2O_5 -ის და შთანთქმული K_2O -ის შემცველობა დაბალია. ჰიდროლიზური აზოტი 100გ ნიადაგში 4,06მგ-დან 3,83მგ-მდე იცვლება. მოძრავი P_2O_5 -ის (1,84მგ-1,72მგ) და შთანთქმული K_2O -ის (8,0მგ-7,5მგ) შემცველობა ზედა ფენაში მეტია და სიღრმეზე კლებულობს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით საკვები ელემენტების დაგროვება სახნავ ფენაში შეიმჩნევა.

ნიადაგის აგროქიმიური დახსასიათება

N	ფენის სიღრმე	ჰუმური %	საუკითო			პიღ- რო- ლი- ზური აზო- ტი მგ 100გ ნია- დაგში	მოძ- რავი P ₂ O ₅ მგ 100გ ნია- დაგში	შთან- ქმული K ₂ O
			N	P ₂ O ₅	K ₂ O			
			%	%	%			
1	0-20	2,72	0,15	0,068	2,18	4,06	1,84	8,0
2	20-40	1,60	0,12	0,060	2,12	3,82	1,72	7,5

მუავიანობის ფორმებიდან ჰიდროლიზური მუავიანობა 0-20სმ და 20-40სმ სიღრმის ფენაში 100გ ნიადაგში 4,32-4,16მგ კვერვალენტის ტოლია, შთანთმული ფუძეების ჯამი ქვედა ფენაში 20-40სმ სიღრმეზე რამდენადმე იმატებს (8,44მგ კვერვალენტი), ზედა ფენასთან შედარებით (8,16მგ კვერვალენტი). ფუძეებით მაძლობის ხარისხის მაჩვენებელია 0-20სმ სიღრმის ფენისათვის 65,38%, ხოლო 20-24სმ ფენისათვის 66,98%.

ცხრილი 3

ნიადაგის მუავიანობის ფორმები

N	ფენის სიღრმე	ჰიდროლი- ზური მუავი- ანობა	შთანთ- ქმული ფუძე- ების ჯამი		pH წყლის სუსტენ- ზიაში	pH KCl -ის 1N ხსნა- რის სუს- ტენ-ზიაში
			მდ. კვერვალენტი			
1	0-20	4,32	8,16	65,38	6,30	4,77
2	20-40	4,16	8,44	66,98	6,16	4,64

რაც შეეხება აქტუალურ მუავიანობას pH, იგი წყლით სუსტენზიაში სახნავ ფენაში ნაკლებია (6,30) მოდევნო ფენასთან შედარებით - 6,16. ანალოგიური კანონ-ზომიერებით იცვლება pH KCl -ის 1N ხსნარის სუსტენზიაში (4,77-4,64) და შედარებით მაღალია.

ამრიგად, აჯამეთის საცდელი სადგურის ეწერ ნიადაგი წარმოადგენს მძიმე თიხნარს, რაც განაპირობებს ამ ნიადაგის უარყოფით ფიზიკურ თვისებებს. ორგანული ნივთიერებების დაგროვება ზედა ფენაში შეიმჩნევა. ღარიბია მცენარისათვის შესათვისებელი საკები ელემენტის შემცველობით და სუსტი მუავე რეაქციით ხასიათდება.



Резюме

Подзолистая почва Аджаметской опытной полевой станции является тяжелой глинистой, что обуславливает отрицательные физические свойства.

Содержание гумуса в пахотном слое исследуемой почвы незначительно и с глубиной уменьшается (2,72%-1,60%). Низкое в этих почвах и содержание общего (0,15%-0,12%) гидролизуемого азота (4,06мг-3,83мг).

Содержание как общего, так подвижного P_2O_5 невелико и в слоях с глубиной 0-20см и 20-40см мало меняется (0,068%-0,060%, 1,84мг-1,72мг).

Указанные опытные почвы богаты содержанием общего K_2O (2,18%-2,12%), однако количество обменного K_2O небольшое (8,0мг-7,5мг).

В суспензии воды по показателям pH эта почва относится к слабокислым, однако в вытяжке KCl активная кислотность достаточно высокая. Что касается других форм кислотности, то гидролитическая кислотность достаточно велика и соответственно низка сумма поглощенных оснований и степень насыщенности оснований и степень насыщенности основаниями.

Почва Аджаметской опытной полевой станции бедная по содержанию усвояемых питательных элементов растений и имеет слабо кислую реакцию.

ლიტერატურა:

1. დ. გედვენიშვილი, გ.რ. ტალახაძე. ნიადაგმცოდნების კურსი. თბილისი, 1956.
2. ბ. იმნაძე, ს. ქათამაძე. დასავლეთ საქართველოს ეწერ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდება ღრმა ხელით და სასუქების გამოყნებით. ავამეთის მემინდვრეობის საც. სად. შრომები, ტ. 4. თბილისი, 1950.
3. გ. კოსტავა. ავამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის ნიადაგების გენეზისი და აგროსაწარმოო თვისტებები. ავამეთის მემინდვრეობის საც. სად. შრომები, ტ. 1. თბილისი, 1947.
4. თ. ინიანი, გ. მარგველაშვილი. ნიადაგის ქიმიური ანალიზი. „განათლება“. თბილისი, 1975.
5. კ. ცისკარიშვილი, თ. ქობულაძე. ეწერ ნიადაგებზე ღრმად მოხვნის საკითხებისათვის. მემინდვრეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. 9. თბილისი, 1956.
6. ბ. საბაშვილი. საქართველოს ნიადაგები. სასუქების ცნობარი აგრონომისათვის. თბილისი, 1960.
7. Е. Аринушкина. Руководство по химическому анализу почв. Москва, МГУ, 1961.

ქიმიის კათედრა

გიგლა რნეანი

ჰარმონიული ფუნქციების სასაზღვრო თვისებების
შესახებ ერთეულოვან პილოტინდრი

ნაშრომი ქვება ერთეულოვან ბიცილინდრში ჰარმონიული ფუნქციების საზღვრო თვისებების შეწავლას, განიხილება პუსონის ტიპის გულით წარმოდგენილი ჰარმონიული ფუნქციების სასაზღვრო თვისებები ბიცილინდრში, როდესაც ამ ინტეგრალის სიმკრიფ D^2 -ში ჯამბადი ფუნქციაა. მოძებნილია ის დამატებითი პირობები, რომელსაც უნდა აქმაყოფილებდეს დადგებითი ზომის $E \subset T^2$ სიმრავლეზე $f \in L_{D^2}$ ფუნქცია, რომ D^2 -ში ჰარმონიულ $P^*[f](\lambda, t)$ ფუნქციას თითქმის ყველგან პქონდეს $E \subset T^2$ სიმრავლეზე სასრული კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობები.

აღნიშნოთ C -თი კომპლექსურ რიცხვთა სივრცე, ხოლო

$$C^2 = \{z = (z_1; z_2) : z_j \in C, j = 1, 2\}$$

$$\text{ვთქვათ } D^2 = \{z = (z_1; z_2) : |z_j| < 1, j = 1, 2\}$$

$$T^2 = \{w \in C^2 : |w_j| = 1, j = 1, 2\}$$

$$I^2 = [0, 1]^2 = [0, 1] \times [0, 1]$$

შემდგომში ვიკულისხმოთ, რომ $dr = dr_1 dr_2; r = (r_1, r_2) \in I^2$,
 $dm_2(w) = (2\pi)^{-2} d\theta_1 d\theta_2$ სადაც $w \in T^2, w_j = e^{i\theta_j}$ და
 $d\sigma = d\sigma_1 \cdot d\sigma_2, d\sigma_j = dx_j dy_j; j = 1, 2$. თუ $z \in C^2$, მაშინ rz აღნიავს კეტორს $(r_1 z_1; r_2 z_2)$.

თუ $a = (a_1; a_2) \in R^2$, სადაც R ნამდვილ რიცხვთა სივრცეა, მაშინ
 $Z^a = Z_1^{a_1} \cdot Z_2^{a_2}$

ვთქვათ Z არის მთელ რიცხვთა სიმრავლე, Z^2 იყოს ყველა
 $a = (a_1; a_2), a_j \in Z$

$j = 1, 2$ მულტინდექსების სიმრავლე.

განსაზღვრა C^2 სიტყცის ღია სიმრავლეზე განსაზღვრულ უწყვეტ კომპლექსურ U ფუნქციას ეწოდება 2-ჰარმონიული, თუ U ჰარმონიულია ცალ-ცალკე ცვლადების მიმართ. ე. ი. U უნდა აქმაყოფილებდეს ტოლობებს:

$$\Delta_j U = 0, \quad j = 1, 2, \quad \text{სადაც} \quad \Delta_j = \frac{\partial^2}{\partial x_j^2} + \frac{\partial^2}{\partial y_j^2} \quad \text{ღაპლასის ოპერა-}$$

ტორია.

გრძანდან ჰარმონიული ფუნქციებისათვის $\Delta_1 U + \Delta_2 U = 0$, ამიტომ ყოველი 2-ჰარმონიული ფუნქცია ჰარმონიულიცაა.

აღვნიშნოთ L_{D^2} -ით, D^2 -ში განსაზღვრულ ზომად ფუნქციათა კლასი, რომელთათვისაც $\|f\| = \iint_{D^2} |f(z)| d\sigma < \infty$

$$\text{დავუშვათ} \quad C_1(z; \lambda) = C_1(z_1; \lambda_1) \cdot C_1(z_2; \lambda_2) \quad \text{და}$$

$$P_1(z; \lambda) = P_1(z_1; \lambda_1) \cdot P_1(z_2; \lambda_2)$$

$$\text{სადაც} \quad C_1(z_j; \lambda_j) = (1 - \lambda_j \bar{z}_j)^{-2}$$

$$P_1(z_j; \lambda_j) = 2 \operatorname{Re} C_1(z_1; \lambda_1) - 1, \quad z \in D^2, \quad \lambda \in D^2$$

შევნიშნოთ, რომ

$$\frac{1}{\pi^2} \iint_{D^2} P_1(z; \lambda) d\sigma = 1, \quad \forall z \in D^2$$

$$P_1(z; \lambda) = \sum_{n \in \mathbb{Z}^2} (1 + |n|) r^{|n|} \rho^{|n|} e^{in(\theta - \varphi)}$$

$$\text{სადაც} \quad 1 + |n| = (1 + |n_1|)(1 + |n_2|), \quad z = re^{i\varphi}, \quad \lambda = \rho e^{i\theta}.$$

$$\text{ხოლო} \quad n(\theta - \varphi) = n_1(\theta_1 - \varphi_1) + n_2(\theta_2 - \varphi_2)$$

ვთქვათ, $f \in L_{D^2}$, მაშინ $P^*[f](\lambda)$ -თი აღვნიშნოთ D^2 -ში შემდეგი ტოლობით განსაზღვრული ფუნქცია:

$$P^*[f](\lambda) = \iint_{D^2} P_1(z; \lambda) f(z) d\sigma$$

აღნიშნულ ინტეგრალში $P_1(z; \lambda)$ -ს ნაცვლად მისი მწერიფის ჩასმა მოგვვება, $P^*[f](\lambda) = \sum_{n \in \mathbb{Z}^2} a_n \rho^{|n|} e^{in\theta}$, სადაც

$$a_n = \frac{1+|n|}{\pi^2} \int_{r^2}^{\infty} \int_{T^2} r^{|n|} |\varpi|^2 f(r\omega) dr dm_2(\omega)$$

აյ და დარმოდგენს $|\varpi_1|^2 \cdot |\varpi_2|^2$ გამოსახულების შემოკლებულ აღნიშვნას. $P^*[f](\lambda)$ -ს მცკრიცად წარმოდგენიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ იგი 2-პარმონიულია D^2 -ში.

ვთქვათ $\lambda_0 = (e^{i\theta_1^0}, e^{i\theta_2^0}) \in T^2$ ერთეულოვნი ტორის რომელიმე წერტილია. $\lambda_j^{(0)}$ წერტილიდან შემოვწეროთ $\varepsilon_j > 0$; ($j = 1, 2$) რადიუსიანი წრე და აღნიშვნოთ იგი D_{ε_j} -ით. ვთქვათ $K_{\varepsilon_j} = D \cap D_{\varepsilon_j}$ და $B_{\varepsilon_j} = D \setminus K_{\varepsilon_j}$, დავუშვათ $\delta_j > \varepsilon_j$ და

$$K_{\delta_j \varepsilon_j} = K_{\delta_j} \setminus K_{\varepsilon_j}.$$

განვიხილოთ წერტილები $\lambda_{\varepsilon_j} = \lambda_j^0 \cdot (1 - \varepsilon_j \exp i\psi_j)$, სადაც ψ_j აკმაყოფილებს პირობას $|\psi_j| \leq \frac{\pi}{2} \cdot \eta_j$; $0 < \eta_j < 1$.

ვთქვათ $q_j = q(\eta_j) = \min |\cos \psi_j|$, $0 < \eta_j < 1$, შევარჩიოთ ψ_j ის, რომ $q_j > 0$ ვიტყვით, რომ $(Z_1, Z_2) \xrightarrow{\wedge} (t_1, t_2)$, თუ $Z_j \xrightarrow{\wedge} t_j$,

$$j = 1, 2, \quad \text{სადაც } (t_1, t_2) \in T^2 \quad \text{ცხადია, რომ} \quad \left| \frac{1}{\lambda_{\varepsilon_j}} - \bar{z}_j \right| \geq \varepsilon_j c_{q_j}, \quad \text{სადაც}$$

$C_{q_j} > 0$ დამოკიდებულია მხოლოდ q_j -ზე.

ვთქვათ $f \in L_{D^2}$. განვიხილოთ ინტეგრალი:

$$P^*[f](\lambda) = \frac{1}{\pi^2} \int_{D^2} P_1(z; \lambda) f(z) d\sigma$$

თეორემა 1 ვთქვათ $(\lambda_0, t_0) \in T^2$, თუ $f \in L_{D^2}$ ფუნქცია პაკოფილებს პირობებს:

$$\text{I. } \overline{\lim}_{\substack{\varepsilon_1 \rightarrow 0 \\ \varepsilon_2 \rightarrow 0}} \frac{1}{\pi^2 \varepsilon_1^2 \varepsilon_2^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} |f(z_1, z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 = M(f; \lambda_0; t_0) < \infty$$

$$\text{II. } \overline{\lim}_{\varepsilon_1 \rightarrow 0} \frac{1}{\pi^2 \varepsilon_1^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_D |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 = M_1(f; \lambda_0) < \infty$$

$$\text{III. } \overline{\lim}_{\varepsilon_2 \rightarrow 0} \frac{1}{\pi^2 \varepsilon_2^2} \int_D \int_{K_{\varepsilon_2}} |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 = M_2(f; \lambda_0) < \infty$$

$$\text{IV. } \overline{\lim}_{\substack{\varepsilon_1 \rightarrow 0 \\ \varepsilon_2 \rightarrow 0}} \left| \frac{1}{\pi^2} \int_{B_{\varepsilon_1}} \int_{B_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_0) P_1(z_2; \lambda_0) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 \right| = T(f; \lambda_0; t_0) < \infty$$

$$\text{V. } \overline{\lim}_{\varepsilon_1 \rightarrow 0} \left| \frac{1}{\pi^2} \int_{B_{\varepsilon_1}} \int_D P_1(z_1; \lambda_0) P_1(z_2; \lambda_0) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 \right| = T_1(f; \lambda_0; t_0) < \infty$$

$$\text{VI. } \overline{\lim}_{\varepsilon_2 \rightarrow 0} \left| \frac{1}{\pi^2} \int_D \int_{B_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_0) P_1(z_2; \lambda_0) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 \right| = T_2(f; \lambda_0; t_0) < \infty$$

მაშინ $\overline{\lim}_{\substack{\varepsilon_1 \rightarrow 0 \\ \varepsilon_2 \rightarrow 0}} |P^*[f](\lambda_{\varepsilon_1}; t_{\varepsilon_2})| < \infty$, სადაც $\lambda_{\varepsilon_1} = \lambda_0(1 - \varepsilon_1 \exp i\psi_1)$;

$$t_{\varepsilon_2} = t_0(1 - \varepsilon_2 \exp i\psi_2)$$

თუ I-IV პირობებიდან თუნდაც ერთი არ სრულდება, მაშინ თეორემა 1 საზოგადოდ სამართლიანი არ არის.

დამტკიცება: გვაქვს,

$$\begin{aligned}
 P^*[f](\lambda_{\varepsilon_1}; t_{\varepsilon_2}) &= \frac{1}{\pi} \int_{D^2} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 = \\
 &= \frac{1}{\pi^2} \int_{B_{\varepsilon_1}} \int_{B_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 + \\
 &+ \frac{1}{\pi^2} \int_{B_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 + \\
 &+ \frac{1}{\pi^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{B_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 + \\
 &+ \frac{1}{\pi^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 = I_1 + I_2 + I_3 + I_4 - (1)
 \end{aligned}$$

შევაფასოთ ცალ-ცალკე $I_1; I_2; I_3; I_4$ ინტეგრალების მოდულები ჯერ ვაჩვენოთ, რომ $I_4 = 0(1)$, როცა $\varepsilon_1 \rightarrow 0; \varepsilon_2 \rightarrow 0$. მართლაც, შევნიშნოთ, რომ

$$|\operatorname{Re} z| \leq |z| \quad \text{და} \quad \left| \frac{1}{\lambda_{\varepsilon_1}} - \overline{z}_1 \right| = \left| \frac{1}{\bar{\lambda}_{\varepsilon_1}} - z_1 \right| \geq \varepsilon_1 c_{q_1}; \forall z_1 \in D - (2)$$

$$\left| \frac{1}{t_{\varepsilon_2}} - \overline{z}_2 \right| = \left| \frac{1}{\bar{t}_{\varepsilon_2}} - z_2 \right| \geq \varepsilon_2 c_{q_2}; \forall z_2 \in D$$

$$\text{სადაც } q_j = \min |\cos \psi_j| > 0; 0 < \eta_j < 1; (j = 1, 2); |\psi_j| \leq \frac{\pi}{2} \eta$$

$$\text{ამიტომ } |I_4| = \frac{1}{\pi^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} P_1(z_1; \lambda_{\varepsilon_1}) P_1(z_2; t_{\varepsilon_2}) f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2 \leq$$

$$\begin{aligned}
&\leq \frac{4}{\pi^2 |\lambda_{\varepsilon_1} \cdot t_{\varepsilon_2}|^2} \int_{K_{\varepsilon_1} K_{\varepsilon_2}} \frac{|f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2}{\left| \frac{1}{\lambda_{\varepsilon_1}} - \frac{1}{z_1} \right|^2 \cdot \left| \frac{1}{t_{\varepsilon_2}} - \frac{1}{z_2} \right|^2} + \\
&+ \frac{2}{\pi^2 |\lambda_{\varepsilon_1}|^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} \frac{|f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2}{\left| \frac{1}{\lambda_{\varepsilon_1}} - \frac{1}{z_1} \right|^2} + \frac{1}{\pi^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_{K_{\varepsilon_2}} |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 \leq \\
&\leq \frac{4}{C_{q_1}^2 \cdot C_{q_2}^2 |\lambda_{\varepsilon_1}|^2 |t_{\varepsilon_2}|^2} \cdot \frac{1}{\pi^2 \varepsilon_1^2 \cdot \varepsilon_2^2} \int_{K_{\varepsilon_1} K_{\varepsilon_2}} |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 + \\
&+ \frac{2}{\pi |\lambda_{\varepsilon_1}|^2 C_{q_1}^2} \cdot \frac{1}{\pi \varepsilon_1^2} \int_{K_{\varepsilon_1}} \int_D |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 + \frac{1}{\pi^2} \int_D |f(z_1; z_2)| d\sigma_1 d\sigma_2 - (3)
\end{aligned}$$

$$(3)-\text{დან} \quad \text{და} \quad I-III \quad \text{პირობებიდან} \quad \text{ვღებულობთ,} \quad \text{რომ} \quad |I_4| = \underline{\underline{O}}(1) \quad \text{როცა} \\ \varepsilon_1 \rightarrow 0; \varepsilon_2 \rightarrow 0 - (4)$$

შევატასოთ ახლა I_1 . ცრხადია, რომ

$$|I_1| \leq \frac{4}{\pi^2} \left| \int_{B_{\epsilon_1}} \int_{B_{\epsilon_2}} \frac{f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2}{(1 - \lambda_{\epsilon_1} \bar{z}_1)^2 (1 - t_{\epsilon_1} \bar{z}_1)^2} + \frac{2}{\pi^2} \left| \int_{B_{\epsilon_1}} \int_{B_{\epsilon_2}} \frac{f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2}{(1 - \lambda_{\epsilon_1} \bar{z}_1)^2} + \right. \right. \\ \left. \left. + \frac{2}{\pi^2} \left| \int_{B_{\epsilon_1}} \int_{B_{\epsilon_2}} \frac{f(z_1; z_2) d\sigma_1 d\sigma_2}{(1 - t_{\epsilon_1} \bar{z}_1)^2} \right| + 1 \right. \right|$$

IV-VI პირობებიდან და უტოლობებიდან

$$\left| \frac{1}{\lambda_{\varepsilon_1}} - z_1 \right| \geq \varepsilon_1 C_{q_1}; \forall z_1 \in D$$

$$\left| \frac{1}{t_{\varepsilon_2}} - z_2 \right| \geq \varepsilon_2 C_{q_2}; \forall z_2 \in D$$

მივიღებთ $|I_1| \leq T(f; \lambda_0; t_0) + T_1(f; \lambda_0; t_0) + T_2(f; \lambda_0; t_0) + A$,
 $A > 0$, ანუ $|I_1| = \underline{O}(1)$

როცა $\varepsilon_1, \varepsilon_2 \rightarrow 0$ - (5).

ანალოგიურად მივიღებთ, რომ $|I_2| = \underline{O}(1)$, $|I_3| = \underline{O}(1)$, როცა
 $\varepsilon_1, \varepsilon_2 \rightarrow 0$ (l) (4), (5) და (l) შეფასებებიდან მივიღებთ:

$$|P^*[f](\lambda_{\varepsilon_1}, t_{\varepsilon_2})| = \underline{O}(1), \text{ ამიტომ } \limsup_{\substack{\varepsilon_1 \rightarrow 0 \\ \varepsilon_2 \rightarrow 0}} |P^*[f](\lambda_{\varepsilon_1}, t_{\varepsilon_2})| < \infty,$$

ასეთივე მსჯელობით დავრწმუნდებით, რომ თუ I-VI პირობებიდან ერთი მა-
 რც დარღვეულია, მაშინ თეორემა 1 სამართლიანი არ არის
 თეორემა დამტკიცებულია.

თეორემა 2. ვთქვათ, $E \subset T^2$ და $\mu(E) > 0$. თუ თითქმის ყველგან E
 სიმრავლეზე ადგილი აქვს I-VI პირობებს, მაშინ $P^*[f](\lambda, t)$ -ს თითქმის ყველ-
 გან

E სიმრავლეზე გააჩნია კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობები.

დამტკიცება: თეორემა 1-ის ძალით თითქმის ყველგან E სიმრავლეზე
 სრულდება პირობა:

$$\lim_{\substack{\lambda \xrightarrow{\wedge} \lambda_0 \\ t \xrightarrow{\wedge} t_0}} |P^*[f](\lambda, t)| < \infty ,$$

ამიტომ კალდერონის თეორემის ძალით (იხ. [2] გვ. 478) $P^*[f](\lambda, t)$
 თითქმის ყველგან E -ზე გააჩნია კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობები.

თეორემა დამტკიცებულია.

შენიშვნა: I-VI პირობების არსებითობა მტკიცდება ერთი ცვლადის შემთხვე-
 ვის ანალოგიურად იხ. [1].

განსაზღვრა: ვთქვათ $0 < P < \infty$ ვიტყვით, რომ D^2 -ში 2-ჰარმო-
 ნიული U ფუნქცია ეკუთვნის $h_p(D^2)$ კლასს, თუ

$$\|U\| = \left\{ \iint_{D^2} |u(z)|^p d\sigma \right\}^{\frac{1}{p}} < \infty$$

[3] შრომიდან ერთი ფორმულისა და თეორემა 2-ის უშუალო შედეგს წარ-
 მოადგენს

თეორემა 3. ვთქვათ $U \in h_p(D^2)$, $P \geq 1$ და $E \subset T^2$, $\mu(E) < \infty$.
თუ U ფუნქცია თითქმის ყველგან E -ზე აკმაყოფილებს I-VI პირობებს, მა-
შინ მას გააჩნია თითქმის ყველგან E -ზე კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობები.

ლიტერატურა:

1. Г. А. Ониани, Сообщения АН ГССР, 1978 т. 89, №2
2. А. Зигмунд, Тригонометрические ряды м., изд.-во. дМирд, т. 2. 1915
3. Г. А. Ониани, Сообщения АН ГССР. 1978, т. 90. №2

On boundary properties of harmonic functions in unit bicylindor

Summary

In the paper it is investigated the question on existence of boundary of
harmonoue functions representef by means of Poisson type integral

მათემატიკის კათედრა



გიგლა რეიანი

ჩართვის მამრავლების შესახებ

ცნობილია, რომ ყოველი ხარისხოვანი მწერივისათვის $f(z) = \sum_{n=0}^{\infty} a_n z^n$

(1), რომლის კრებადობის არეა ერთეულოვანი წრე $|z| < 1$, არსებობს მაყორან-

ტული მატერივი $F(z) = \sum_{n=0}^{\infty} \psi(n)z^n$, $|a_n| \leq |\psi(n)|$, $n = \overline{0, \infty}$ (2), რომელსაც

ერთეულოვან წრეწირზე თითქმის ყველგან გააჩინა კუთხიური სასაზღვრო მნიშვნელობები, სადაც $\psi(z)$ პირველი რიგისა და მინიმალური ტიპის მთელი ფუნქციაა. [1]

ისმის კოთხვა: რომელ ქლასს ექუთვნის მაყორანტული ფუნქცია $F(z)$, თუ პირველსაწყისი ფუნქცია $f(z)$ ექუთვნის H^p ქლასს? სადაც H^p პარდის ქლასია.

$$H^p = \left\{ f \in H : \sup_{0 \leq r \leq 1} \int_0^{2\pi} |f(re^{it})|^p dt < +\infty \right\}.$$

H არის ერთულოვანი $|z| < 1$ წრეში ყველა ანალიზური ფუნქციების სიმ-რაგონი.

ამ კითხვებისთან დაკავშირებით გავისტენოთ ჭიპერტისა და ლოს შემდეგი

$$\text{თეორემა. იმისათვის, რომ } f(z) = \sum_{n=0}^{\infty} a_n z^n \text{ მწერივი იყოს } (1-z)^{-1}.$$

მიმართ მთელი ფუნქცია აუცილებელი და საკმარისი, რომ არსებობდეს პირველი რიგისა და მინიმალური ტიპის მთელი $\psi(z)$ ფუნქცია, ისეთი რომ $a_n = \psi(n), n = \overline{0, \infty}$.

ადეილად დავრწმუნდებით, რომ სამართლიანი შემდეგი წინადადებები:

I. ფუნქცია, რომელიც ერთულოვან წრეში განსაზღვრულია ტოლობით

$$F(z) = \sum_{n=0}^{\infty} n^k z^n, \quad \text{სადაც } k - \text{რაომე } n \text{-ტურალური } n \text{-იცხვია, ეკუთვნის } H^p$$

$$\text{სივრცეს } \forall p \in \left(0, \frac{1}{k+1}\right).$$

$$\text{II. თუ } \psi(z) = \sum_{n=0}^m a_k z^k, \quad \text{მაშინ ფუნქცია } F(z) = \sum_{n=0}^{\infty} \psi(n) z^n \quad \text{ეკუთვნის}$$

$$H^p \text{ -ს } \forall p \in \left(0, \frac{1}{m+1}\right).$$

თუ $f \in H^p$ მაშინ შეიძლება ვაჩვენოთ, რომ აქედან საზოგადოდ არ გამომდინარეობს $F \in H^p$ დამოკიდებულება. მართლაც, ვანჭიბილოთ ფუნქცია

$$f(z) = \sum_{n=0}^{\infty} n z^n, \quad \text{ცხადია } f \in H^p, \quad \forall p \in (0, 0,5), \quad \text{მაგრამ მისი მაყორანტული$$

ლი ფუნქცია

$$F(z) = e^{(1-z)^{-1}} = \sum_{n=0}^{\infty} \psi(n) z^n,$$

არ ეკუთვნის H^p სივრცეს, ვინაიდან

$$\lim_{r \rightarrow 1} |F(r)| c (1-r)^{-\frac{1}{p}} = +\infty, \quad \forall c > 0.$$

ჩვენ გვაინტერესებს შემდეგი საკითხი: ყოველი $f \in H^p$ ფუნქციისათვის
არსებობს თუ არა (2) მაჟორანტული ფუნქცია, რომელიც ეცუთვნის H^q მიწოდების
რცეს ($0 < q < 1$)?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს შემდეგი

თეორემა 2. თუ $f \in H^p$, $0 < q < 1$, მაშინ არსებობს f ფუნქციის

მაჟორანტული ფუნქცია $F(z) = \sum_{n=0}^{\infty} \psi(n) z^n$, ისეთი რომ $F \in H^p$,

$\forall p \in \left(0, \frac{1}{1 + [p^{-1}]} \right)$, სადაც ψ პირველი რიგისა და მინიმალური ტიპის მოე-
ლი ფუნქციაა.

დამტკიცება. თუ $f \in H^p$, მაშინ $\lim_{r \rightarrow 1} |a_n(f)| n^{[p^{-1}]} = 0$ [2], ამიტომ

არსებობს $n_0 \in N$ რიცხვი ისეთი, რომ $\forall n \geq n_0 |a_n(f)| < n^{[p^{-1}]}$. ვთქვათ

$M = \max_{0 \leq k \leq n_0} |a_k(f)|$, მაშინ ცხადია, რომ

$$|a_n(f)| < n^{[p^{-1}]} + M + 1, \quad n = \overline{0, \infty} \quad [3]$$

(3) უტოლობიდან ჩანს, რომ f ფუნქციის მაჟორანტული ფუნქციაა

$$F(z) = \sum_{n=0}^{\infty} (n^{[p^{-1}]} + M + 1) z^n,$$

სადაც $\psi(z) = z^{[p^{-1}]} + M + 1$, ამიტომ ზემოთ მოყვანილი || წინადა-
დებიდან გამომდინარეობს, რომ

$$F \in H^p, \quad \forall p \in \left(0, \frac{1}{1 + [p^{-1}]} \right).$$

საქართველოს მთავრობის
მინისტრის მიერ განკუთხული
სამსახურის მიერ განკუთხული

ეს თეორემა შეიძლება გამოვიყენოთ H^q ($0 < q < 1$) კლასის ფუნქციების
ინტეგრალური წარმოდგენისთვის.

ცნობილია, რომ ყოველი $f : D \rightarrow C$ ანალიზური ფუნქციისათვის
($D = \{z : |z| < 1\}$), არსებობს მთელი $g : C \rightarrow C$ ფუნქცია და კვადრატით
ჯამებადი $\varphi : [0, 2\pi] \rightarrow C$ ფუნქცია ისეთი, რომ

$$f(z) = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} g\left(\frac{1}{1 - ze^{-i\theta}}\right) \varphi(e^{i\theta}) d\theta \quad (4)$$

აშენება, რომ g და φ საზოგადოდ f -ზე დამოკიდებული ფუნქციები
არიან [1].

თეორემა 2. თუ $f \in H^p$, $0 < p \leq 1$, მაშინ არსებობს კვადრატით
ჯამებადი $\varphi : [0, 2\pi] \rightarrow C$ ფუნქცია ისეთი, რომ $\forall z \in D$

$$f(z) = \frac{(1 + [p^{-1}])!}{2\pi} \int_0^{2\pi} \frac{\varphi(e^{i\theta}) d\theta}{(1 - ze^{-i\theta})^{[p^{-1}]+2}} \quad (5)$$

დამტკიცება. მართლაც, თუ (3) უტოლობის ორივე მხარეს გავამრავლებთ
 n -ზე, მივიღებთ

$$n|a_n(f)| < n^{[p^{-1}]} + (M + 1)n. \quad (6)$$

(6) უტოლობიდან გამომდინარეობს, ისეთი m ნატურალური რიცხვის არ-
სებობა, რომ $\forall n \geq m$ შესრულდება უტოლობა

$$n|a_n(f)| < (n+1)(n+2)\dots(n+[p^{-1}]+1) = \psi(n). \quad (7)$$

ცხადია, რომ (7) უტოლობა შესრულდება, თუ

$$n^{1+[p^{-1}]} + (M + 1)n < (1+n)^{1+[p^{-1}]};$$

ხოლო ეს უკანასკნელი შესრულდება, ყველა იმ n ნატურალური რიცხვი-
სათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ უტოლობას

$$(M+1)n < (1 + [p^{-1}]) \cdot n^{[p^{-1}]},$$

საიდანაც მივიღებთ

$$n > \left(\frac{M+1}{1+[p^{-1}]} \right)^{\frac{1}{[p^{-1}]-1}} = \beta.$$

დავუშვათ $m = 1 + [\beta]$, მაშინ ცხადია, რომ $\forall n \geq m$ შესრულდება (7)

უტოლობა.

განვიხილოთ ფუნქცია

$$\varphi(z) = \sum_{n=0}^{\infty} \frac{a_n(f)}{\psi(n)} z^n.$$

ვჩივენოთ, რომ $\varphi \in H^2$, მართლაც (7) უტოლობის გამო

$$\sum_{n=0}^{\infty} \left| \frac{a_n(f)}{\psi(n)} \right|^2 = \sum_{n=0}^m \left| \frac{a_n(f)}{\psi(n)} \right|^2 + \sum_{n=m+1}^{\infty} \left| \frac{a_n(f)}{\psi(n)} \right|^2 < \sum_{n=0}^m \left| \frac{a_n(f)}{\psi(n)} \right|^2 + \sum_{n=m+1}^{\infty} \frac{1}{n^2} < +\infty$$

ამიტომ $\varphi \in H^2$ და φ ფუნქციის კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობები კვადრატით ჯამებადია $[0, 2\pi]$ სენტრზე [1].

დავუშვათ $\mu = 1 + [p^{-1}]$, მაშინ აგრეთვე $z^\mu \varphi \in H^2$. ამასთანავე აშკარა-
ა, რომ $\forall z \in D$

$$f(z) = \frac{d^\mu}{dz^\mu} (z^\mu \cdot \varphi(z)). \quad (8)$$

კოშის ფორმულის თანახმად [1] გვეძება

$$z^\mu \varphi(z) = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} \frac{e^{i\mu t} \varphi(e^{it}) dt}{1 - ze^{-it}} \quad (9)$$

(8) და (9) ტოლობების გამოყენებით მივიღებთ

$$f(z) = \frac{(1 + [p^{-1}])!}{2\pi} \int_0^{2\pi} \frac{\varphi(e^{it}) dt}{(1 - ze^{-it})^{[p^{-1}] + 2}} \quad (10)$$

დაუშენათ X და Y კომპლექსურ რიცხვთა მიმდევრობების რაომე სივ-
რცეებია. ვიტყვით, რომ (ω_n) მიმდევრობა არის მამრავლი X სივრციდან Y
სივრცეში, თუ $(\omega_n a_n) \in Y$ ყოველი (a_n) მიმდევრობისათვის X -სივრციდან.

ერთეულოვან D წრეში ანალიზურ ფუნქციათა ნებისმიერი სივრცე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ სივრცის ფუნქციათა შესაბამისი ტეილორის კოეფიციენტების სივრცე, გრძადან

$$\forall f \in H(D), \quad f(z) = \sum_{n=0}^{\infty} a_n z^n,$$

სადაც $H(D)$ აღნიშნავს D წრეში ყველა ანალიზური ფუნქციების სიმ-
რაგლენს.

თუ $f \in H(D)$ და $\alpha > 0$ რამე ნამდვილი რიცხვია, მაშინ ჰარდი-ლიტ-
კუდის მიერ შემოღებული განჩარტების თანახმად $f(z) = \sum_{n=0}^{\infty} a_n z^n$ ფუნქციის
 α რიგის წილადური ინტეგრალი ეწოდება ფუნქციას, რომელიც ერთეულოვან
 D წრეში განსაზღვრულია ტოლობით

$$f_{[\alpha]}(z) = \sum_{n=0}^{\infty} \frac{\Gamma(n+1)}{\Gamma(n+1+\alpha)} a_n z^n,$$

სადაც Γ ეილერის ფუნქციაა. [3]. ადვილად დავრწმუნდებით, რომ

$$f_{[\alpha]}(z) = \frac{r^{-\alpha}}{\Gamma(\alpha)} \int_0^r (r-\rho)^{\alpha-1} f(\rho e^{i\theta}) d\rho,$$

სადაც $z = re^{i\theta}$, $0 \leq \rho < 1$.

შეიძლება
გადამტკიცოს

In the work [1] the indices of reliability and efficiency of multiprocess and multimachine computer (CS) in the Laplace transformation mode were obtained. The aim of the present work is to determine these indices in the stadial mode being themselves its continuation.

ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის კათედრა

თეიმურავ ჭავჭავაძე, მანანაქარქაშავე

არასაიმედო მოწყობილობების შემცველი ტექნიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია დროის არამწარმოებულური დანაკარგვების მინიმიზაცია, რომელიც დაკავშირებულია დროის დანახარჯებთან როგორც შეკეთებაზე და მტყუნების გამოვლენის შემდეგ აძარატულ რეზერვებზე გადართვაზე, ასევე თვით მტყუნებების აღმოჩენაზე, იმ სამუშაობის გამეორებაზე, რომლებიც გაუფასურდა მტყუნების გამო და მუშა მდგომარეობაში ჩატვირთვის ლოდინზე. უმრავლეს სისტემებში შესაძლებელი ხდება მოწყობილობების შრომისუნარიანობის უწყვეტი კონტროლის განხორციელება, რომლებიც საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ნებისმიერი მტყუნება მათი წარმოშობის მომენტშივე. ამ დროს, ხშირ შემთხვევაში მტყუნებები შევიძლია არ ჩავთვალით გაუფასურებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ხშირად სისტემას, შრომისუნარიანობის ადგინის შემდეგ, შეუძლია განაახლოს მუშაობა იმავე ადგილიდან, რომელშიაც ის შეწყდა, ამიტომ ორ მეზობელ მტყუნებებს შორის მუშაობის დრო ითვლება სასარგებლოდ. მოცულებულ შრომიში საკვლევ იბიჯეტუად განვიხილოთ ერთგვაროვანი მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გამოთვლითი სიტემა (მპუს).

ვთქვათ მცგვა, რომელიც შესდგება t ძირითადი და $n-m$ სათადარივო მოწყობილობისაგან, მოემსახურება E მუდმივი მოცულობის ($F(t)=1(t-t_3)$) განაწილების ფუნქციით (აյ t_3 არის იდეალური სისტემის, ე. უმტკუნო სისტემის მიერ დაგალების შესრულებაზე დახრჯული დრო) მოთხოვებს (დავალებებს); დავალებები გადანაწილდება მცგვა-ის კველა მომსახურე მოწყობილობებს შორის (კულისმება, რომ მცგვა-ის სტრუქტურა და ფუნქციონირების ალორითმი შესაძლებლობას იძლევა დავინაწილოთ დავალებები პარალელურ შტოებად); მცგვა-ის კველა მოწყობილობა ურთიერთონაცვლეა და დავალებებს მოემსახურების ურთიერთდახმარების რეჟიმებში; უმტკუნო მუშაობის პირობებში

$$\text{დავალების } \text{შესრულება } \text{შეუძლია } \text{ერთ } \text{მოწყობილობას } T_3 = \frac{E}{C} \quad \text{დროის}$$

$$\text{მონაკვეთში, ხოლო } i \text{ რაოდენობის მოწყობილობებს } u = \frac{E}{cf(i)} = \frac{\tau_3}{f(i)}$$

(ა) C არის მპგს-ის თვითეული მოწყობილობის ნომინალური მწარმოებლობა); $f(i)(1 \leq f(i) \leq i)$ ფუნქციის სახე განისაზღვრება i შრომისუნარიანი მოწყობილობების მიერ დავალების საერთო E მოცულობის შესრულებისას კომპლექსირებაზე დახარჯული რესურსების (აპარატული და დროითი) მიხედვით (1,2); მუშა მოწყობილობების მტყუნებები ხდება β_1 ინტენსივობით, ხოლო სათადარიგო მოწყობილობებისა β_2 ინტენსივობით; აღდგენის დრო τ_3 წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს მაჩვინებლიანი განაწილებით μ_1 პარამეტრით; ცალკეული მოწყობილობების მტყუნებები არ გააუფასურებენ უკვე შესრულებულ სამუშაოს, თუ i მოწყობილობიდან შრომიუნარიანია ერთი მოწყობილობა მანც, ხოლო თუ მტყუნების მომენტში ყველა მოწყობილობა არა შრომისუნარიანი იყო, მაშინ აღდგენის შემდეგ ხდება სახეშეცვლილი ნაწილის გადაანგარიშება (შესრულებული სამუშაო ნაწილობრივ გაუფასურდება ბლოკ-ეტაპს საზღვრებში); მპგს რეკონფიგურაციის (სისტემის i -ურ მდგომარეობიდან j -ურ მდგომარეობაში გადასვლა) დროის განაწილების ფუნქცია $G_{ij}(v)$ წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს. მოცემული მოდელის ფუნქციონირების სხვა პირობები დასაქმებულ რეკომენდაციების მთლიანად ემთხვევა მისი ფუნქციონირების პირობებს დაუსაქმებელ რეკომენდაციების.

აღვნიშნოთ $H_{ij}^l(t, x)$ -ით იმის აღნათობა, რომ \tilde{l} რაოდენობის დავალებების პაკეტის დამუშავება დამთავრდება t -ზე ნაკლებ დროში, მპგს იძყოფება i მდგომარეობაში, იმ პირობით, რომ დავალების დამუშავება განაზღდა $t=0$ მომენტში, როდესაც სისტემა იყო მდგომარეობაში და დავალებების პაკეტის დამუშავების დასასრულებლად საჭირო იყო დრო $\gamma=\tau_3-\chi$, მისი ერთი მოწყობილობის უმტყუნო მუშაობის პირობებში (ე.ი. ერთ მოწყობილობაზე გადაანგარიშებით).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განისაზღვროს ლაპლასის გარდასახვა ფუნქციებისა $H_{ij}^{(l)}(t, x)$ და $H_{ij}^{(l)}(t, 0) = H_{ij}(t)$. შემდგომში მას აღვნიშნავთ $H_{ij}^{(l)}(t, x)$ ის განისაზღვრება განტოლებათა შემდეგი სისტემით:

$$\bar{F}(x)H_{ij}(t, \chi) = \delta_{ij} \int_0^t \exp(-c_i^o u) d_u F(x - n_i u) + (1 - \delta_{in}) \mu_1 \int_0^t \exp(-c_i^o u) \bar{F}(x +$$

$$+ n_i u) du \int_0^{t-u} H_{i+1j}(t-u-v, x+n_i u) dG(v) +$$

$$+ c_i \int_0^t \exp(-c_i^0) \bar{F}(x+n_j u) du \int_0^{t-u} H_{i-1,j}(t-u-v, x+n_j u) dG_{i,j-1}(v),$$

$$i = \overline{2, n}, / j = \overline{1, n},$$

$$\bar{F}(x)H_{ij}(t, \chi) = \delta_{ij} \int_0^t \exp(-c_i^o u) d_u F(x + n_i u)$$

$$\int_0^t \exp(-c_{iu}^0) \bar{F}(x+u) du \int_0^{t-u} H_{2j}(t-u-v, x+u) dG_{12}(v) + \beta_1 \int_0^t \exp(-c_1^0 u)$$

$$\bar{F}(x+u) du \int_0^{t-u} \mu_1 \exp(-\mu_1 v) dv \int_0^{t-u-v} H_{1j}(t-u-v-v, 0) dG_{01}(v), j = \overline{1, n}$$

$$c_{1-i} \beta_1 \delta_0 (i < m) + [m \beta_1 + (i-m) \beta_2] \delta_1 (i \geq m);$$

$$c_i^0 = (1 - \delta_{in}) \mu_1 + c_j; n_i = \delta_0 (i < m) f(i) + \delta_1 (i \geq m) f(m);$$

$$\overline{F(x)} = 1 - F(x).$$

$$\delta(.) = 1 \text{ თუ } (.) \text{ ჭეშმარიტი გამონათქვამია.}$$

$$\delta(.) = a \text{ წინააღმდეგ შემთხვევაში.}$$

$$\delta_{ij}, \delta_{in} - \text{კრინეგერის სიმბოლოებია.}$$

საწყისს და სასაზღვრო პირობებს აქვთ შემდეგი სახე:

$$H_{ij}(0x) = \begin{cases} \delta_{ij} x = \tau_3 & \\ 0_{x > \tau_3} & \\ i, j = \overline{1, n} & \\ t = \overline{0, \infty} & \end{cases}$$

მაგალითისათვის განვიხილოთ (1) განტოლების მეორე შესაკრები, როდესაც $i > m$ ($i \neq n$). ეს არის იმის ერთობლივი აღბათობა, რომ

1)(u, u+du) დროის ინტერვალში დასრულდება აღდენა ერთ-ერთისა $n-i$ შრომისუუნარო მოწყობილობებიდან, რომლებიც $t=0$ მომენტში რემონტში იმყოფებიან.

2) u დროის მონაკვეთში, არ დასრულდება დამუშავებაში მყოფი დავალებების პაკეტის მომსახურება და არ მოხდება არც მუშა დამუშავებაში სარეზერვო მოწყობილობების მტყუნება;

3) მომსახურე სისტემის (მს) რეკონფიგურაციისათვის დაიხარჯება V დრო;

4) პაკეტით მომსახურება დასრულდება მს-ში, რომელიც იმყოფება j მდგომარეობაში $t-v-u$ დროზე ნაკლებ პერიოდში, თუ $t=u+v$ მომენტში სისტემა იმყოფება $i+1$ მდგომარეობაში და დავალების პაკეტის დამუშავების დასასრულებლად საჭიროა ერთი მოწყობილობის უწყვეტი და უმტყუნო მუშაობის τ_3-x-mv დრო.

ალგორითმით

$$\Phi_{ij}(t, x) = \bar{F}(x)H_{ij}(t, x), \quad \bar{\Phi}_i(s, x) = \int_0^s e^{-u} \Phi_{ij}(t, x) dt,$$

$$\bar{g}_{ij}(s) = \int_0^s e^{-st} \bar{g}_{ij}(t) dt, \quad \bar{g}_{ij}(t) = \bar{G}_{ij}(t), \quad \bar{f}(s) = \int_0^{st} e^{-st} dF(u) = \bar{e}^{-st},$$

$$\bar{H}_{ij}(s) = \int_0^{st} H_{ij}(t) dt$$

და თუ გამოვიყენებთ ლაპლასის გადასახვებს (1) და (2) ფორმულებისათვის მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} & \exp[-(s + c_i^0)x/n_i] \bar{\Phi}_{ij}(s, x) = \delta_{ij} \exp[-(s + c_i^0)\tau/n_i]/s + \\ & + [(1 - \delta_{in})\mu_1 \bar{g}_{i,i+1}(s)]/n_i \int_x^\tau \exp[-(s + c_i^0)\tau/n_i] \bar{\Phi}_{i+1,i}(s, \tau) d\tau + \\ & + [c_i \bar{g}_{i,i-1}(s)/n_i] \int_x^\tau \exp[-(s + c_i^0)\tau/n_i] \bar{\Phi}_{i+1,i}(s, \tau) d\tau, \quad i = \overline{2, n}; J = \overline{1, n}; \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \exp[-(s + c_i^0)x] \bar{\Phi}_{1j}(s, x) = \delta_{1j} \exp[-(s + c_i^0)\tau]/s + \\ & + (1 - \delta_{in}) \mu_1 \bar{g}_{12}(s) \int_x^\tau \exp[-(s + c_i^0)\tau_i] \bar{\Phi}_{2j}(s, \tau) d\tau + \\ & \beta_1 \bar{g}_{01}(s) \mu_1 \bar{H}_{1j}(s, 0) [\exp(-c_1^0 - s)x - \exp(-s - c_1^0)\tau]/(s + \mu_1)(s + c_1^0) \end{aligned}$$

ალგორითმით γ -ით დრო, რომელიც საჭიროა დავალებათა პაკეტის $t=0$ მომენტში დაწყებული მომსახურეობის დასასრულებლად. თუ (3) და (4)-ში x შევცვლით τ_3 -ით და გამოვიყენებთ ლაპლასის გარდასახვას γ არგუმენტის მიხედვით (უნდა გავითვალისწინოთ, რომ $\overline{\Phi}_{ij}^0(s, \gamma) = \delta_{ij} / s$ როდესაც $\gamma=0$ და $\overline{\Phi}_{ij}^0(s, \gamma) = 0$ როცა $\gamma < 0$), მივიღებთ:

$$\begin{aligned}
& - \left[w \overline{\Phi}_{ij}^0(s, w) - \delta_{ij} / s \right] - \left[(s + c_i^o) / n_i \overline{\Phi}_{ij}^0(s, w) + \left[(1 - \delta) \mu_1 \overline{g}_{i,i+1}(s) / n_j \right] \right. \\
& \left. \overline{\Phi}_{i+1,j}^0(s, w) + \left(c_i \overline{g}_{i,i-1}(s) / n_j \right) \overline{\Phi}_{i-1,j}^0(s, w) = 0, \quad i = \overline{2, n} \right. \\
& - \left(w + s + c_1^0 \right) \overline{\Phi}_{ij}^0(s, w) + \left(1 - \delta \right) \mu_1 \overline{g}_{12}(s) \overline{\Phi}_{2j}^0(s, w) = \\
& - \delta_{1j} / s - \left[\beta_1 \mu_1 \overline{g}_{01}(s) / w(s + \mu_1) \right] \overline{H}_{1j}(s, 0); \quad J = \overline{1, n}.
\end{aligned}$$

თუ გამოვიყენებთ კრონეკერის სიმბოლოს (7) და (8) შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სახით:

$$a_i \overline{\Phi}_{i-1,j}^0(s,w) + b_i(s,w) \overline{\Phi}_{ij}^0(s,w) + d_i(s) \overline{\Phi}_{i+1,j}^0(s,w) = F_{ij}(s)$$

$i, j = \overline{1, n}; \quad \overline{\Phi}_{0j}^0(s,w) = 0$

$$a_j^0(s) = c_j \overline{g}_{i,i-1}(s)/n_i; \quad b_i(s,w) = -[w + (s + c_i^0)/n_i];$$

$$d_i(s) = (1 - \delta_{in}) \mu_1 \overline{g}_{i,i+1}(s)/n_i;$$

$$F_{ij}(s) = -\delta_{ij}/s - [\delta_{1i}\beta\mu_1\bar{g}_{01}(s)/w(s+\mu_1)]\bar{H}_{1j}(s,0).$$

(9)-ის ამოქსნა შეიძლება $D(s,w)$ ქვემატრიცის D_n და Δ_n დეტრმინატის მიხედვით

$$D(s, w) = \begin{bmatrix} b_1 & d_1 & 0 & 0 & \dots & 0 & 0 \\ a_2 & b_2 & d_2 & 0 & \dots & 0 & 0 \\ 0 & a_3 & b_3 & d_3 & \dots & 0 & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & 0 & 0 & \dots & a_n & b_n \end{bmatrix};$$

$$D(s,w)=1; D_1(s,w)=b_1; D_m=b_m D_{m-1} - a_m d_{m-1} D_{m-2}, \quad m = \overline{2,n};$$

$$\Delta_0=1; \Delta_1=b_n; \Delta_m=b_{n-m+1}\Delta_{m-1}-\alpha_{n-m+2}d_{n-m+1}\Delta_{m-2}$$

ამ კონფიდენციულ გამოტოვებულია საბოლოოდ ამონაჲსნს
აქვთ სახე.

$$= \Phi_{ij}(s, w) \left[\Delta_{n-i}(s, w) \sum_{\sigma=1}^i (-1)^{\sigma+1} F_\sigma(s) D_{\sigma-1}(s, w) \prod_{\mu=\sigma}^{j-1} a_{\eta+1} + D_{\sigma-1} \sum_{\sigma=i+1}^n F_\sigma(s) \Delta_{n-\sigma}(s, w) \prod_{\mu=i}^{\sigma-1} (-d_\eta) \right] / D_n;$$

$$j_1 J = \overline{j_1} n$$

ოპერატორის მიხედვით $\overline{\Phi}_{ij}^o(s, w)$ უკვე გარდასახვის შემდეგ, ვპოულობთ $\overline{\Phi}_{ij}^o(s, y)$ და შესაბამისად $\overline{\Phi}_{ij}(s, x)$.

ნათელია, რომ $\overline{H}_{ij}(s) = \overline{\Phi}_{ij}(s, 0)$. და $\overline{H}_{ij}(s) = \sum_{i=1}^n \overline{\Phi}_{ij}(s, 0)$.

T. Pestvenidze, M. Karkashadze

Fulfilling the Task in the Redundant Engineering Systems

Presented by Academician V. Chichinadze, September 2, 1996

Abstract. The work considers probabilities of fulfilling the task of the redundant complex joint usage engineering system with a multistate working ability within the given time.

One of the main aspects of the effective functioning of the engineering systems involving unreliable equipments in their structure is the minimization of the inproductive losses of time, connected with the expense of time or restoration and switching into the reserve apparatus after the failures observing the failures, work repetition devaluated by the failures, expectation of loading in the workable state. In many systems the constant control is attainable over the working ability of the equipments allowing to observe any failure at the moment of their origin.

Besides very frequently the failures can be considered non-devaluating. It meand that the system after the restoring was interrupted. That's why all the production between the neighbouring failures appears useful. In the present work we consider homogeneous multiprincess (multimachine) system (MPCS) as the object of our research.

ავტომატური მართვა და გამოთვლითი ტექნიკა,
ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრა

ტარიელ ქამოკლიძე

პრაერიოდული გარსებს სრული ტრანზიტულობის შესახებ

სტუტგარტის განზილული ჯგუფები აბელურია და ოპერაცია ადიციური ფორმითაა ჩაწერილი. აუცილებელი განმარტებები და ფაქტები შეიძლება მოძებნილი იქნას [1] და [2] მონოგრაფიებში.

ვთქვათ p მარტივი რიცხვია. პერიოდული T ჯგუფის დასრულება P -ადიციურ ტოპოლოგიაში \hat{T} სიმბოლოთია აღნიშნული. ამ უკანასკნელის პერიოდული ნაწილი $t(\hat{T})$ პერიოდულად სრული ჯგუფია და \bar{T} სიმბოლოთი აღინიშნება. როგორც ცნობილია პერიოდული T ჯგუფი $i\theta\circ\text{om}\theta^{-1}$ დავ-სდება კოპერიოდულ $T^* = \text{Ext}(Z(p^\infty), T)$ ჯგუფში, რომელსაც T ჯგუფის კოპერიოდულ გარსს უწოდებენ. ა. მოსკალენკოს [3] მიერ T^* ჯგუფის ელემენტები სკარაბელური T ჯგუფისათვის წარმოდგენილი იქნა შემდეგი თვლადი მიმდევრობის სახით

$$T^* = \{(a_0, a_1 + T, a_2 + T, \dots) \mid \forall i \in N, a_i \in \hat{T}, p(a_{i+1} + T) = a_i + T\}$$

სადაც N მთელ არაუარყოფით რიცხვთა სიმრავლეა. ელემენტთა ასეთი ჩაწერის დროს ადგილი ხდება ინდიკატორის ანუ ულმის მიმდევრობის გამოთვლა. კერძოდ სამართლიანია დებულება: თუ $a = (a_0, a_1 + T, \dots) \in T^*$ და $H_{T^*}(a)$ აღნიშნავს a ელემენტის ინდიკატორს T^* ჯგუფში ე. ი. რიგობით რიცხვთა და ∞ სიმბოლოთა შემდეგ ზრდად მიმდევრობას

$$H_{T^*}(a) = (h(a), h(pa), \dots, h(p^n a), \dots)$$

სადაც h აღნიშნულია ელემენტთა განზოგადებული p სიმაღლე: $h(a) = \sigma$ თუკი $a \in p^\sigma T^* \setminus p^{\sigma+1} T^*$ და $h^*(0) = \infty$, მაშინ

$$H_T(a) = \begin{cases} H_{\hat{T}}(a_0), \quad \text{if } O(a_0) = \infty \\ \left(h_{\hat{T}}(a_0), h_{\hat{T}}(pa_0), \dots, h_{\hat{T}}(p^{n-1}a_0), \omega + m, \omega + m + 1, \dots \right), \\ a_0 \in \hat{T} \setminus T, O(a_0) = p^n, O(a_0 + T) = p^{n-m} \\ \left(h_T(a_0), h_T(pa_0), \dots, h_T(p^{n-1}a_0), \omega + n + k, \omega + n + k + 1, \dots \right), \\ O(a_0) = p^n, a_0, a_1, \dots, a_k \in T, a_{k+1} \notin T \\ H_T(a_0), a_i \in T, \forall i \in N \end{cases} \quad (1)$$

სადაც \mathcal{W} უმცირესი უსასრულო რიგობითი რიცხვია. $m, n, k \in N$. ინდიკატორ-თა სიმრავლეში შეიძლება შემოღებული, იქნას ნაწილობრივ დალაგება:

$$H(a) \leq H(b) \Leftrightarrow h(p^i a) \leq h^*(p^i b), \quad i = 0, 1, 2, \dots$$

კვუთა ეწოდება საკუნძით ტრანზიტული თუ მისი ნებისმიერი a და b ელემენტებისათვის; როცა $H(a) \leq H(b)$ არსებობს φ ენდომორფიზმი ისეთი, რომ $\varphi a = b$.

ვთქვათ T სეპარაბელური p -ჯგუფია რომლის ბაზისურ ქვეკეტს აქვს
სახე.

$$B = \bigoplus_{n=1}^{\infty} B_n, \quad B_n = \bigoplus_{m_n} Z(p^n), \quad \text{авдея} B \subseteq T \subseteq \bar{T}.$$

როცა $T = B$ მაშინ T^* ჯგუფის სრული ტრანზიტულობა დამტკიცებული იქნა ა. მოსკალენკოს მიერ [3]. როცა $T = \bar{T}$, მაშინ T^* ჯგუფის სრული ტრანზიტულობა აჩვენა ა. მადერმა [4]. ავტორის მიერ დამტკიცებული იქნა, რომ თუ T ჯგუფი წარმოადგენს პერიოდულად სრული ჯგუფების პირდაპირ ჯამს, მაშინ მისი კოპერიოდული გარსი საკსებით ტრანზიტულია მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა T ციკლური ჯგუფების პირდაპირი ჯამია ან პერიოდულად სრული ჯგუფი. განხილულ იქნა აგრეთვე შემთხვევა, როცა $T = \bar{A} \oplus C$, სადაც \bar{A} შემოუსაზღვრელი პერიოდულად სრული ჯგუფია, ხოლო C არ შეიცავს შემოუსაზღვრელ პერიოდულ სრულ ქვეჯგუფს. ნაჩვენები იქნა, რომ განსახილველ შემთხვევაში T^* ჯგუფი საკსებით ტრანზიტულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა T პერიოდულად სრული ჯგუფია. აღნიშნული შედეგების შედევე წარმოიშვა აზრი, რომ T^* საკსებით ტრანზიტული იქნება მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა T ციკლური ჯგუფების პირდაპირი ჯამია ან პერიოდულად სრული ჯგუფი. შეძლევი თეორემა გვჩივენებს თუ როგორი სქემით შეიძლება იქ-

ნას დამტკიცებული ეს ჰიპოთეზა. ვთქვათ T სემარაბელური p -ჯგუფია, რომ \hat{T} მელიც არ ემთხვევა არც B და არც \bar{T} . ე. შ. $B \subset T \subset \bar{T}$. a_0 და $b_0 \in \bar{T}$ ჯგუფის ედემენტებია $O(a_0) = O(b_0) = p$, $a_0 \notin T$. როგორც ცნობილია T ჯგუფის φ ენდომორფიზმი ცალსახად ვრცელდება \hat{T} ჯგუფის ენდომორფიზმამდე ([1], გვ. 196). სამართლიანია

თეორემა. თუ $h_{\hat{T}}(a_0) \leq h_{\hat{T}}(b_0)$ და არ არსებობს T ჯგუფის φ ენდომორფიზმი რომლისთვისაც $\varphi a_0 = b_0$, მაშინ T ჯგუფის კოპერიოდული გარსი T^* არ არის საესპექტო ტრანზიტული.

დამტკიცება. განვიხილოთ T^* ჯგუფის ორი ელემენტი

$$\begin{aligned} a &= (a_0, a_1 + T, a_2 + T, \dots) \quad \text{და} \\ b &= (b_0, b_1 + T, b_2 + T, \dots) \end{aligned} \quad (2)$$

სადაც a_0 და b_0 ისეთივეა როგორც თეორემის ფორმულირებაში. მაშინ (1) ტოლობის ძალით $H_{T^*}(a) \leq H_{T^*}(b)$. როგორც ცნობილია T ჯგუფის ყოველი ენდომორფიზმი ცალსახად ვრცელდება T^* ჯგუფის ენდომორფიზმამდე ვაჩვენოთ, რომ თუ φ ენდომორფიზმისათვის $\varphi a = b$, მაშინ $\varphi a_0 = b_0$. ვთქვათ

$$E : O \xrightarrow{\mu} T \xrightarrow{\gamma} G \xrightarrow{\gamma} Z(p^\infty) \rightarrow O \quad (3)$$

T^* ჯგუფის ელემენტია, რომელიც განისაზღვრება $a = (a_0, a_1 + T, a_2 + T, \dots)$ მიმდევრობით. თუ φ T ჯგუფის ენდომორფიზმია მაშინ ვაჩვენოთ, რომ $\varphi a = (\varphi a_0, \varphi a_1 + T, \dots)$. [1] გვ. 249-ის მიხედვით φE გაფართოება განისაზღვრება შემდეგი კომუტაციური დაგრამიდან

$$\begin{array}{c} E : O \xrightarrow{\mu} T \xrightarrow{\gamma} G \xrightarrow{\gamma} Z(p^\infty) \rightarrow O \\ \varphi \downarrow \quad \downarrow \eta \quad \| \end{array} \quad (4)$$

$$\varphi E : O \xrightarrow{\mu^*} T^* \xrightarrow{\gamma^*} G^* \xrightarrow{\gamma^*} Z(p^\infty) \rightarrow O$$

სადაც μ იგივური ჩართვაა $G^* = (T \oplus G)/H$, $H = \{(-\varphi t, \mu t) \mid t \in T\}$

$$\mu^* : t \rightarrow (t, 0) + H, \quad \eta : g \rightarrow (0, g) + H;$$

$$\gamma^* : (t, g) + H \rightarrow \gamma g; \quad t \in T, g \in G.$$

(3) დიაგრამის კომუტაციურობა უშეალოდ ჩანს აღნიშნული პომომორფიზმების
განმარტებიდან.

როგორც აღვნიშვთ (2) გაფართოებას შექსაბამება $(a_0, a_1 + T, a_2 + T, \dots)$
მიმდევრობა, სადაც a_0, a_1, \dots ელემენტები შემდევნაირად არიან განსაზღვრული:
დავაფიქსიროთ $Z(p^\infty)$ ჯგუფის $\{g_n | n \in N\}$ წარმომქნელთა სისტემა
 $\bar{g}_0 = 0, \quad p\bar{g}_{n+1} = \bar{g}_n;$ ვთქვათ $\{g_n\}, g_0 = 0, \quad \bar{g}_n$ მოსაზღვრე კლასების
წარმომადგენელთა სისტემაა G -ში. $\bar{g}_n = g_n + T, \quad pg_{n+1} = g_n + c_n,$
 $c_n \in T.$ აღვნიშნოთ

$$a_i = \lim_{n \rightarrow \infty} (c_i + pc_{i+1} + \dots + p^n c_{i+n}), \quad a_i \in \hat{T} \quad (5)$$

$i = 0, 1, 2, \dots$

მაშინ ყოველი i -თვის

$$pa_{i+1} - a_i = -c_i \in T \quad (6)$$

თუკი φ, T ჯგუფის ენდომორფიზმია, მაშინ $\varphi c_n \in T, n \in N$ და შეიძლება
განსაზღვრული იქნას

$$\varphi a_i = \lim_{n \rightarrow \infty} (\varphi c_i + p\varphi c_{i+1} + \dots + p^n \varphi c_{i+n}) \quad (7)$$

(6) ტოლობის მარჯვენა შხარე ცხადია განსაზღვრავს φ ენდომორფიზმის
გავრცელებას \hat{T} -ზე და თუ φ^* რაიმე სხვა ენდომორფიზმია \hat{T} -ზე, რომელიც
 T -ში φ ინდუცირებს მაშინ $Ker(\varphi - \varphi^*)$ შეიცავს $T \supset B$ და
 $\varphi = \varphi^*$ ([1], 34.1). (6)-დან ისევე როგორც (5)-ში

$$p\varphi a_{i+1} - \varphi a_i = -\varphi c_i \in T. \quad (8)$$

მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ T^* ჯგუფის ელემენტი

$$(\varphi a_0, \varphi a_1 + T, \varphi a_2 + T, \dots) \quad (9)$$

და მისი საშუალებით განვიხილოთ შექსაბამისი მოქლე ზუსტი მიმდევრობა.

ვთქვათ G' წარმომქნელთა $T \cup \{g_i, i \in N\}$ სისტემით, T ჯგუფის განმსაზღვრული თანაფარდობებით და აგრეთვე

$$pg_{i+1} = g_i + \varphi c_i, \quad g_0 = 0, \quad i = 1, 2, \dots$$

თანაფარდობებით განსაზღვრული ჯგუფია. მაშინ

$$E: O \xrightarrow{\mu} T \xrightarrow{\gamma} Z(p^\circ) \rightarrow O$$

(10)



სადაც μ' იგივეური ჩართვაა, ხოლო G' -ის ყოველი $c + kg_i, c \in T, k \in Z$ ელემენტისათვის $\gamma'(c + kg_i) = k\bar{g}_i$, მოკლე ზუსტი მიმდევრობაა. მასთან (9) გაფართოებას [3] გვ. 210 ძალით შეესაბამება (8) მიმდევრობა. ვაჩვენოთ, რომ (2) და (9) გაფართოებათაგან შეიძლება შედგენილი იქნას კომუტაციური დაიგრამა

$$E: O \xrightarrow{\mu} T \xrightarrow{\gamma} Z(p^\circ) \rightarrow O$$

$$\varphi \downarrow \quad \downarrow \eta' \quad ||$$

(11)

$$E': O \xrightarrow{\mu} T \xrightarrow{\gamma} Z(p^\circ) \rightarrow O$$

სადაც φ ზემოდაღნიშნული ენდომორფიზმია, ხოლო $\eta'(c + kg_i) = \varphi c + kg_i, c \in T, k \in Z, g_i \in G$. მართლაც $(\varphi, \eta', =)$ სამულის განმარტებიდან უშუალოდ ვდებულობთ, რომ (10) კომუტაციური დაიგრამა.

მივიღეთ, რომ (3) და (10) კომუტაციური დაიგრამებია. მაშინ [1] გვ. 249 ძალით φE და E' ერთმანეთის ეკვივალენტური გაფართოებებია და ამდენად განსაზღვრავენ ერთი და იმავე მიმდევრობას T^* -დან. მაგრამ ჩვენი აგებით $(\varphi a_0, \varphi a_1 + T, \varphi a_2 + T, \dots)$ არის E' გაფართოების შესაბამისი მიმდევრობა ამიტომ φE გაფართოებასაც ქს მიმდევრობა შეესაბამება ე.ი. $\varphi a = (\varphi a_0, \varphi a_1 + T, \dots)$. მაშინადამე თუ φ ენდომორფიზმით $a = (a_0, a_1 + T, \dots)$ ელემენტები აისახება $b = (b_0, b_1 + T, \dots)$ ელემენტში $\varphi a = b$, მაშინ $\varphi a_0 = b_0$, $\varphi a_1 + T = b_1 + T, \dots$ ე.ი. ვაჩვენეთ უფრო მეტიც ვიდრე მე-4 გვერდზე აღვნიშნავდით. დამტკიცებულიდან ცხადია გამომდინარეობს, რომ თუ არ არსებობს T ჯგუფის φ ენდომორფიზმი რომლისთვისაც $\varphi a_0 = b_0$ მაშინ არ იარსებებს T^* ჯგუფის φ ენდომორფიზმი, რომელიც (2)-ის a ელემენტს გადაიყვანს b -ში. ე.ი. T^* არაა საკუთრივი ტრანზიტული. თეორემა დამტკიცებულია.

ABSTRACT



The article deals with the topics of the theory of the abelian groups. There are given statements, in case of their implementation the cotorsion hool of the separable p-groups won't be fully transitive.

დოტერატურა

1. Л. Фукс. Бесконечные абелевы группы. Т. 1, М- 1974
2. Л. Фукс. Бесконечные абелевы группы Т. 2, М-1977
3. А.И. Москаленко, О копериодической оболочке сепарабельной р-группы. Алгебра и логика, 1989, 2
4. Т.Г. Кемоклидзе, О вполне транзитивных копериодических группах. Сборник научных трудов педагогических институтов ГССР, с. 42-48, Тбилиси.

მათემატიკის კათედრა

მარინე შალაშვილი

რადიაციის გეგავლენა აღამიანის ორგანიზაცია და მისმა დაცვის ღონისძიებები

დღეს ატომური ენერგიით სარგებლობს სახალხო მეურნეობის თთქმის უკელა დარგი. იშვიათია ისეთი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, სადაც ძიების ახალია და უზუსტეს მეთოდს რადიაციულ ნივთიერებათა გამოყენებაზე არ ამყარებდნენ. სხვადასხვა სახის სხივების ზემოქმედებას ბიოლოგიურ უჯრედზე სწავლობს მეცნიერების დარგი-რადიობიოლოგია. მსოფლიო რადიობიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებული იყო ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი. მან პირველმა დაადგინა თევზის ქვირითზე ჩატარებული ექსპერიმენტებით, რომ რადიაცია ცოცხალ ორგანიზმს უნაყოფოს ხდის.

დასხივებისას ფიზიოლოგიური ცვლილებები შეოლოდ გამოი არის მოსალოდნელი ორგანიზმსა და ნივთიერებაში, როცა სხივები შთანთქმებინ მათ მიერ. ე. ი. გამოსხივების ეფექტურობა დამოკიდებულია სხივის შეღწევის უნარზე.

ცოცხარ ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედების გამოკვლევისთვის აუცილებელია მისი რაოდენობრივი განსაზღვრა. ამის გამო შემოლებულია ბიოლოგიური ექვივალენტური დოზა, რომლის ერთეულია ბერი (Si სისტემაში ზიგერტი), კინადან, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია არა ის, რაც წყარომ გამოსხივა, არა-მედ ის, რაც დასხივებულმა ორგანიზმა შთანთქა. 1 ბერი (ბიოლოგიური ექვივალენტი რენტგენისა) არის ნებისმიერი სახის გამოსხივების ისეთი შთანთქმული დოზა, რომელიც იმავე ბიოლოგიურ ეფექტს იწვევს, რასაც 1 რ. გ გამოსხივება.

სხივურ ენერგიის ცოცხალ უჯრედზე შეიძლება ჰქონდეს მასტიმულირებელი, დამჩაგრელი და დამღუპველი მოქმედება. დასხივების მცირე დოზამ შეიძლება არ იმოქმედოს დამღუპველად, მაგრამ არსებობს „აქტიურის ქუსლი“. ეს ის პერიოდია, როცა უჯრედი იყოფა. დროის ამ პერიოდში დასხივების გამო უჯრედი შესაძლებელია ცოცხალი დარჩეს: ის სუნთქვას, ითვისებს საკედნივთიერებებს, იზრდება, ასრულებს სპეციფიკურ ფუნქციებს, მაგრამ აღარ იყოფა. თუ დასხივება მცირე დოზებით მოხდა, დაზიანება დროებითა, რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ გაყოფის პროცესი აღდგება, ხოლო დიდი დოზებისას უჯრედმა გაყოფის უნარი შეიძლება საერთოდ დაკარგოს. ასეთი უჯრედი იზრდება, დიდდება, აღწევს გიგანტურ ზომებს და კვდება შთამომავლობის გარეშე.

მანც რა რაოდენობის რადიაციას მავნებელი ცოცხალი ორგანიზმისთვის?

ამ კითხვაზე პასუხი არ აღმოჩნდა იოლი. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა თუ განიზმები, განსხვავებული ქსოვილები და თვით განსხვავებული უჯრედებრცეს გამოირჩევიან რადიაციის მიმართ სხვადასხვაგარი მერძნობელობით. მხედველობაშია მისაღები ინდივიდუალური მერძნობელობაც და დასხივების ხასიათიც. ჯერ კიდევ 1905 წ. ფრანგმა მეცნიერებმა ბერკონიემ და ტრიბონიომ ჩამოაყალიბეს წესი, რომლის თანახმად: რაც უფრო დიდია უჯრედის გამრავლების უნარიანობა, რაც უფრო მეტხასს არის იგი გაყოფის სტადიაში და რაც უფრო ნაკლებ სპეციალიზირებულია, მით უფრო მაღალია მისი რადიომერძნობელობა.

ბერკონიეს და ტრიბონიოს შეცდომა იყო, როცა ეკონათ, რომ უჯრედი მხოლოდ გაყოფის დროსაა მერძნობიარე მაიონიზირებელი სხივების მიმართ. სინამდვილეში ცხოველმყოფელობის დარღვევა ნებისმიერი უჯრედისა და თვით სიკვდილიც კი, შესაძლებელია მიტოზის გარეშეც, ნებისმიერ მომენტში, თუმცა ამისათვის საჭირო გახდება ბევრად მეტი დასხივების დოზა. სწავლულთა უმრავლესობა მიზნებს, რომ უპირატესად ზიანდება უჯრედის ბირთვი.

რადიაცია ადამიანის ორგანიზმის უჯრედებს აზიანებს იონიზაციის გზით. ამ ზემოქმედებას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

- 1) მთლიანად მიღებული დოზა;
- 2) დრო, რომლის განმავლობაშიც ქს დოზა იქნა მიღებული;
- 3) რადიაციის ტიპი;
- 4) სხეულის რა ნაწილი დასხივდა;
- 5) უჯრედების მერძნობელობა;
- 6) ინდივიდუალური მერძეობელობა.

მეცნიერთა მრავალწლიანი დავის შემდეგ ადამიანისთვის უსაფრთხო საორენტაციო დოზები ასე გამოიყურება: 1) კრიტიკული დოზა-1 ზიკერტი; 2) ნახევრად-ლეტალური-4 ზე. 3) ლეტალური-7 ზე.

თუ შევეცდებით ადამიანის ქსოვილების და ორგანიზმების განლაგებას დასხივებისადმი მერძნობელობის ზრდის მიხედვით, სის დასაწყისში ისეთი ქსოვილები იქნება, რომელთა ზრდასრული უჯრედები საერთოდ არ იყოფიან (ნერვული ქსოვილი, ძვლოვანი) ბოლომი კი სწრაფი გამრავლების უნარის მქონენი (სასქესო უჯრედები, ძვლის ტენი).

უჯრედულ ელემენტებს, რომლებიც შედის სისხლის შემადგენლობაში აქვთ სხვადასხვა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ერითროციტები ცოცხლობენ 110-130 დღე და დეკონიტები-რამდენიმე დღე, ლიმფოციტები რამდენიმე საათიდან დღემდე (მათი გამრავლება ხდება შედარებით სწრაფად), ამიტომ დასხივების შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად მცირდება სისხლში ლიმფოციტების რაოდენობა. უკელაზე ნაკლებად ზიანდება ერთოროციტები.

თუ მთლიან ცოცხალ ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედებას შევეხებით დოზის შემდეგ აქ მნიშვნელოვანია დასხივების ხასიათი ანუ ერთჯერადია თუ ხანგრძლივი დასხივება. მაღალი დოზებით ერთჯერადი დასხივება იწვევს ადამიანთა და ცხოველთა სხივურ დაავადებას.

სხვა სხვათია მცირე დოზით ხანგრძლივი დასხივებისას. ამ დროის ხდება მაიონიზირებელი რადიაციის კუმულატურული ეფექტის გამოვლენაზე. ნიული დასხივებისას ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ორგანიზმში ვლინდება ცალკეული პათოლოგიური ცვლილებები, რომლებიც საბოლოოდ ყალიბდებიან ისეთ საშიშ დაავადებებად, როგორიცაა აფთისებიანი სიმსიცნეები.

რაც შექმნა მცირე დოზებით ხანგრძლივ დასხივებას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რადიაცია სხვადასხვავარად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოებსა და უჯრედებზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთმა "უსაფრთხო" დოზებმაც შეიძლება სერიოზულად დაზიანოს მერძნობიარე უჯრედები (მაგ. სასქესო და ძვლის ტყინი).

ცოცხალ ორგანიზმზე მცირე დოზებით ხანგრძლივი ზემოქმედებისას ადგილი აქვს:

1) სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას, ნაადრევ დაბერებას, სქესობრივი აქტივობის დაქვეითებას; 2) კიბოსა და ლეიკემიის განვითარებას; 3) იმუნიტეტის დაქვეითებას; 4) ცნა-ის მოშლილობებს; 5) გენეტიკურ დაავადებებს.

გამოირკვა, რომ 1 ბერი მაიონიზირებელი გამოსხივება სიცოცხლეს დახლოებით 5-15 დღით ამცირებს.

მცირე დოზების ქრონიკული დასხივებისადმი განსაკუთრებით მერძნობიარე აღმოჩნდა სასქესო ქრომოსომები. რადიაციის ყველა სხვა ბიოლოგიურ ეფექტს გააჩინა ზღურბლი, ანუ არსებობს ისეთი დოზა, რომლის ქვევით არავითარი ეფექტი აღარ არის. გენეტიკურ ეფექტებს კი ზღურბლი არ აქვთ. ნებისმიერ უმცირეს დოზასაც კი შეუძლია ქრომოსომათა შეცვლა. ქს ცვლილებები კი მეტყვიდრეობით გადადის.

პათოლოგიური მუტაციების გამოვლენის სიხშირე პირდაპირპროპორციულია დასხივების საერთო დოზისა. ქს კი იმას ნიშანებს, რომ რადიაციული ფონის ნებისმიერი სახით გაზრდა მიგვიყვანს მუტაციების გამოვლინებების გაზირებამდე.

განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ორგანიზმის დიდი მერძნობელობა განპირობებულია ქრომოსომების მეტი მოცულობით ასეთი ორგანიზმის უჯრედში. ის უჯრედი, რომელშიც მეტი ქრომოსომაა, მეტად ზიანდება: თუმცა დანარჩენი უჯრედების მუტაციაც არ არის უსაფრთხო. ზოგიერთ მათგანს იქამდე მივყავართ, რომ ის ატიპიურ გამრავლებას იწყებს და სიმსიცნის საწყისი ხდება, ხოლო ცალკეულ უჯრედებში სხვადასხვა მუტაციის დაგროვება ნაადრევი სიბერის მიზეზად გვევლინება.

ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებისას მნიშვნელობა აქვს რადიაციული ნივთიერების ტიპისაც. ბიოლოგიური თვალსაზრისით, თანაბარი დოზების დროს ნაკლებად საშიშია იზოტოპები, რომელთა ნახევარდაშლის პერიოდი ათასობით წელს შეადგენს, აგრეთვე სწრაფი ნივთიერებები, წამის მესადებებში რომ იშლებიან. საშიშია ისინი, რომელთა ნახევარდაშლის პერიოდი რამდენიმე დღე-ლა-მიდან ათეულ წელს შეადგენს. მაგალითად, ჩერნობილის ავარიისას პირველ

დღეებში ყველაზე სახითათო იყო იოდი-131, რომლის ნახევარდაშლის პროცენტი 8,06 დღე ივი გროვდება ფარისებრ ჯირკალში და იწვევს ჰორმონალური ჰაიდროკორტიკულის მოშლას. ეს განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის, რადგან ჰორმონალური პროცესები მათ ორგანიზმში უფრო დიდ როლს ასრულებს.

ბუნებაში ყოვლთვისაა დამღუპველი გამოსხივება (გარე დასხივების ტიპებია α, β და γ სხივები. აქედან α და β სხივები ნაკლებ შემძლევა. მათ ასე თუ ისე აკავებთ ტანსაცმელი, კანი და სხვა ბარიერები), თუმცა ძლიერი რადიაციის წყაროები ადამიანის შემოქმედების შედევია. ალბათ ამიტომაა, რომ ფიზიოლოგიური დაცვა ორგანიზმის სისტემისა უძლურია ასეთი საშიში მტრის წინაშე. დაცვითი სისტემის ორგანოთა უკარედებში შეიძლება გამომუშავდეს ათასობით დამცავი ნივთიერებები-ანტისტეულები. სანამ ორგანიზმს საფრთხე არ ემუქრება დამცავი სისტემა არ მუშაობს, მაგრამ, თუკი ორგანიზმში შეიჭრება საშიში მიკრობი ან ბირთვული ნივთიერება, წარმოიქმნება ანტისტეული. თითოეული სახის ცილა განპირობებულია ერთი განსაზღვრული მტრის საწინააღმდეგოდ. ანტისტეული განდევნის სისხლიდან და ორგანიზმიდან ანტიგენს, მაგრამ სისხლში, ხმირად სიცოცხლის ბოლომდეც კი ინახება ანტისტეული, როგორც შესაძლო საფრთხისაგან დაცვის გარანტია.

განსაკუთრებით ძლიერი გამოსხივების წყაროა ატომური აფეთქება. ამ დროს ადგილმდებარეობა ძალიან ბინძურდება რადიაქტიული ელემენტებით. გამოყოფილი იზოტოპებიდან შედარებით საშიშია ხანძლივმცხოვრები იზოტოპები: სტრონციუმი და ცეზიუმი. დიდ საფრთხეს შეიცავს ატომური რეაქტორები. (ატომური რეაქტორის მუშაობისას, ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები: მაგ. შენდება დამცავი ბეტონის კედელი 18 და მეტი სისქისა. სასურველია ის შედგებოდეს რამდენიმე ფენისაგან, რომელისაც თითოეულს თავისი დანიშნულება ექნება. მაგალითად ტყვიის ფენა შთანთქავს γ სხივებს, კადმიუმის კედელი კი ნეიტრონებს).

რადიაქტული ნივთიერებები ნიადაგიდან გადადიან მცენარის ორგანიზმში საიდანაც ხვდებინ ცხოველის თუ ადამიანის სხეულშიც. ამ ბრუნვის წარმართვაში დიდი როლი ენიჭება წყალს. წყალი გამორეცხავს ქანებიდან რადიაქტიულ ელემენტებს და გამოიტანს მათ. რადიაქტიული ელემენტების მცირე რაოდენობა შეიძლება მტრის სახითაც იქნეს გავრცელებული ჰაერიში.

მნიშვნელოვნად ზიანდება ცოცხალი ორგანიზმი თუკი რადიაციული იზოტოპები ინტენსიურობის მოხვდებიან. ამ შემთხვევაში საქსებით უფლებელო დაცვის ის მეთოდები, რომელიც გარეგანი დასხივების შემთხვევაში გამოიყენება.

შიდა დასხივებისას განსაკუთრებით საშიშია α ნაწილაკები. მისი განარჩენი მოკლეა, მაგრამ ამ უბანს აზიანებს უფრო ინტენსიურად. შიდა დასხივებისას მნიშვნელობა აქვს დაშლის სისწრაფეს. აგრეთვე იმას, რომ ზოგიერთ ორგანოში ზოგი იზოტოპი გროვდება, ის ორგანო სადაც გროვდება იზოტოპი, უფრო ზიანდება. მაგ. სტრონციუმ-90 და რადიოუ-226 ძელებში გროვდება. როცა რადიაქტიული ელემენტები ორგანიზმში შეაღწევნ შესუნთქვით, ჩაყლაპვით, კაში-

შეწივეთ, ჭრილობაში მოხვედრით, ურთიერთქმედებენ სხეულის უკრედიტთან, ქსოვილებთან და ორგანოებთან (ძვალი, ღვიძლი, თირქმელი და ა.შ.). შემძლება ადგილი ჰქონდეს ზემოთ ჩამოთვლილ ტრავმათა კომბინაციას.





ფიზიკური დაცვა იზოტოპებისაგან, რომლებიც ორგანიზმში მოხვედებან, შეუძლებელია. მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით არ იცის არც ქიმიური საშუალება, რომლის საშუალებითაც განხიტრალდება რადიაქტიული იზოტოპები და შეწყდება ბირთვის რადიაქტიული დაშლა. ამის გამო შინაგანი დასხივებისა დაცვითი ღონისძიებები პრინციპულად განსხვავდებულია. საუკეთესო დაცვის ხერხი ამ შემთხვევაში არის პროფილაქტიკა ანუ ღონისძიებები, რომლებიც ასე თუ ისე უზრუნველყოფენ ორგანიზმში რადიაქტიული ელემენტების მოუხვედრელობას, ან უკიდურეს შემთხვევაში მათი ზემოქმედების შესუსტებას.

უდაოა, რომ ცოცხალი ორგანიზმების რადიომერნობელობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. პირდაპირი დამოკიდებულება ორგანიზმის სირთულესა და რადიომერნობელობას შორის არ შეინიშნება, რადგან ცხოველთა თითოეულ ჯგუფში არის სახეობები, რომლებიც ნაკლებ ან მეტად მერნობიარენი არიან რადიაციისადმი. აქედან წარმოიშვა იდეა-ხომ არ შეიძლება, რომ რადიომერნობელობა დაკავშირდებული იყოს განსაკუთრებულ ქიმიურ ნაურთებთან?

1949 წელს ამერიკელმა ქიმიკოსმა კ. ბარონმა დაადგინა, რომ პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ -SH- ჯგუფს და წარმოიქმნებიან რადიოლიზისას, ამცირებენ გარკვეული ფერმენტების აქტიურობას. აღმოჩნდა, რომ ასეთი ჯგუფები იოლად იუანგებიან თავისუფალი წყლის რადიკალებით.

მაშინ ბარონს მოუვიდა აზრი: ხომ არ შეიძლება ნივთიერებათა საშუალებით, რომლებიც ამ SH ჯგუფს შეიცავს, აღადგინოს ფერმენტთა აქტიურობა, რომელიც მათ დასხივებისას დაკარგებს? ლოგიკური იყო ამ მიზნით გამოყენებინა ისეთი ნივთიერება, რომელიც თვითონ შეიცავდა ამ ჯგუფს და შეძლებდა ჩაენაცვლებინა ისინი. ბარონის მიერ გამოყენებული იქნა ამინომჟავა ცისტეინი. ის შეცავს SH ჯგუფს. გვხვდება ცოცხალ უჯრედში, როგორც თავისუფალი სახით, ასევე ცილის შემადგენლობაში.

ახლო სერიოზული ნაბიჯი რადიობიოლოგიაში გადაიდგა 1951 წელს, როცა ბელგიელმა რადიობიოლოგმა ზ. ბაკმა თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას გამოიყენა ცისტეინი. ეს ნივთიერებაც SH ჯგუფს შეცავდა და ძალიან გავდა ცისტეინს:



ბაკის ცდები გაიმურა მსოფლიოს ბევრმა რადიობიოლოგმა და მიიღო სასურველი შედეგები. დადგინდა, რომ ცისტეამინი დასხივებისგან იცავს არა მარტო თაგვებს, არამედ ძალლებს და მაიმუნებსაც. ხოლო როცა იგი შეიყვანეს სხივური დაავადების მქონე ადამიანის ორგანიზმში, სხივური რეაქციები მკვეთრად შეცირდა.

ცისტეინი უწინდება ჟანგბადს და ამით ავლენს დაცვით მოქმედებას, ჟანგბადის შემცირებით მერქნობელობის შემცირება ადამიანის შემთხვევაში, ძალიან მოუხერხებელია, თუმცა თაგვების სასუნთქ აირში 5-7% ჟანგბადის შემცირებამ მათი სიკედლილანობა 40-70%-ით შეამცირა. გამოირკვა ისიც, რომ მნიშვნელოვნად ამცირებს რადიომერქნობელობას ჰიპოთერმია.

ე. ი. ნეიტრონების და პროტონების ნაკადისაგან დასაცავად ეფექტური აღმოჩნდა ქიმიური საშუალებები: ცისტეინი, ცისტეამინი, ცისტამინი ან ჟანგბადის შემცირება შესასუნთქ აირში (ჰიპოქსია), მაგრამ მათი მოქმედების ვადა მეტად შეზღუდულია.

შიდა დასხივების საწინააღმდეგო ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ დამცავ პრეპარატს ექნება ასევე ამორჩევითი უნარი საჭირო ორგანოში კონცენტრირებისა და ხანგრძლივი მოქმედებისა. ასეთ პრეპარატს მეცნიერება ჯერ-ჯერობით არ იცნობს. თუმცა რადიაქტიულობის შესაზღუდავად ან მის მოსაცილებლად, სხვადასხვა მეთოდი და მედიკამენტი მანქც არსებობს. ზოგიერთი წამალი ჯერ კიდევ კალვის პროცესშია და საგანგებო შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ. (მაგ. რადიოგარსი-პრესიული ლურჯი და DTPA-დიეთილენეთრიამინექნააცეტის მჟავა).

აღსანიშნავია ორი ძირითადი ღონისძიება, რომლის დახმარებითაც მიღღწევა შიდა დასხივების შესუსტება. პირველი დაფუძნებულია იმაზე, რომ რადიაქტიული ელემენტები ძირითადად ორგანიზმში შეაღწევენ პირიდან და კვებითი ტრაქტის საშუალებით სისხლში შეიწოვებიან. სისხლში მათი შეწოვისათვის საჭიროა გარკვეული დროის მონაკვეთი. თუკი ამ დროში საკვებ ტრაქტში შეიყიდანთ ნივთიერებას, რომელიც თვითონ შეისრულავს და დააკვებს ნაწლავებში მყოფ იზოტოპებს, მაშინ სისხლში მათი შეწოვა შეფერხდებოდა. ამ მიზნით გამოიყენება მაღალმოლექულური ინდიფერენტული ნივთიერებები-ადსორბენტები.

ეს მეთოდი ეფექტურია თუკი შეღწეული იზოტოპები ნელა შეიწოვება კვებითი ტრაქტიდან და იოლად ადსორცირდებიან. ასეთია ცირკონიუმი, რუტენი, რადიუმი, თორიუმი, პლუტონიუმი და სხვა. მეორე ღონისძიება გამოიყენება მაშინ, თუკი რადიაქტიულმა იზოტოპებმა უკვე შეაღწიეს სისხლში,

შესაძლებელია ისინი გადანაწილდნენ შინაგან ორგანოებში და დაფიქსირდები რომელიმე მათგანში. ამ შემთხვევაში მიზანმიმართულად იღებენ ნივთიერების რომლებიც აჩქარებენ ორგანიზმიდან იზოტოპთა გამოდევნას. ასეთი პრეცარატი არ უნდა შედიოდეს ქიმიურ რეაკციაში ორგანიზმის ნივთიერებებთან და უცხო იყოს ნივთიერებათა ცვლის პროცესურებისთვის. ერთ-ერთი ასეთი პრეცარატია პოლიამინოკარბომჟავა და ასევე ორგანული მჟავები: ლიმონის მჟავა, უნიტოლი, პენტაცინი და აქსატიოლი.

ძირითადად ორგანიზმში შეაღწევენ ისეთი იზოტოპები, რომელთა მიმართ შესაძლებელია გამოიყენოთ გამოდევნის მეთოდი, სანამ ისინი სისხლში გადავლიან. მაგრამ ისეთი საშიში იზოტოპები, როგორიცაა ცეზიუმ-137 და სტრონციუმ-90, რომლებიც ატომური აფეთქებისას წარმოიქმნება, ადგილად შედიან ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებში. მაღალი ხსნაობის გამო ისინი დაახლოებით 30-60წ-ში შეიწოვებიან სისხლში, ამიტომ პირველი ხერხი მათი გამოდევნისთვის, დროის სიმცირის გამო, ნაკლებეფექტურია.

სისხლში მოხვედრილი ცეზიუმ-137, კალიუმის და ნატრიუმის მსგავსად თანაბრად ნაწილდება მთელ ორგანიზმში, მათ შორის სისხლის ერითროციტებში და კუნთებში.

სტრონციუმ-90 კალიუმის მსგავსად 4 დღის განმავლობაში ფიქსირდება ძვლებში, საიდანაც მისი გამოდევნა ძალიან რთულია. ამიტომ საჭიროა სწრაფი ღონისძიებები პირველივე საათში, მანამ, სანამ სტრონციუმი მიაღწევს ძვლის ქსოვილს. თუკი ეს მინც მოხდა, თანამედროვე მეთოდებით მისი გამოდევნა შეუძლებელია. სტრონციუმ-90-ის ნახევარდაშლის პერიოდი (28 წელი) ფაქტიურად განაპირობებს ორგანიზმის დასხივებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ცეზიუმით მოწამლული ორგანიზმის სამურნალოდ კარგი შედეგები მიღილება კალიუმით ორგანიზმის დატვირთვის შემთხვევაში. კალიუმი აჩქარებს ცეზიუმის გამოდევნას. გარკვეულ შედეგს იძლევა კალიუმით დატვირთვაც.

რაც შეეხება სტრონციუმ-90-ს, ერთადერთი მეთოდად მისი ორგანიზმიდან გამოდევნისა რჩება საკვებგადამამუშავებელ ტრაქტში მისი ადსორბცია.

დაცვის ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა შესაძლებელია მაინც ვერ უზრუნველყოს რადიაქტიული იზოტოპებისაგან დაცვა. საფრთხე არა მარტო ატომური ენერგეტიკის, ან კვლევითი ცენტრების მომსახურე პერსონალს შეეხება. როგორც ცნობილია რადიაქტიული იზოტოპები ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მომავალში კი ის კიდევ უფრო ფართოდ დაინერგება. ამასთან დაკავშირებით ადამიანისათვის და საერთოდ ცოცხალი გარემოსთვის რადიაციული საფრთხე საქმაოდ რეალური და აქტუალურია. ეს საფრთხე მკვეთრად იზრდება სტიქიური უბედურებების (ატომური ელექტროსადგურის ან რადიაციული მარაგების ტერიტორიებზე), დივერსიული აქტების ან თუნდაც რადიაქტიულ იზოტოპებთან გაუფრთხილებელი მოპყრობისა და ტექნიკური ავარიების შემთხვევებში. ხოლო ისეთი მოვლენა, როგორიცაა

ბირთვული იარაღის გამოცდისას რადიაქტოული ელემენტების გამოტყოფის, პროცესი საერთოდ ამ ექვემდებარება კონტროლს და საფრთხეს უქმნის გაცომითობას.

М. Н. ШАЛАМБЕРИДЗЕ

Воздействие радиаций на организме человека и защитные мероприятия

Резюме

Проблемы радиаций стали привлекать внимание все большего круга ученых. В статье говорится о достижениях сравнительно молодой науки-радиобиологии.

В последние сотни тысяч лет уровень радиации был относительно постоянен. Это объясняет нам, почему у современных организмов в процессе эволюций не развились специальные органы восприятия ядерных излучений, как это произошло, например, с рецепторами на видимый свет. Отсутствие рецепторов уровня радиации привело к тому, что в течение своей тысячелетней истории человек и не подозревал о наличии естественной радиации.

Применение первых атомных бомб в Хиросиме и Нагасаки, гибель сотен тысяч людей от ядерных излучений привлекли к этой проблеме внимание всего человечества. Начиная с 1954г. в результате испытания ядерного оружия впервые за всю историю нашего существования радиоактивный фон стал неуклонно повышаться.

Целью защитных мероприятий является уменьшение дозы внешнего облучения человека ниже предельно допустимого уровня облучения и предохранение от возможного попадания радиоактивных изотопов на кожные покровы тела и внутрь организма. Но наладить совершенную физическую защиту во всех случаях, когда человек сталкивается с источниками ионизирующей радиации необычайно трудно. И уж вовсе невозможно обеспечить физическими методами индивидуальную защиту людей, вынужденных работать в зоне действия ядерных излучений или подвергающихся интенсивному многократному местному облучению с лечебной целью, например, при лучевой терапии.

Поэтому во всех случаях, когда физическая защита невозможна или дает недостаточный эффект, целесообразно использовать химические методы защиты, значительно менее громоздкие и более гибкие. Наконец, можно рассчитывать на ослабление радиационных повреждений при введении химических препаратов, и после облучения, чего, разумеется, нельзя достичь с помощью физической защиты.

გამოცემული ლიტერატურა

1. В.А. Барабои, Б. Р. Киричинский. Ядерные излучения и жизнь. Издательства "Наука" Москва 1972г.
2. Х. Мацуда, К. Хаяси. Ядерное оружие и человек. Москва 1959г.
3. Сборник статей Проблемы использования атомной энергии.

სააგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის კათედრა

ქართველ ჩიქვინიძე

ქიმიკ ნივთიერებათა გენეტიკური აქტივობას გამოვლენა ტესტ-სისტემი

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია გარემოში დიდი რაოდენობით ბიოსფეროსათვის „უცხო“ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყოფა და დაგროვება, რომელთა ზემოქმედებას მთელი ცოცხალი სისტემა დაუქვემდებარა.

ბიოსფეროზე ამ ნაერთთა მოქმედების ყველა ასპექტის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პესტიციდები, რომელთაც ზოგადტოვსიკურ მოქმედებასთან ერთად აღმოჩნდა, რომ განეტიკური აქტივობაც ახასიათებთ. პესტიციდების გენეტიკური ეფექტი გენური მუტაციებისა და ქრომოსომული აბერაციების ინდუცირებაში ვლინდება. ამდენად განსაკუთრებული სიმწვავით დგას პესტიციდების მუტაგენური აქტივობის შეწავლის საკითხი. პესტიციდების, როგორც მუტაგენური ფაქტორის გამოვლენა საშუალებას მოვცემს თავიდან ავიცილოთ მათი ზეგავლენით გამოწვეული უარყოფითი გენეტიკური ცვლილებები.

საქართველოს პირობებში პესტიციდებს ფართოდ იყენებს სოფლის მეურნეობისა ყველა დარგი. ამიტომ მათი გენეტიკური აქტივობის დადგენა საინტერესოა როგორც მეცნიერული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ქიმიურ პრეპარატთა მუტაგენური აქტივობის შესასწავლად ბოლო წლებში როგორც ტესტ-სისტემა გამოყენებულია სოია. ტესტ-სისტემის ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ხდება სომატურ გენეტიკური დარღვევების რეგისტრირება პირველსავე თაობაში. ჩვენს შემთხვევაში ტესტ-ობიექტად შეჩინული იქნა სოიას **Glycine max (L) Merrill** ხაზი. რომელიც ადვილად რეგისტრირებადი გენების გამო როგორც სომატური მოზაიკიზმის სარეგისტრაციო სისტემა საკმაოდ მერძნობიარება და საშუალებას იძლევა გამოვალინოთ გენეტიკურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის ისეთები, რომელთაც სხვადასხვა მოლექულური მოქმედების მექანიზმები გააჩნიათ.

სოიას ტესტ-სისტემაზე გამოცდილი იქნა პესტიციდების: ჰექსათიურამის, ჰექტათიურამის, კელტანისა და სუმილექსის გენეტიკური აქტივობა. კერძოდ შევისწავლეთ მათ მიერ ინდუცირებული პირდაპირი და შებრუნებული (რევერსიები) მუტაციების სიხშირე.

სოიას მწვანე ფენოტიპის მცენარეთა ფოთლებზე (გენოტიპი $Y''Y'$) სალათისფერი და ყვითელი ლაქები სომატურ უჯრედში მომზღარი პირდაპირი გენური მუტაციის შედეგია. ყვითელ მცენარეთა ფოთლებზე სალათისფერი ლაქები წერ-

ტილოვანი მუტაციების შედეგად წარმოქმნება. იშვიათ შემთხვევაში გვიჩვენ ცელილება შეიძლება დელეციამ ან "Y" გენის მქონე ქრომოსომის განაზღავნების დაზღვრისას.

პირდაპირი მუტაციების აღრიცხვას ვახდებდით სინას მწვანე მცენარეთა ფოთლებზე წარმოქმნილი სალათისფერი და ყვითელი ლაქების ინდუქციის მიხედვით. რევერსიების აღრიცხვას კი ვახდებდით ყვითელ ჰომოზიგოტურ (y"y") მცენარეებზე. აღმოჩნდა, რომ პრეპარატები სხვადასხვა სიხშირით იწვევენ ამ კლასის მუტაციების ინდუცირებას. ისინი პირდაპირ მუტაციებს გაცილებით მაღალი სიხშირით ინდუცირებენ, ვიდრე რევერსიებს.

ფუნგიციდი ჰექსათორუამი მაღალი სიხშირით ინდუცირებს პირდაპირ და შებრუნებულ მუტაციებს მცენარეები. პრეპარატის კონცენტრაციის გაზრდასთან ერთად იზრდება მუტაციების სიხშირე. 0,05%-იანი ხსნარის შემთხვევაში ლაქათა რაოდენობა მწვანე მცენარის ფოთლებზე საშუალოდ 1,14 იყო, ხოლო 0,1%-იანი ხსნარის შემთხვევაში 3,60. ჰექსათორუამით ინდუცირებული პირდაპირი მუტაციების სიხშირე 0,05% კონცენტრაციაზე 2,73 ლაქა შეადგინა, რაც 4,6-ჯერ აღემატებოდა საკონტროლოს. ასევე გაიზარდა უკუმუტაციის სიხშირეც. ამ პრეპარატის 0,1%-იანმა ხსნარის ზემოქმედებით გამოწვეული რევერსიების სიხშირე 1,30-ია, რაც 3-ჯერ აღემატება საკონტროლოს.

მნიშვნელოვანი გენეტიკური აქტივობა გამოავლინა ინსექტიციდმა კელტენმა. 0,1%-იანი კონცენტრაციის ზემოქმედებისას ინდუცირებული პირდაპირი მუტაციის სიხშირე 9,22-ია, რაც 8-ჯერ აღემატება საკონტროლო ვარიანტში მიღებულ შედეგს. სარწმუნოა შებრუნებული მუტაციის შედეგიც. პრეპარატის დოზის გაზრდა იწვევს სინას ყვითელ მცენარეებში სალათისფერი ლაქების სიხშირის გაზრდას.

ფუნგიციდ სუმილექსის ორივე კონცენტრაცია ზრდის პირდაპირი მუტაციის სიხშირეს. 0,05%-იანი—2,27, 0,1%-იანი 3,55 სუმილექსმა გამოიწვია რევერსიების ინდუცია გაცილებით მაღალი სიხშირით, ვიდრე სხვა პრეპარატებმა. 0,05% კონცენტრაციისას შებრუნებული მუტაციის სიხშირემ 1,57-ს მიაღწია, მხოლო 0,1%-იანმა—2,18-ს. სალათისფერი ლაქების წარმოქმნის მაღალი სიხშირე (y"y") გენოტიპის მცენარეებში სუმილექსის მუტაგენურობის მჩვენებელია.

ჩვენს მიერ შესწავლილი პესტიციდების ზემოქმედებით სოიაში ხდება როგორც პირდაპირი, ისე რევერსიული მუტაციების ინდუცია, რომელთა სიხშირე ექსპონიციის ზრდის კვალობაზე მატულობდა. გნუტიკური აქტივობის გამო საჭიროა ამ პესტიციდების მოხმარების შეზღუდვა.

ლიტერატურა

1. А. Захаров, "Мутагенез и окружающая среда" М., 1987
2. Блохина Ю. Биометрия, Киев., 1981
3. დ. მდინარაძე, მ.ძოწერიძე პესტიციდები და მათი ქიმიური შედეგების

Ketevan Chikvinidz
THE STUDY OF GENETIC ACTIVITY OF THE PESTICIDES IN SOY BEANS

SUMMARY

Various chemical substances have been released and accumulated in an environment as a result of technical progress. The protection of the environment from stressful anthropogenic factors is one of the most important problems nowadays. Pesticides belong to the dangerous environmental pollutants. Many of them are characterized along with toxic effects by genetic activity.

The seed obtained from heterozygous Soy bean (Y^y) were subjected to the action of 4 types of toxic chemicals used in viticulture (Heksatiuram, Heptatiuram, Keltan, Sumilex)

Mitotic crossingover and other such instances of somatic mosaicism on heterozygous plant leaves (Y^y) were observed and direct mutations on plant leaves of the Y^Y genotype and reverse mutations on homozygous plant leaves y^y were taken into account.

High doses of the preparations (0.2%) have caused the 4 morphoses. All 4 substances induced forward as well as reverse mutations, the frequencies of which increased in a dose-dependent manner. Hexa and Heptatiurams have exhibited higher recombination inducement activities. Gene mutations have been induced by Celtan and Sumilex. Since 4 preparations studied have been characterized by genetic activity it's necessary their withdrawal or at least strong limitation in their consumption.

ქიმიის კათედრა

მიღრგი ჩირაგვე

შოტომექანიკური ეფექტის სიღილეთა ნიმუშის სიღრმის მიხედვით განაწილების შესახებ

თანახმად [1]-სა ფოტომექანიკური ეფექტი – ფტე (ნივთიერების ზედაპირული სისალის შემცირება განათების პროცესში) განპირობებულია სინათლის ზემოქმედების შედეგად მუხტის თავისუფალი გადამტანების დამატებითი კონცენტრაციის გაწინით.

როგორც ცნობილია [2] სინათლის მყარ სხეულზე ზემოქმედებისას დაცემულ – I_0 და ნიმუშში გასულ I ინტენსივობებს შორის თანაფარგობას აქვს შემდეგი სახე:

$$I = I_0 \exp(-ad) \quad (1)$$

სადაც: a – შთანთქმის კოეფიციენტია, d – ნიმუშის სისქეა. გამომდინარე ამ დამოკიდებულებიდან, კრისტალის ზედაპირული ფენის სისქე, რომელშიც ადგილი ექნება დაცემული I_0 გამოსხივების ინტენსიურ შთანთქმას (და რომელშიც შესაბამისად თავმოყრილი იქნება მუხტის არაწონასწორული გადამტანების მაქსიმალური კონცენტრაცია) განისაზღვრება შთანთქმის კოეფიციენტის შემცირებული სიდიდით ($1/a$), რომელშიც დაცემული ინტენსივობა შემცირდება e^{-ad} . ამ არის გარეთ კრისტალის სიღრმეში სინათლით წარმოქმნილი მუხტის არაწონასწორული გადამტანების კონცენტრაცია განისაზღვრება დიფუზიის პროცესით, რომელიც ხასიათდება დიფუზიური სიგრძით I_D -თი:


$$I_D = (D\tau)^{1/2} \quad (2)$$

სადაც: D – დიფუზიის კოეფიციენტია, τ – სიცოცხლის ხანგრძლივობაა. ამგვარად, თუ ცნობილი იქნება a -ს და τ -ს მნიშვნელობები კონკრეტული შემთხვევისათვის, შესაძლებელია მიღებული იქნეს ინფორმაცია სინათლით წარმოქმნილი მუხტის არაწონასწორული გადამტანების ნიმუშის სიღრმეში მიხედვით განაწილების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირის გამოვლენას სინათლის შესატყიდის სისალის (შესაბამისად ფქვ-ს) მნიშვნელობებსა და მუხტის არაწონასწორულ გადამტანების შესაბამის კონცენტრაციას შორის.

ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტი სისალის მნიშვნელობების დატვირთვაზე დამოკიდებულების კვლევისა სიბრულეში და განათების პროცესში. გაზომვები ტარდებოდა ფირმა „Leitz“ – ის დანადგარ „Durimet“ – ზე ჩანერვის მეთოდით, კნუპის სტანდარტული პირამიდის გამოყენებით.


კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მონკრისტალური, უდისლოკაციონური Si_{Si} , რომელიც ლეგინებული იყო Sb -ით მინარევის კონცენტრაციით 2,310 ppm . გაზომების დაწყებამდე საკვლევი კრისტალის ზედაპირი მუშავდებოდა მექანიკურად, შემდეგ ქიმიურად და ბოლოს გამოიწვებოდა მაღალ ვაკუუმში შემდგომი ნერი გაცივებით. სინათლის წყაროდ გამოიყენებოდა K21-150 ტიპის ვოლფრამის ძაფიანი გარეარების ნათურები.

ნახ. 1-ზე მოყვანილი საკვლევი Si -ის სისალის მნიშვნელობების ინდენტორზე მოდებულ დატვირთვაზე დამოკიდებულების მრუდები სიბნელეში (1) და განათებისას (2), ხოლო ნახ. 2-ზე მოყვანილია ფერ-ს სიდიდეთა დამოკიდებულება ინდენტორის კრისტალში ჩანერგვის სილრმეზე.



ნახ. 1. მონკრისტალური Si -ის სისალის მნიშვნელობებისა დამოკიდებულება ინდენტორზე მოდებულ დატვირთვის სიდიდეზე სიბნელეში (1) და განათებისას (2). გაზომების ცდომილება, რომელიც მითითებულია სიბნელის შესატყიყის მრუდზე ნარჩენდება განათების შემთხვევაშიც.

აღსანიშნავია რომ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია შემდეგი თავისებურების გათვალისწინება. კრისტალის იდენტიტეტის პროცესში ადგილი აქვს იმ არის კრისტალური სტრუქტურის რღვევას, რომელიც უშავალოდ მიმდებარება ანაბეჭდთან. ეს არე შეიცავს სხვადასხვა სახის დეფექტებისა და დისლოკაციების დიდ რაოდენობას [3,4], რომელიც რეკომბინაციის ცენტრებს წარმოადგენს მუხტის თავისუფალი გადამტანებისათვის და შედეგად იწვევება ამ უკანასკნელთა სიცოცხლის



ნაზ.2. ფოტომეტრიული გვერდის სიღრღვეს კულტონის ჰელიოგრაფია Si-ში, ინდინიტორის ჩანარევის სიღრმის მიხედვით.

სანგრძლივობის შეცირებას. თანხმად [5]-სა მუტიკის თავისუფალი გადამტანების სიცოცხლის სანგრძლივობა მონოკრისტალური Si-ის დარღვეულ სტრუქტურათა არებში, რომლებიც წარმოიქმნებიან ინდუნტორის ჩანერების შედეგად ტოლია $\sim 10^{-8}$ წმ-ის. ამიტომ (2) ფორმულაში Id-ს შეფასებისათვის t -ს ნაცვლად უნდა აღიტულ იქნეს ეს მნიშვნელობა.

კრისტალური სტუქტურის რღვევა ასევე იწვევს ამბიპოლარული დიფუზიის კოეფიციენტის მნიშვნელობის შეცვლას. ამის მიზეზია მუხტის გადამტანების ძვრადობის შეცვირება ერთი რიგით [6], მის საწყის მნიშვნელობასთან შედარებით. შესაბამისად ერთი რიგით შეცვირდება ამბიპოლარული დიფუზიური ძვრადობის სიდიდე და ამით განსაზღვრული ამბიპოლარული დიფუზიის კოეფიციენტი. ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ამბიპოლარული დიფუზიის სიგრძე მიიღება 1,4 მეტ-ს ტოლი.

ზემოთაღნიშვნული გზით გამოვლილი სინათლით წარმოქმნილი მუხტის თავისუფალი გადამტანების განაწილება ნიმუშის სიღრმის მიხედვით იმყოფება საკმაოდ კარგ შესაბამისობაში ნახ.2-ზე მოყვანილ მრუდათან. ჩანს, რომ ფერ-ს სიღრმის თანდათანობითი შემცირება ინდუსტრიის კრისტალში ჩანერგვის სიღრმის ზრდის მიხედვით კორელაციაშია მუხტის არაწონასწორული გადამტანების განაწილებასთან ნიმუშის სიღრმის მიხედვით.

რეზიუმე
ფოტომექანიკური უჯერტის სიდიდეთა ნიმუშის სიღრმის მიხედვით
განაწილების შესახებ
გიორგი ჩირაძე

ნაშრომში მონოკრისტალური, უდისლოკაციონი Si-ის მაგალითზე ექსპერიმენტულად გამოკვლეულია სისალის დატერიტოვაზე დამოკიდებულება სიბრტლეში და თეთრი სინათლით შემოქმედების პირობებში. მიღებულ დამოკიდებულებათა საფუძვლზე აგებულია ფოტომექანიკური უჯერტის (ფე) სიდიდეთა . ნიმუშის სიღრმის მიხედვით განაწილების პოფილი.

ნაჩვენებია დამაკმაყოფილებელი კორელაცია ინდუნტორის ნიმუშში ჩანურგვის სიღრმის მიხედვით ფე-ს ცვლილებასა და სინთლით წარმოქმნილ მუხტის არაწონასწორეულ ვარდტანების შესაბამის განაწილებას შორის, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით; რომელიც დამახსასიათებელია იდენტირების პროცესისათვის.

რეზომე

О распределении величин фотомеханического эффекта по глубине образца
Чирадзе Георгий

2. O. Dzagnidze. Unilateral in various senses: the limit, continuity, partial derivative and the differential for functions of two variables, Proc. A. Razmadze Math. Inst., vol. 129 ,2002, 1-15.
3. O. Dzagnidze. On the differentiability of functions of two variables and of indefinite double integrals, Proc. A. Razmadze Math. Inst., vol. 106, 1993, 7-48.
4. S. Saks. THEORY OF THE INTEGRAL. G.E. Stechert & Co., New York,1937.
5. И. П. Натансон. Теория функций вещественной переменной, Издательство "Наука", Москва, 1974.

მათემატიკის კათედრა

ქათევან ჭლიპე

სერვერის აქტიური გვერდები და მონაცემთა ბაზები

თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენლია საჭირო ინფორმაციის დროულად მიღების გარეშე. ყოველივე ამას ყველაზე აქტიურად ემსახურება ინტერნეტი. თუკი საჭიროა შეცმნათ ჩვენი დაწესებულების ან პრისონალური ინტერნეტ-გვერდი, რომელზედაც სხვა ინფორმაციასთან ერთად მოგათავსებთ მონაცემებს მონაცემთა ბაზებიდან, მაშინ აუცილებელია გამოვიყენოთ პროგრამირების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა შორისაც ერთ-ერთია Asp-ტექნოლოგია.

Microsoft ფირმის Asp (Active Server Pages) ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს შეცმნათ დინამიკური, ინტერაქტიული კლიენტ-სერვერული ინტერნეტ-გვერდები სკრიპტული ენგბის (VBScript, JavaScript) გამოყენებით, სადაც მრმარებელი ფორმებისა და ActiveX ელემენტების საშუალებით ირჩევს სასურველ ინფორმაციას და ღებულობს კიდეც მას სერვერზე მოთავსებული მონაცემთა ბაზიდან. მიღებულ ინტერნეტის გვერდს აქვს .asp გაფართოება. იგი ინახება სერვერზე და მისი შესრულებისას ინტერნეტის გვერდის დათვალიერების პროგრამა (მაგ.: Internet Explorer ან Nescape Navigator) შედეგად ღებულობს html (HyperText Markup Language) დოკუმენტს. დათვალიერების პროგრამებს, თუნდაც მათ არ გააჩნდეთ სკრიპტ-ენგბის შესრულების შესაძლებლობა „აზრადაც კი არ მოსდით“ ის, რომ .asp პროგრამაში ასეთი კოდები არსებობს.

აღნიშნული ტექნოლოგიისათვის საჭიროა არანაკლებ ოპერატორი სისტემა: Windows 95/NT და სერვერი: Microsoft Information Server ან Microsoft Personal Server.

Asp შეიცავს 11 სერვერულ კომპონენტს Active Database Objects (ADO) ერთ-ერთია და გამოიყენება სხვადასხვა სახის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის წაკითხვისათვის. მასთან ყოველი მონაცემთა ბაზა უნდა აქმაყოფილებდეს ODBC (Open Database Connectivity) სტანდარტს. მონაცემების წაკითხვა ხორციელდება მოთხოვნათა სტრუქტურული ენის (SQL) საშუალებით.

Asp პროგრამირება არ საჭიროებს დამატებით პროგრამულ საშუალებებს. ყოველივე ინტეგრირებულია სერვერზე. ტექნოლოგია არ შექმნილა ცარიელ ადგილზე. დინამიკური ინტერნეტ გვერდების შექმნისათვის გამოიყენებოდა სერვერული ინტერფეისი Common GateWay Interface (CGI). განსხვავებით Asp-ისა-

გან ამ დროს პროგრამული კოდი იწერება დამხმარე პროგრამა-ინტერპრეტორის შესაქმნელზე - Perl, ან სხვა პროგრამირების ენაზე (C++, java).

Asp-ტექნოლოგიასთან ერთად ინტერაქტიული ინტერნეტ გვერდის შესაქმნელად გამოიყენება აგრეთვე php-ტექნოლოგიაც.

მარტივად რომ ვთქვათ, Asp არის იგივე web-გვერდი და მისი კოდი ჰგავს html კოდს. იგი შეიცავს html-ის ბრძანებებსა და სკრიპტების კოდებს. თვით Asp პროგრამა შეიძლება შეიქმნას. ნებისმიერ ტექსტურ რედაქტორში (მაგ: NotePad.exe, WordPad.exe) და ფაილი უნდა შევინახოთ გაფართოვებით - .asp.

მაგალითისათვის, განვიხილოთ უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა university.mdb, რომელიც შევქმნათ პროგრამა MSAccess-ში. მასში მოვათავსოთ ცხრილები სურ. 1-ზე მოცემული სტრუქტურებითა და მონაცემებით. ცხრილებს შორის კავშირები გამოსახულია ER-დაგრამაზე (სურ. 2).

fac_id	name
1	Philology
2	History
3	West-European
4	Physics-Mathematics


dep_id	name	fac_id
1	Georgian Languages	1
2	Georgian Literature	1
3	World History	2
4	Georgian History	2
5	Mathematics	4
6	Physics	4
7	Informatics	4

ა) ფაკულტეტი (ფაკულტეტი, დასახულება); ბ) განყოფილება(განყოორმ., დასახულება, ფაკულტ.)

empl_id	name	address	salary	dep_id	pageurl
1	Janjalia E.	40 Evdoshvili st.	100	6	janjalia.html
2	Nanava A.	30 Rustaveli st.	120	6	nanava.html
3	Oniani N.	19 Bako st.	150	6	onianin.html
4	Oniani G.	20 Makharadze st.	145	5	onianig.html
5	Sokhadze Z.	15 Tamar Mephe st.	130	5	sokhadze.html
6	Oniani G.	20 Makharadze st.	100	5	george.html
7	Kutivadze N.	8 D.Agmashenebeli st.	120	2	kutivadze.html

გ) თანამშრომელი (თანამშრ. ნომ., გვარი, მისამართი, ხელფასი, განყოორმ., web-გვერდის მისამართი)

სურ.1. ცხრილები.



განვიხილოთ ამცანა. ვამოვიტანოთ ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ html გვერდზე. ამისათვის საჭიროა შევქმნათ .asp გვერდი.

.asp ფაილში პროგრამული კოდი თავსდება <%,%> სიმბოლოებში. დირექტივა <%@ LANGUAGE=VBScript %> მოუთითებს, რომ კოდი იწერება სკრიპტულ პროგრამაზე Visual Basic-ზე.

ამცანის ამოხსნისათვის ჯერ შევქმნათ ობიექტი "კავშირი" (conn) შემდეგი ბრძანებით:

```
Set conn = Server.CreateObject("ADODB.Connection")
```

ფაილი, რომელიც შეიცავს ჩვენს ცხრილებს შექნილია პროგრამა Access-ში ამიტომ უნდა მივუთითოთ მისი მმართველი პროგრამა და სრული გზა, რისათვისაც კავშირის (conn) პარამეტრები DRIVER და DBQ მიიღებენ მნიშვნელობებს:

```
strp="DRIVER=Microsoft Access Driver (*.mdb); _ DBQ=c:\ksu\dbo\university.mdb;"
```

დავაძიროთ აღნიშნული კავშირი:

```
conn.open strp,"",""
```

```
Set Session("_conn") = conn
```

შევქმნათ მოთხოვნა SQL-ზე, რომლითაც თანამშრომელთა ცხრილიდან (employee) ამოვირჩევთ ველებს: თანამშრომლის ნომერი, გვარი, მისამართი, ხელფასი, კათედრის ნომერი:

```
sqlstr="SELECT empl_id, name, address, salary, dep_id FROM employee"
```

შევქმნათ ობიექტი ჩანაწერთა სიმრავლე" - Recordset და გავხსნათ იგი აღნიშნული მოთხოვნის (sqlstr) საფუძველზე:

```
Set rs = Server.CreateObject("ADODB.Recordset")
```

```
rs.Open sqlstr, conn, 3, 3
```

ცხრილის ველზე მიმართავ განხორციელდება შემდეგი ფუნქციით ველის ნომრის (i-ური ველი): Server.HTMLEncode(rs.Fields(i)) ან სახელის მიხედვით Server.HTMLEncode(rs.Fields("name")), ხოლო ველის მნიშვნელობისათვის უნდა გამოვიყენოთ თვისება .Value.

ცხადია, რომ ცხრილის ყველა ჩანაწერის გამოტანისათვის უნდა გამოვიყენოთ ციკლის ოპერატორი, სადაც შევამოწმებთ ცხრილის (Recordset) ფაილის ბოლოს. asp-ფაილს ექნება შემდეგი სახე:

```

<%@ LANGUAGE=VBScript %>
<HTML>
<HEAD>
<TITLE>Employees and Departments</TITLE>
</HEAD>
<BODY>
<%
Set conn = Server.CreateObject("ADODB.Connection")
strp="DRIVER=Microsoft Access Driver (*.mdb); _ 
      DBQ=c:\ksu\lrb\db\university.mdb;"
conn.open strp,"",""
Set Session("_conn") = conn
sqlstr="SELECT empl_id, name, address, salary, dep_id FROM employee"
Set rs = Server.CreateObject("ADODB.Recordset")
rs.Open sqlstr, conn, 3, 3
%>
<TABLE BORDER=1> <!-- html ପରିଲାଗ--!>
<THEAD> <!-- html ପରିଲାଗରେ ସାତାର୍ଥରେ --!>
<TR>
<TH> emp_id</TH><TH>name</TH>
<TH>address</TH><TH>salary</TH><TH>dep_id</TH>
</TR>
</THEAD>
<TBODY> <!-- ପରିଲାଗରେ ଫାନ୍ଦି --!>
<%
    On Error Resume Next
    rs.MoveFirst
do while Not rs.eof
%>
<TR>
<TD><%=Server.HTMLEncode(rs.Fields(0).Value)%><BR></TD>
<TD><%=Server.HTMLEncode(rs.Fields(1).Value)%><BR></TD>
<TD><%=Server.HTMLEncode(rs.Fields(2).Value)%><BR></TD>
<TD><%=Server.HTMLEncode(rs.Fields(3).Value)%><BR></TD>
<TD><%=Server.HTMLEncode(rs.Fields(4).Value)%><BR></TD>
</TR>
<% rs.MoveNext
loop %>
</TBODY>
</TABLE>
</BODY>

```



</HTML>

აღნიშნული ფაილი შევინახოთ სერვერზე არსებულ კატალოგში .გვრცელდეთ ფართობით (employee.asp) და გამოიძახოთ Internet Explorer-ის საშუალებით, სადაც მისამართის სტრიქონში ჩავწერთ სერვერის სახელსა და ფაილის სახელს: მაგ.: <http://servername/employee.asp>. კლიენტი მიღებს კრიზე დროებით C:\Windows\Temporary Internet Files კატალოგში ჩაწერილ employee.html ფაილს.

თუ გვსურს დოკუმენტში ჩანდეს კათედრის დასახელებაც, მაშინ უნდა მოვახდინოთ ცხრილების employee და department - ბუნებრივი შეერთება (რელაციური ალგებრის ოპერაცია) საერთო ველის dep_id-ის მიხედვით და ამისათვის შევცვალოთ sqlstr ცვლად შემდეგნაირად:

```
sqlstr="SELECT employee.emp_id, employee.name, employee.address,
           employee.salary department.name FROM employee INNER JOIN
           department ON employee.dep_id=department.dep_id"
```

შედეგად მივიღებთ html ცხრილს, რომლის ბოლო სვეტში მოცემული იქნება კათედრის დასახელება და არა მის ნომერი.

ვთქვათ, გვსურს იმ ჩანაწერების ამორჩევა, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. მაგ. თანამშრომლები, რომლთა ხელფასი 100 ლარზე მეტია.

ამისათვის .asp პროგრამაში უნდა ჩაგამატოთ სტრიქონი პარამეტრის წაკითხვისათვის: data = Request.QueryString("data") და sqlstr ცვლადს მივაწეროთ სტრიქონი, რითაც მოთხოვთ დაემატება ამორჩევის ოპერაცია პირობით salary>=100:

```
If cstr(data) <> "" Then ' თუ data მონაცემი არსებობს
    sqlstr = sqlstr & " WHERE employee." & data
End If
```

ამ შემთხვევაში სერვერზე უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართი: <http://servername/employee.asp?data=salary>=100>

შევმნათ შემდეგი ინტერაქტული გვერდი. ვთქვათ, უნივერსიტეტის თანამშრომლებს აქვთ თავიანთი ინტერნეტ გვერდები, რომელთა მისამართები მოცემულია employee ცხრილის pageurl ველში. ამისათვის უნდა გავიაროთ შემდეგი გზა: ავირჩიოთ ფაკულტეტი, უნდა მივიღოთ ამ ფაკულტეტზე არსებული კათედრების ჩამონათვალი, ავირჩიოთ სასურველი კათედრა და მივიღოთ კათედრის თანამშრომელთა სია. ავირჩიოთ სასურველი თანამშრომელი და კურაზე მივიღოთ მისი ინტერნეტ გვერდი. საჭიროა შევმნათ სამი ერთმანეთის მსგავსი .asp ფაილი: faculty.asp, department.asp, employee.asp შესაბამისად ფაკულტეტების, კათედრების და თანამშრომელთათვის.

შემოქმედი ცოდნის ტანი
მუნიციპალიტეტის სამსახურის მიერ გვერდის მიერ გვერდის მიერ გვერდის

faculty.asp, department.asp ფაილების შემთხვევაში ციკლის ტანი შემდეგნაირად (faculty.asp ფაილში fac_id, ხოლო department.asp და employee.asp იქნება):

```
<%do while Not rs.eof
    id= Server.HTMLEncode(rs.Fields("fac_id").Value)
    nm= Server.HTMLEncode(rs.Fields("name").Value)
%>
<TR><TD>
<% response.write "<a href=department.asp?data=" & id & " >" nm %></a>
    <BR></TD>
</TR>
```

```
<% rs.MoveNext
loop %>
```

სადაც ყოველი ფაკულტეტის დასახელება დაკავშირებულია department.asp ფაილთან და data პარამეტრი ღებულობს არჩეული ფაკულტეტის ნომრის მნიშვნელობას (fac_id) ანუ faculty.html ფაილის ცხრილში ჩაიწერება:

```
<TR><TD>
<a href=department.asp?data=1>Philology</a><BR></TD>
</TR>
<TR><TD>
<a href=department.asp?data=2>History</a><BR></TD>
</TR>
<TR><TD>
<a href=department.asp?data=3>West-European </a><BR></TD>
</TR>
<TR><TD>
<a href=department.asp?data=4>Physics -Mathematics </a><BR></TD>
</TR>
```

თუ ავირჩევთ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს, მაშინ department.asp ფაილს გადაწილდება პარამეტრი data=4 ცხრილის ტანი მიღებულ department.html დოკუმენტში იქნება:

```
<TR >
<TD><a href=employee.asp?data=5>Mathematics</a><BR></TD>
</TR>
<TR >
<TD><a href=employee.asp?data=6>Physics</a><BR></TD>
</TR>
<TR >
<TD><a href=employee.asp?data=7>Informatics</a><BR></TD>
</TR>
```

ანალოგიურად წინა შემთხვევისა ყოველი კათედრის დასახელებას კავშირის აქვს employee.asp ფაილთან და თუ ავტოჩეკით ინფორმატიკის კათედრას კავშირის employee.html დოკუმენტი ცხრილიდან ამოირჩევს იმ თანამშრომლებს, რომ-ლებიც ინფორმატიკის კათედრას ეკუთვნიან.

აღვნიშნოთ, რომ პარამეტრი data სხვადასხვა გვერდზე სხვადასხვა შინა-არსისაა: ფაკულტეტისათვის ფაკულტეტის ნომერი, კათედრისათვის კათედრის ნომერი და თანამშრომლისათვის თანამშრომლის ნომერია.

თვით employee.asp ფაილი department.asp ფაილის მსგავსია იმ განსხვა-ვებით, რომ თანამშრომელთა გვარებს კავშირი ექნებათ employee ცხრილის pageurl ველის მნიშვნელობასთან, რაც მოგვცემს თანამშრომლის სასურველ ინ-ტერნეტ გვერდს.

ამრიგად, ინტერნეტ გვერდების შესაქმნელ მრავალ ტექნოლოგიას შორის ერთ-ერთია Asp ტექნოლოგია, რომელიც სხვა ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ინტერაქტიული ინტერნეტ გვერდი, ისე, რომ არ გამოვიყენოთ რამე დამატებითი პროგრამირების საშუალებანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Алексей Федоров, Публикация Данных в Internet. - Компьютер Пресс-02.1998;
2. Алексей Федоров, Технология Active Server Pages 2.0. - Компьютер Пресс-02.1998;
3. Что нужно знать про ASP. <http://desib.chat.ru/asp.html>.
4. Рубен Садоян, Построение интерфейса к базе данных. - Компьютер Пресс-09.2000;

Ketevan Chelidze
Active Server Pages and Databases

Abstract

Active Server Pages technology makes it possible to create a script-program on the programming languages (Visual Basic, Java), which is run on the server computer. A browser program creates a html file on client computer. This technology never requires any additional programming means. A server computer can do everything. This page are similar to a web page.

Asp gives us a possibility to work with databases by creating interactive and dynamic web pages. One may receive and write data from/in database tables by using Active Database Object technology, from those databases corresponding ODBC standard. SQL language is used to construct a query to databases.

This article explains how to get information from relational tables which are designed in Microsoft Access by using Visual Basic Script language.

ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის კათედრა

ეთერ ჯანხალია, ირმა კახიძე

შეიღებათან მუშაობა ტურბო პასკალში

ტურბო პასკალში ფაილების სამი ტიპი არსებობს: ტექსტური ფაილი, ტიპი-ზირებული ფაილი და არატიპიზირებული ფაილი.

ტექსტური ფაილი სტრიქონებად ორგანიზებული სიმბოლოების მიმდევრობას შეიცავს ამასთან თითოეული სტრიქონის ბოლოს თავსდება ორი, თვალით უზილავი სიმბოლო: კურსორის ივივე სტრიქონის დასწყისში გადაყვანის (CR-კოდი 13) და კურსორის შემდეგ სტრიქონზე გადაყვანის (LF-კოდი 10). ტექსტური ფაილი მთავრდება ფაილის დასასრულის ნიშნით. ტექსტურ ფაილებთან მუშაობას უზრუნველყოფს ტურბო პასკალის SYSTEM მოდული, რომელიც არ მოითხოვს USES ოპერატორის გამოყენებას.

პასკალში არსებობს სტანდარტული ფაილური Text ტიპი. ტექსტურ ფაილებზე ოპერაციების დაწყებამდე საჭიროა Text ტიპის ერთი ან რამდენიმე ცვლადის შემოტანა:

```
var in_file:Text;
```

IN_file ცვლადი შესაბამისობაში. მოდის გარეგან ფაილთან დისკოზე ან რომელიმე მოწყობილობასთან Assign პროცედურით:

```
Assign(in_file, 'c:\user\Newton\my_file');
```

```
Assign(my_text, 'prn');
```

პროცედურა აკვშირებს ერთმანეთთან იმ ფაილის სახელს, რომელთანაც მუშაობას ჩენქ ვაპირებთ, ფაილურ ცვლადთან. ასეთ გარეგან ფაილად შეიძლება გამოიყენებოდეს კომპიუტერის რომელიმე დისკოზე განლაგებული ნებისმიერი ფაილი, მაგრამ ამავე როლს შეიძლება ასრულებდეს რომელიმე მოწყობილობასთან (მაგ. პროცედურთან ან მონიტორთან) მიბმული ფაილიც. ფაილური ცვლადი ამის შემდეგ გამოიყენება პროგრამაში ფაილებთან მუშაობის პროცედურათა პარამეტრად.

მომდევნო ნაბიჯით გარე ფაილი უნდა გაიხსნას ჩასაწერად ან იქედან რაიმე ინფორმაციის წასაკითხად. ფაილის გახსნისას სრულდება საჭირო სისტემური ოპერაციები, რითაც იგი მზადდება ჩასაწერად ან ინფორმაციის წასაკითხად. **my_file** ტექსტური ფაილი ისნება **Reset (my file)** პროცედურით მხოლოდ წასაკითხად და **Rewrite (my file)** პროცედურით - მხოლოდ ჩასაწერად.

პროგრამის მიერ ფაილის დამუშავების დასრულებისას იგი უნდა დაიტუროს. ფაილის დახურვის შემდეგ მასთან მიბმული გარეგანი ფაილის განახლება ხდება მაგრამ ამის შემდეგ ფაილური ცვლადი სხვა გარე ფაილს შეიძლება დაუკავშირდეს. ფაილი იხურება **Close (my file)** პროცედურით.

აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ის გარემობა, რომ ფაილთან მუშაობის დასრულებისას ის უნდა დაიტუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასში ჩაწერილი მთელი ინფორმაცია იკარგება.

მას შემდეგ, რაც ტექსტური ფაილი გაიხსნება მასთან გარევეული მოქმედების შესრულება შეიძლება და უპირველეს ყოვლისა, ეს ფაილში ჩაწერა და ფაილიდან წაკითხვაა. ტექსტურ ფაილში შეღწევა ორგანიზებულია მიმღევრობით - ეს ნიშანებს, რომ პროგრამას ან შეუძლია დროის ნებისმიერ მომენტში ინფორმაციის ნებისმიერი წაკითხვა ფაილიდან, ან ჩაწერის განხორციელება ფაილის ნებისმიერ ადგილზე.

ტექსტური ფაილიდან წაკითხვა ან ტექსტურ ფაილში ჩაწერა შეიძლება განვახორციელოთ **Write**, **Writeln**, **Read** და **Readln** პროცედურათა გამოყენებით, მაგრამ პირველ პარამეტრად ამ პროცედურებში საჭიროა ფაილური ცვლადის მითითება:

Read(in_file,a,x);

Writeln(out_file, urgent message!');

პირველი პროცედურა ა და **x** ცვლადებს ანიჭებს ფაილის მიმდინარეობის კომპონენტის მნიშვნელობებს.

მოქმედებად იმისა, რომ ტექსტური ფაილი სიმბოლური მნიშვნელობების ნაკრებს წარმოადგენს, იგი შეიძლება გამოყენოთ რიცხვითი მნიშვნელობების შესანახად და ამას ხშირადაც აკეთებს. მნიშვნელობათა წაკითხვისას ან მათი ჩაწერისას ფაილში ხდება ავტომატური გადასვლა რიცხვითი ფორმატიდან სიმბოლურში და პირიქით.

გამოტანის ოპერატორში დასაშენებია გამორჩევის ფორმატის აღწერა. თუ მთელი, ბულის ან სტრიქონული ტიპის გამოსახულებას წარმოადგენს, მაშინ:

Writeln(a:n);

ნიშანებს ა -ს ჩაწერას ნ-ს პოზიციანი ველის მარჯვენა პოზიციაში. თუ ველის სსენტული ნ სიგრძე ა მნიშვნელობის სიგრძეზე ნაკლებია, მაშინ მოცემული სიგრძის იგნორირება ხდება. მაგალითად,

Writeln('12345':3);

ოპერატორის შესრულების შედეგად გამოიტანება მთელი სიმბოლური მნიშვნელობა 12345. ნ -ის მნიშვნელობა უარყოფითიც შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობის ჩაწერა მარცხენა ნ პოზიციაში ხდება.

იმ შემთხვევაში, როცა ნ ნამდვილი ტიპისაა, ფორმატის ორი ველის აღწერა უნდა ხდებოდეს:

Writeln(a:10:3);

რეპული წერტილის ფორმით, სამი ათობითი ზოგადი კლინიკური მარჯვენა საზღვრის მიმართ.

ცნობილია, რომ პასულში ტექსტური ტიპის თრი სტანდარტული ფაილური ცვლადია წარმოდგენილი: **input** და **output**. **input** სტანდარტული ფაილური ცვლადი წარმოადგენს მხოლოდ წასაკითხად გან-კუთვნილ ფაილს, რომელიც და-კავშირებულია ოპერაციული სისტემის (კლავიატურის) შეტანის ფაილთან. **output** -მეორე სტანდარტული ფაილური ცვლადია. იგი მხოლოდ ჩასაწერად გან-კუთვნილ ფაილს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია გამოტანის სტან-დარტულ ფაილთან (მონიტორთან). **DOS** -ის პროგრამის შესრულების დაწყების წინ ამ ფაილების ავტომატური გასწავა ხდება. ფაილის სახელს **Read** და **Write** პროცედურებში არ მიუთითებენ, თუ მუშაობა სტანდარტულ ფაილ-თან წარმოებს.

ტიპიზირებული ფაილური ცვლადის აღწერას შემდეგი სახე აქვს:

var ftable: file of type_ID;

სადაც **type_ID** ტუპის იდენტიფიკატორი ნებისმიერ ტუპის შეიძლება ასახავდეს (ფაილური გარდა). ტუპიზირებული ფაილის ელემენტებად მხოლოდ აღნიშნული ტუპის მნიშვნელობები გამოიყენება.

ტიპიზირებულ ფაილებთან მუშაობისას ჩვენთვის უკვე ნაცნობი **Assign**, **Reset** და **Rewrite** პროცედურების გამოყენება შეიძლება. უნდა აღინიშნოს, რომ **Reset** პროცედურით გასხსილ ტექსტურ ფაილში შეღწევა მხოლოდ წასაკითხად შეიძლება, ხოლო **ტიპიზირებულში** კი ჩასაწერადაც. **Read** და **Write** პროცედურათა გამოყენება აქ სხვანარიად ხდება. განსხვავება ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ყოველი პარამეტრი type-ID ტიპის ცვლადი უნდა იყოს, ხოლო გამოსახულებები და კონსტანტები დაუშევებელია. **Read** და **Write** პროცედურები მხოლოდ ტექსტურ ფაილებთან მიმართებაში იქმარება.

ტიპიზირებული ფაილები გამოიყენება ტიპის მიხედვით ერთგვაროვანი ინ-
ფორმაციის შესანახად. თუ ლაბარაკია რიცხვითი მონაცემების შენახვაზე სჭიროა
ტიპიზირებული ფაილების გამოყენება. რატომ? განვიხილოთ პროგრამა, რომე-
ლიც რიცხვითი მონაცემების ჩაწერას ახდენს ტექსტურ და ტიპიზირებულ ფაი-
ლებში.

ტექსტურ და ტიპიზირებულ ფაილებთან სადემონსტრაციო პროგრამა:

program file of extended;

-var

extfile: file of extended;

textfile: text;

x,y:extended;

I:word;

begin

```

assign(textfile,'table.txt');
rewrite(textfile);
x:=0.0;
for I:=1 to 1000 do
begin
y:=sin(x);
writeln(textfile, y);
x:=x+0.001;
end;
close(textfile);
assign(extfile,'table.ext');
rewrite(extfile);
x:=0.0;
for I:=1 to 1000 do
begin
y:=sin(x);
write(extfile,y);
x:=x+0.001;
end;
close(extfile);
writeln('მუშაობის დასასრული');
readln;
end.

```

ამ პროგრამის შესრულების შემდეგ დისკოზე (პროგრამის სამუშაო კატალოგში) ორი ფაილი გაჩნდება: **table.txt** და **table.ext**. პირველი მათ შორის ტექსტური ფაილია, ხოლო მეორე - ტიპიზირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაილები შეიცავს ერთნაირ ინფორმაციას, მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. თუ ორივე ფაილის შიგთავს გადავათვალირებთ, ტექსტური ფაილის შემთხვევაში ჩვენ ციფრების სკეტს დაინახავთ. ტიპიზირებული ფაილის შემთხვევაში კი ეკრანზე სიმბოლოთა ქაოსური ნაკრების ასახება. თუ ამასთან ერთად ჩვენ შევადარებთ ორივე ფაილის ზომას, აღმოვაჩინთ, რომ **table.txt** ფაილის სიგრძე 10000 ბაიტს შეადგენს, ხოლო **table.ext** ფაილის სიგრძე-25 000 ბაიტს. რატომ? **Extended** ტიპის ცვლადი 10 ბაიტს იკავებს, ამიტომ **Extended** ტიპის 1000 რიცხვის შემცველი ტიპიზირებული ფაილის ზომა 10 000 ბაიტი იქნება. მაგრამ, თუ **Extended** ტიპის ცვლადი ტექსტური სტრიქონის სახით ინახება, მაშინ ეს სტრიქონი 23 სიმბოლოსაგან იქნება შედგენილი, რადგან იგი შეიცავს ხარისხის „**E+nnn**“ ან „**E-nnn**“ მაჩვენებელს. თუკი ამას დაუმატებთ CR და LF მშართველ სიმბოლოებს, რომლითაც მთავრდება თითოეული სტრიქონი **Writeln** პროცედურის გამოძახებისას მივიღებთ 25 სიმბოლოს ტექსტურ ფაილში ჩაწერილი **Extended** ტიპის ყოველი მნიშვნელობისათვის. საბოლოო ჯამში 1000

როცვების წარმოსადგენად 25 000 ბათუ აღმოჩნდება საჭირო. ამ მიზეზის გამოცხადებით მონაცემების შესანახად უფრო ყაირათონა **file of Extended Characters** გამოყენება.

გარეგან ფაილებში შეტანისა და ამ ფაილებიდან გამოტანის ოპერაციათა უფრო ეფექტური შესრულებისათვის პასკალში არატიპიზირებული ფაილები იხმარება. მათთან მუშაობისას შესაძლებელია დაბალი დონის სწრაფი დისკურსი ოპერაციების გამოყენება. არატიპიზირებული ფაილი დისკოზე განლაგებული ნებისმიერი ტიპისა და სტრუქტურის ფაილში შეღწევის საშუალებას იძლევა. არატიპიზირებული ფაილური ცვლადის აღწერას შემდეგი სახე აქვს:

```
var untypfile: file;
```

ასეთი ფაილური ცვლადი გარეგან ფაილს ჩვეულებრივი გზით უკავშირდება. არატიპიზირებული ფაილებისათვის Reset და Rewrite პროცედურათა პარამეტრებს შორის, ფაილური ცვლადის გარდა არსებობს Word ტიპის მეორე არა-სავალდებულო პარამეტრიც:

Reset (untypfile, n);

Rewrite(untypfile, n);

დამატებითი ი პარამეტრი აღწერს ფაილში ინდიგიდუალური ჩანაწერის ზომას ბაიტობით. თუ ი პარამეტრი წარმოდგენილი არ არის, მაშინ მისი მნიშვნელობა თავისთავად იქნება მიჩნეული როგორც 128, მაგრამ მიზანშეწონილია ცხადი ფორმით 1 -ის ტოლი მნიშვნელობის მითითება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩანაწერის სიდიდედ ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის გამოცხადებისას ფაილში შესაძლებელია არასრული ჩანაწერების გაჩენაც. ეს კი ყოველთვის მოხერხებული როდესა.

ტურბო პასკალი არ ზღუდავს არატიპიზირებული ფაილის სიგრძეს. იგი უნდა იყოს დადებითი და მოიცავდეს არა უმეტეს 65535 ბაიტისა, მაგრამ მონაცემების გაცვლის მაქსიმალური სისწრაფის მისაღწევად საჭიროა მივცეთ ისეთი სიგრძე, რომელიც იქნება ინფორმაციის დისკმატარებლის ფიზიკური სექტორის სიგრძის ჯერადი (512 ბ) უფრო მეტიც, ფაქტოურად სიერცე. დასკზე ნებისმიერ ფაილს გამოყოფა ნაწილ-ნაწილ კლასტერები, რომლებმაც იმისდა მიხედვით რა ტიპის დისკია გამოყენებული, შეიძლება დაიკავონ 2 ან მეტი მეზობელი სექტორი. როგორც წესი კლასტერი შეიძლება წაჟითხულ ან ჩაწერილი იქნეს დისკის ერთი მობრუნებით, ამიტომ მონაცემთა გაცვლის მაქსიმალური სისწრაფე შეიძლება მივიღოთ მაშინ, როცა ჩანაწერის სიგრძე გაუტოლდება კლასტერის სიგრძეს.

ამოცანა : დავუშვათ, რომ FF-ეს გარეგანი ფაილია, რომელიც აღწერილია როგორც **file of Char**. დაწერეთ პროგრამა, რომელიც კითხულობს ფაილიდან მნიშვნელობებს და განსაზღვრავს, თუ რამდენჯერ გვხვდება თითოეული ანბანურ-ციფრული სიმბოლო **FF** ფაილში.

```
program count_symbols;
uses crt;
```

```

const
  file_name='text.txt';
var
  ch: char;
  ff: file of char;
  aa: array[ #32.. #255] of longint;
begin
for ch:= #32 to #255 do
  aa[ch]:=0;
assign(ff, file_name);
reset(ff);
while not eof(ff) do
begin
  read(ff,ch);
  if ch> #31 then inc(aa[ch]);
end;
close(ff);
clrscr;
for ch:= #32 to #255 do
writeln('ASCII ', ord(ch), ' occurs', aa[ch], ' times.');
writeln;
write('დაჭირეთ <enter>; ');
readln;
end.

```

არატიპიზირებულ ფაილებთან შეიძლება გამოყენებული იქნეს კველა ის პროცედურა და ფუნქცია, რომელიც მისაღებია ტიპიზირებულ ფაილებთან სამუშაოდ, გამონაკლის წარმოადგენს **Read** და **Write** პროცედურები, რომლებიც შეცვლილია შესაბამისად **BLOCKREAD** და **BLOCKWRITE** პროცედურებით.

SEEK, FILEPOS და FILESIZE პროცედურებით შეიძლება უზრუნველყოთ მიმართვა არატიპიზირებული ფაილის ნებისამიერ ჩანაწერზე.

Ether Djandjalia, Inga Kakhiani Resume

The article deals with working on the files in turbo pascal.

The file itself means the area of personal computer or the potential source of information. Any file has got three main features:

- 1) name, which enables the program to work with several files simultaneously.
- 2) it consists of the components of one type. The components may be any type of turbo pascal except the file.

3) The length of recreated file isn't given and the limit is reached only with the size of outer memory.

There're three main groups of files in turbo pascal:

- 1) text files
- 2) typified files
- 3) untypified files

Text files are used to store the text information. Only these types of files keep the initial texts of the programs. The components of text files may have the changeable length which plays a great role while working on them.

The length of any component of typified file is strictly permanent. It makes possible to reach the components according to their turn.

The announcement of the untypified files is the same as the file type changes. The only difference is that the component type isn't mentioned. The fact that the file doesn't have a type makes it possible to combine it with the other files on the one hand and on the other – it enables to organize the high speed of changing information between the disc and memory.

Besides the types of the files the article also deals with the working procedures and functions, and the various types of standard procedures and functions. The author discusses several programs to demonstrate working with the files of various types.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) "Информатика" - Базовый курс под редакцией С.В. симоновича
- 2) Нумиогин С. А. - "Tyrbo Pascal" изд. "Питер" – 2002 г

ინფორმატიკის და გამოთვლითი
ტექნიკის კათედრა

მარა თქმისას ასული კოცხაგა

უიტორდაპტოგენების როლი გულის დაავადებათა

პრეცენციასა და გაურნალობები

კარდიოლოგია

თემის მიზანია შეისწავლოს ფიტოადაპტოგენების როლი კარდიოლოგიურ დაავადებათა პრევესტციასა და მკურნალობაში. წარმოდგენილი ნაშრომის ამოცანებია - განსაზღვროს თითოეული ფიტოადაპტოგენით ცალკეული ნოზოლოგიების მკურნალობის შესაძლებლობები და დაადგინოს მათი გამოყენების პრაქტიკული ასპექტები.

მედიცინა უძველესი დროიდან იცნობს მცენარეებს, რომელთაც ზოგადგამამაგრებელი თვისებები აქვთ. ფიტოპრეპარატებს, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს გარემოს მავნე ფაქტორების მიმართ ადაპტაციაში, ფიტოადაპტოგენები ეწოდებათ. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მეცნიერთა ინტერესი იმ მცენარეთა მიმართ, რომლებიც ორგანიზმს ეხმარებიან თვითრევულაციაში, ენერგიის აღდგენასა და საიცოცხლო აქტიობის მატებაში.

ფიტოადაპტოგენებით მკურნალობის შედეგებია:

♦ ადამიანი გრძნობს ენერგიის მოზღვავებას მთელი დღის განმავლობაში.

♦ მიღებული სტრესისადმი ნაკლებადმგრძნობიარე ხდება

♦ აქვს გაზრდილი ამტანობა

♦ გონებრივი შესაძლებლობები იმატებს.

♦ ხდება ძილის მოწესრიგება.

ფიტოადაპტოგენების თვისებების კლინიკურ-ექსპერიმენტულ კვლევაში მნიშვნელოვანი წელი მიუძღვის ამერიკულ მეცნიერს მაკლ უოლსტრომს. ცნობილია მისი ხატოვანი გამონათქეამი: „ადაპტოგენები ბუნების გასაღებია კარგად ყოფინისათვის“ (Nature's key to well being). ეს პრეპარატები, უოლსტრომის აზრით, ახდენენ ორგანიზმის ფუნქციათა ნორმალიზებას, ეხმარებიან მას მყარი შინაგან გარემოს-ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში.

ადაპტოგენებს ახასიათებთ შემდეგი საერთო თვისებები: ორგანიზმზე ძლიერი ზოგადმასტიმულირებელი მოქმედება, ტონუსის

მატება, შორისისუნარიანობისა და იმუნიტეტის ზოგადი
ანტიოქსიდანტერი და თავისუფალი რადიკალური
გამანერიტრალებელი მოქმედება და ბოლოს, გარემოს შავებ
ზეგავლენისაგან (მათ შორის მძიმე მეტალებისაგან) დაცვა ანუ,
ადაპტოგენები ახდენენ ორგანიზმის სარეზერაო ძალების
მობილიზებას, განსაჯუთობით კი არახელსაყრელ და სტრესულ
პირობებში. ამასთან, სხვა კლასიკური ფიქომოტორული
სტიმულატორებისაგან განსხვავებით (ორგორიცაა, მაგალითად ყავა).
დოზის გადაჭარბების დროსაც კი ადაპტოგენები არ იწვევენ
ორგანიზმის გამოფიტვას.

ადაპტოგენები გადაღლილობის იმ ფერმენტული სისტემების
დაქვეითების დროს, რომლებიც ატფ-ის ცვლაში ღებულობენ
მოხაწილეობას, ააქტიურებენ გლუკოზის ათვისებას.

დადგენილია, რომ სტრესის დროს სისხლში მატულობს
ბეტლიოპროტეინების დონე, რაც იწვევს ჰექმოგინაზის დაბლოკას.
ეს უკანასკნელი კომპონენტი კი მნიშვნელოვანი გამშვები რეოლია
გლუკოზის ფოსფოლირების პროცესში, როდესაც ხდება გლუკოზის
გარღავა: მნა ჯერ გლუკოზა-6 ფოსფატად, ხოლო შემდეგ აცეტილ
კაბზიმ A-ს და კრების ციკლის მეშვეობით - ატფ-ად.
ადაპტოგენები კი, სტრესის პირობებში წარმოქმნილ ჭარბ ბეტა-
ლიპოპროტეინების რაოდენობის დაქვეითებას იწვევენ და ამით
გლუკოზის ფოსფოლირების პროცესი შეუფერხებლად
მიმდინარეობს, ხდება ატფ-ის მოჭარბება ორგანიზმი. ამასთან
ადამიანები გრძნობენ ენერგიის მოზღვაუებას, იზრდება სტრესისადმი
წინააღმდეგობის უნარი.

ადაპტოგენების მოქმედებით აქტიურდება ნახშირწყლოვანი
ცვლა უჯრედულ მემბრანაში. ისხსნება მემბრანული ეწ.
„ნახშირწყლოვანი ფანჯრები“. გარდა ამისა, სარეზერვო
სასიცოცხლო ძალების მობილიზებას ადაპტოგენები აღწევენ
იმითაც, რომ ზრდიან კუნთოვანი უჯრედების მგრძელებიარობას
საკუთარი ინსულინისადმი. ინსულინი კი თავის მხრივ უფრო
აქტიურად იწყებს ცილების, ნახშირწყლების, მინერალური
ნიერიერებების გადატანას უჯრედულ მემბრანაში.

ადაპტოგენები ზრდიან ორგანიზმის მგრძნობელობას საკუთარი
პორმონებისა და არაპორმონალური ნაერთების მიმართ, რის
შედეგად ხდება ცილის სინთეზის გააქტიურება. ადაპტოგენებს
გააჩნიათ ანაბოლური სტეროიდების მსგავსი მოქმედება ცილის
სინთეზშე. ამასთან ანაბოლური სტეროიდებს აქვთ ისეთი
არასასურეელი გენერაციო ეფექტები, როგორიცაა: ღვიძლის
დაავადებების გამწვავება, თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის
დარღვევა, სისხლში ქოლესტერინის მომატება, შეშუპეპები. რაც
შეეხება ადაპტოგენებს, ისინი იწვევენ ცილის სინთეზის ზრდას,
მართალია ნაკლები ხარისხით, ვიდრე ანაბოლური სტეროიდები,

მაგრამ სამაგიეროდ, მათ არ აღენიშნებათ არავითარი გვერდითი ეფექტები.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი თვისებების გამო ფიტოდაპტოგენები გამოიყენებიან მრავალი ნოზოლოგის, მათ შორის კარდიოლოგიური დაავადებების სამჯურნალოდ.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, უცვე დღეს, ყველაზე პრობლემურდაავადებათა ჭატებორიას მიეკუთვნებიან საქართველოში. მათი წილი სიკვდილიანობის სტრუქტურაში (საერთო სიკვდილობის 53%), მნიშვნელოვნად აღმატება ყველა სხვა დანარჩენი დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობის მაჩვენებელს, ხოლო მომავალში კი, როგორც პარვარდის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილების ანალიზმა უჩენა, მოსალოდნელია გულ-სისხლძარღვთა აეადობით გამოწვეული სიკვდილიანობის მატება 2020 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) - 16%-ით. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების თავიდან ასაცილებლები ეწ. პრევენციული ლონისძიებების გატარება მოსახლეობის ფართო ფენებისათვის და მათ წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა.

გულ-სისხლძარღვთა რიგ დაავადებებს, რომელთა წილი სიკვდილიანობის გამოწვევაში მაღალია, გააჩნიათ საერთო რისკ-ფაქტორები. ეს დაავადებებია: ესენციური არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, გულის ქრონიკული უქმარისობა. ამ ნოზოლოგიების პრევენცია გულისხმობს მოდიფიცირებად (ანუ ცვლად) და არამოდიფიცირებად რისკ-ფაქტორების შემცირებას. თანამედროვე მედიცინის ყურადღება მიპყრობილია სწორედ მოდიფიცირებად რისკ-ფაქტორების თავიდან აცილებაზე. კინაიდან არამოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორები, როგორიცაა: ასაკი, სქესი, ოჯახი (ანუ გმირებიკა), ზეგალენას არ აქვთმდებარება. ხოლო მოდიფიცირებადი რისკფაქტორების შემცირება ზოგადად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ნიშანებს.

განვიხილოთ მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორები და ფიტოდაპტოგენების გამოყენების შესაძლებლობები მათ თავიდან ასაცილებლად.

1. უარყოფითი ფსიქომოციური და ფსიქოსოციალური სტრესული სიტუაციები წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორებს. მათი მოქმედება შეიძლება შემცირდეს ფიტოდაპტოგენების - როდასკონისა და ტრიოსონის მიღების შედეგად.

როდასკონი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ახდენს მსუბუქ დამამშვიდებელ მოქმედებას, ხელს უწყობს ნეირომედიატორული პროცესების ნორმალიზებას, აუმჯջობესებს ორგანიზმის ადაპტაციურ რეაქციებს, რაც ჯამში, შეადგენს პრეპარატის სტრესპროტექტორულ თვისებებს. რაც შეეხება

თრიოსეონს, იგი შედგება სამი მცენარეული კომპოზიტისაგან კრაზანის, ქუნელისა და სეის გირჩებისაგან. კრაზანას ახასიათული გამოხატული ანტიდეპრესანტული მოქმედება, ქუნელი დამამშევდებელ თვისებებთან ერთად სხინს მსუბუქ ქოშინს, თავისრუსებებას, აწესრიგებს ძილს, ხოლო სეის გირჩებს კი აქვთ გამოხატული სედაციური უფასტი. სამიერე კომპონენტი ჯამში იძლევა მაღალ უფასტურობას, რაც გამოწვეულია მათი სინერგიისტული მოქმედებით.

2. გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა მეორე და მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ სიმსუნე და ჭარბწონიანობა. ამასთან კარდიოლოგიურ ავადმყოფებში წინის შემცირების რეალური მიზანია 5-10 კგ-ის დაკლება 3-6 თვეში. ოპტიმალურ წონის (კეტლეს ინდექსი ≤ 25 -ზე), მიღწევამდე და მნიშვნელოვან სხეულის მასის ნორმალიზებისათვის გარდა სპეციალურად შერჩეული დიეტისა, ავადმყოფს ეხმარება ფიტოპრეპარატ სკლატის გამოყენება, რომლის შემადგენლობაში არსებული ამინომჟავა ფენილალანინი თრგუნავს მაღის ცენტრს. გარდა ამისა, პრეპარატს გააჩნია ქუჭის ლორწოვანის შემომგარსეველი თვისება, რაც ასევე სიმჟავიანობის დაქვეითების გზით ამცირებს საკუთხე მოთხოვნილებას.

3. ცნობილია, რომ ზომიერი ფიზიკური აქტივობა ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა სიხშირეს. აქაც ფიტოადაპტოგენები გვევლინებიან მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებებად. კერძოდ, როდესაც ჩინერი ლიმონშერა და შენშენი კუნთოვანი მუშაობის დროს გამოყოფილ ქანგვის შუალედური პროდუქტების რძემჟავისა და პიროვურძნის მჟავის სრულ დაუანგვას უწყობენ ხელს, ხსნიან ე.წ. „დაღლილობის ტოქსინებს“ და ხალის მატებენ მიუჩევეველ ადამიანს ფიზიკური გარჯიშის რეგულარული შესრულებისათვის. ცნობილია, რომ ზომიერი ფიზიკური აქტივობა ამცირებს გულის იშემიური დაავადებით გამოწვეულ ავადობას. მათთვის, ვინც ფიზიკურად არააქტიურები არიან ან რეგულარულად აქტიურები არ არიან, რეკომენდირებულია 30 წთის განმავლობაში ზომიერი ფიზიკური დატვირთვა ყველდღე. სწორედ ამ კატეგორიის ავადმყოფებშია სასარგებლო ფიტოადაპტოგენების გამოყენება, ხოლო მათთვის ვინც ფიზიკურად აქტიური არიან, რეკომენდირებულია ინტენსიური ვარჯიში 20-30 წთ-ის განმავლობაში კეირაში არანაკლებ სამი დღისა.

4. გულ სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ალკოჰოლის ჭარბი მიღება და თამბაქოს მოწევა. თამბაქოს მოხმარების მავნებლობის შესახებ აუცილებელია ყველა ავადმყოფს მიეცეს განმეორებითი, მოკლე განმარტებითი რჩევები, ხოლო რიგ მათგანს, ვისაც

დამოუკიდებლად არ ძალუქს თამბაქოს მიტოვება, აუცილებელი და აუცილებელი ნიკოტინჩანაცვლებით თერაპია. რაც შემახუა ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შეზღუდვას, აქაც აქტიურობა დამხმარე საშუალებას გვთავაზობს ბუნება - ვაზის მზევნისაგან მიღებული პრეპარატ ალკონოლის სახით. ალკონოლს გააჩნია ჰემატოპროტექტორული თვისებები, ამცირებს ალკოჰოლზე მოთხოვნილებას და მასზე ფიზიკურ დამოკიდებულებას, ხსნის ნაბახუსევის სინდრომს. პრეპარატი იცავს ლიმფის თამბაქოსა და კვებითი ტოქსინებისაგან, ახდენს ცხიმების უტილიზაციას, უვნებელყოფს თავისუფალ რადიკალებსა და ზეჟანგებს.

გარდა ზემოაღნიშნული რისკ-ფაქტორებისა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიადური ცვლის მოწესრიგებას, კურძოდ საერთო ქოლესტერინისა და დაბალი სიმკეროვის ქოლესტერინის დონის დაქვემდებას. ფიტოადაპტოგენებს, კურძოდ ლამინარისა და სკლატს შესწევთ უნარი დააქვემდონ სასხლში საერთო ქოლესტერინის დონე რეგულარული მოხმარებისას და შეაფერხონ ათეროსკლეროზის განვითარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პრეპარატ სელენტინის დადგებითი გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე იგი შეიცავს კვებით ანტიქსიდანტებს C ვიტამინს, ალფა-ტოკოფეროლს, ვიტამინ E-ს, მიკროელემენტ სელენს. გარდა ამისა, მის შემადგენლობაში არსებული ჰეტეროციკლური სელენოპირინიც წარმოადგენს აქტიურ ანტიქსიდანტს. ყველა ეს კომპონენტი ჯამში დადგებით გავლენას ახდენს ლიადურ ცვლაზე რესეტის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტში შესწავლილ იქნა ლიადური ცვლის მაჩვენებლების დინამიკა სელენტინით 6 თვეანი მკურნალობის კურსის შედეგად გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტთა (n=67) ჯგუფში. ანალიზმა აჩვენა, რომ საერთო ქოლესტერინი მკურნალობის ბოლოს შემცირდა 14%-ით, ხოლო დაბალი სიმკეროვის ქოლესტერინი კი 17%-ით საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

გარდა იმისა, რომ ბეტა-კარონგინთან კომბინაციაში სელენი აუმჯობესებს ცხიმების ცვლას, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰიპერტონიის პრევენციაში, გააჩნია ანტიაგრეგანტური მოქმედება, რითაც გულის შეტევების საშიშროების აცილებას იწვევს. სელენი მონაწილეობას ღებულობს კოფერმენტ Q-10-ის სინთეზში. Q-10-ს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიოკარდიუმის მეტაბოლიზმის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით კი ინფარქტის შემდგომ აღდგენით პროცესებში. იგი აუმჯობესებს მიტოქონდროიების ფუნქციონირებას მიოკარდიოციტებში, იცავს რა მათ უანგბადოვანი შიმშილისაგან. სელენის ალიმენტარული მნიშვნელოვანი დეფიციტი იწვევს

კარდიომიოპათიის განვითარებას (ეწ. „კაეშანის“ კარდიომიოპათიის რისკ-ფაქტორია კორონარული დავადებისა და მიოკარდიუმიცა ინფარქტის.

ამას გარდა, სელენი, როგორც აქტიური ანტიოქსიდანტი, დიდ როლს თამაშობს კარდიოლოგიურ დავადებათა პრევენციაში. ასე მაგალითად, დანიელი მეცნიერების მონაცემებით, იმ პირებში, რომელებსაც აღენიშნებათ სელენის დეფიციტი, 70%-ით მაღალია კორონარული დავადების რისკი იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც პლაზმაში სელენს კონცენტრაციის ნორმალური დონე აღენიშნებათ.

მრავალი პოპულაციური კვლევებით დამტკიცებულია, რომ სელენი დამცავი მიკროელემნტია, რომელიც აფერზებს გულისა და სისხლძარღვების დასადების განვითარებას. კლინიკური გამოკვლეულებით გამოვლინდა აგრეთვე, რომ სელენი მნიშვნელოვანი დანამატია არითმიების სამჯურნალოდ, ამავე დროს იგი იცავს ორგანიზმს უეცარი სიკვდილისა და გულის უქმარისობისაგან. სელენი იცავს გულს არამარტო მის როლით გლუტატიან-პეროქსიდაზმის გამომუშავებაში, რომელიც უწყობს ანტიოქსიდანტური აქტიობის შესარჩუნებას, არამედ პლაზმაში ისეთი მავნე მეტალების დონის დაჭვებით გამოვლინდა ტყვია, ყადმიუმი, ვერცხლისწყლი. ამ მეტალებს კი გულის მნიშვნელოვანი დაზიანება შეუძლიათ. და ბოლოს, სელენი იცავს გულს ჟანგბადოვანი შმშილის, ისეთი პრეპარატების ტოქსიური ზეგავლენისაგან, როგორიცაა ადრიამიცინი და მისი მსგავსი, კაეშანის დავადებისაგან.

ცნობილია, რომ გულ-სისხლძარღვთა დავადებების ისეთი საშიში გართულებები, როგორიცაა იშემიური ინსულტი და მიოკარდიუმის ინფარქტი ვითარდება ათეროსკლეროზულად შევიწროებული სისხლძარღვის სანათურის თრომბული მასით დაცობის შედეგად. ამიტომ, ამ გართულებების თავიდან ასაცილებლად მეტად აქტუალურია ანტიაგრეგანტებითა და ანტიკორაცელულანტებით მკურნალობა. მაგრამ ზოგჯერ არსებობს რიგი თანმხლები დავადებებისა, რომელთა დროს ამ საშუალებების მიღება შეზღუდული ან მკაცრად უკუნაჩვენებიც კი არის. ეს დაავადებებია: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ან ეროზია, ჰემორაგიული გასტრიტი, ქრონიკული გასტრიტის გამწვავება და სხვა. სწორედ ასეთ რთულ სიტუაციებში დამხმარე საშუალებებად ისევ გვევლინებიან ფიტოადაპტოგენები. კერძოდ, ლამინარიას გააჩნია ჰეპარინის მსგავსი ანტიკორაცელული თვისებები, მხოლოდ მისი მოქმედება ორჯერ უფრო რბილია ჰეპარინთან შედარებით. გარდა ამისა, თეთრი ტირიფის ქერქისაგან დამზადებული პრეპარატი ჰერბასპირინი აქტიური ანტიაგრეგანტული თვისებებით ხასიათდება. ასეთივე ანტიაგრეგანტულ მოქმედებას

ავლენს სელენგრინიც. ამასთან ზემოთ ჩამოთვლილ არც ფიტოდაპტოგენებს არ ახასიათებს გასტროინტენსიურ ტრაქტზე უარყოფითი ზეგავლენა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ფიტოდაპტოგენები ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ გულსისხლძარღვთა დაავადებათა პრევენციისათვის სხვადასხვა მოღიფიცირებად რისკ-ფაქტორებზე გამოხატული დადგებითი ზეგავლენის გამო.

2. ფიტოდაპტოგენები (ლამინარია, სკლატი, სელენტინი, პერპასაირინი), მათი გამოხატული ანტიოქსიდანტური, ლიაპიდური ცვლის გამაუმჯობესებელი და ანტიაგრეგანტული თვისებების გამო დამხმარე საშუალებებად შეიძლება იქნენ გამოყენებული გულსისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადებების მკურნალობაში.

Роль фитоадаптогенов в превенции и лечении сердечнососудистых заболеваний.

Майя Тенгизовна Костава

Кардиология

Резюме

Фитоадаптогены повышая естественную устойчивость организма, оптимизируют процессы адаптации к перегрузкам, к неблагоприятным воздействиям окружающей среды. Эти препараты всё более широко применяются в разных областях медицины, в том числе и кардиологии.

Развитию сердечно-сосудистых заболеваний способствуют ряд риск-факторов, для снижения которых можно с успехом применять фитоадаптогены. Например, для уменьшения физикоэмоциональных и физикоциональных стрессовых ситуаций благоприятное влияние оказывают препараты Родаскон и Триосон. Для урегулирования веса, кроме специально подобранной диеты, показано применение Сплата, в составе которого входящая аминокислота фенилаланил непосредственно угнетает активность центра аппетита. Обладая обволакивающим действием на слизистую желудка, препарат путём снижения кислотности уменьшает потребность к пище.

Гиподинамия является одним из важных факторов риска. Фитопрепараты Родаскон, Лимонник китайский и Женщень снижают уровень появившихся в крови во время нагрузки молочной и пировиноградной кислот, уменьшая эти "токсины усталости", облегчают пациентам выполнение физических упражнений.

Развитию сердечно-сосудистых заболеваний способствует частый приём алкоголя. Фитопрепарат Алконоль уменьшает потребность алкоголя, снимает "похмельный" синдром, обладает выраженным гепатопротекторным свойством.

Особое внимание следует уделить препаратуре Селентину. Он снижает как общий, так и холестерин низкой плотности, обладает антиаритмическим действием. Селен участвует в синтезе кофермента Q-10, который улучшает метаболизм в миокарде. Значительный алиментарный дефицит селена вызывает кардиомиопатию Кетана. Селен защищает миокард от вредного воздействия тяжёлых металлов, кардиотоксического химиопрепарата Адриамицина и др.

Таким образом, фитоадаптогены с успехом можно применять для превенции и
лечения сердечно-сосудистых заболеваний.



საქართველოს
მინისტრი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქონსტანტინე ლიდუაშვილი - "გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ტეირიკი და ქონტროლის სტრაგედია"- თბილისი, 2003 წელი.
2. ქახა ნადარია - "გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ქცევითი რისკ-ფაქტორების მოდიფიცირების სამეცნიერო საფუძვლები". თბილისი, 2003 წელი.
3. AO Georgian PHARMACEUTICAL GROUP. "Жизненная сила7 устойчивый иммунитет" Брошюра Тбилиси. 2003 г.
4. Г. И. Бырячев Ю.В. Кравченко - "Теория и практика применения сelenосодержащего препарата "Селенес" г. Пенза 2002 г. монография.

თერაპიის კათედრა



პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ა

აკადემიკოსი თენაზი სანაძე და
აკადემიკოსი ნევრ-პორჩაროვანიშვილი გივი ხელივალი

კვანტური რაზიონიზიას ქართული სერიას სამავალათან

2005 წლის იანვარში 75 წელი შეუსრულდა აკადემიკოს თენგიზ სანაძეს. ამასთან დაკავშირდით 2004 წლის 15 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოს აკადემიკოს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს, კვანტური რადიოფიზიკის ცნობილ ქართველ ფიზიკოს-ექსპერიმენტატორ ბატონ თენგიზ სანაძეს შეხვედრა ჰქონდა ქუთაისის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან-პროფესორებით თორნიკე ეფრემიძე (თ. ე.), არჩილ უგულავა (ა. უ.), და უფროისი მასწავლებელი მევლუდ ვერულაშვილი (მ. ვ.). საუბარი ეხებოდა საქართველოში ექსპერიმენტული კვანტური რადიო ფიზიკის ჩამოყალიბების და მყარი სხეულების ფიზიკის დარღვევის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიზიკოს-თეორეტიკოსის პროფესორ გივი ხუციშვილის დამსახურებას.

ქვემოთ გაქვეყნებთ თ. სანაძის საუბრის ჩანაწერებს, რომელიც შესრულებულია უფრომასწ. მ. ვერულაშვილის და რედაქტირებულია პროფ. თ. ეფრემიძის მიერ.

-თ. ე.- ბატონი თენგიზ როდის და რა პირობებში შეხვდით პროფ. გ. ხუციშვილს.

-თ. ს.- გივი ხუციშვილი გავიცანი როცა აბიტურიენტი ვიყავი. ეს იყო 1948წ. უნდა ჩაგვებარებინა მათემატიკა-წერა და ზეპირი, ფიზიკა-წერა და ზეპირი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბევრი ჩატურა და ფიზიკა მარტო ზეპირი ჩატარდა. მაგრამ, ფიზიკის წერისათვის ვერზეადებოდით და გივი გვიტარებდა კონსულტაციებს ამოცანების ამოხსნაში. მე, 400-მდე ამოცანა მქონდა ამოხსნილი სახარისეს წიგნიდან. ერთ ამოცანაზე გივიმ თქვა, რომ თქვენი ფორმულების ცოდნა საქმარისი არ არისო, ის კლაპერიონის განტოლებით უნდა ამოხსნასოსკოლაში ამას არ ასწავლიანო. მე შევხედე ამოცანას და კი იხსნებოდა ჩევნი ფორმულებით. გაწერდი, არაფერი ვთქვი არ ვაწყინინ მეთქი. რომ დამთავრდა კონსულტაცია, გულმა მაინც არ მომითმინა და მივედი მასთან; ცალკე ვუთხარი-ასე თუ იხსნება-თქო და ა, რეაქცია იყო საოცარი: „გაწერდით! მე რომ ვითხარით არ იხსნება, კი იხსნება თურმეო“. განა ეწყინა? მომენტალური, ვაჟუცური რეაქცია ჰქონდა. მერე გამოცდაზე ულაპარალოდ ხუთიანი დამწერა.

მანამდე მოხდა საინტერესო რამ: 1945 წელია, მოგებესნებათ ატომურ ბომბა
აკეთებს საბჭოთა კავშირი. დიდი ფიზიკოსი იყო ლანდაუ და მასთან მოუკრიცხა
იყო ძალიან, ძალიან რთული, რაღაც იძლეოდა საცდელ მათემატიკურ ამოცა-
ნებს; თუ ვერ ამოხსნიდი ლაპარაკიც არ უნდოდა შენთან, ხოლო თუ ამოხსნიდი
რთულ ამოცანებს, მერე მივიღებდა მოწაფეების წრეში. პოდა, 1948 წელს ლან-
დაუ გამოპარულა ვიდაც ქალთან ერთად. გამოვეცა დაცვას და ექცევნ. ჩამოვიდა
აქ, მამასახლის სოფთან, რომელიც იყო ერთ-ერთი პირველი ფიზიკოსი ჩვენი და
მასთან მისულა და სანამ აქ იყო, ვივიძ გაიგო, მივიდა და უთხრა: „თქვენთან
მინდაო! ლანდაუმ მისცა ამოცანები. დაჯდა გვივი იქვე გვერდზე. ამოქსნა და
მისცა. გივი ლანდაუსთან იყო 3 წელი, ჩვენ სტუდენტებმა ის მე-3 კურსზე
ვნახეთ და კოსმოსური სხივების ფიზიკა წაგვიკითხა, ნეიტრონების ფიზიკა. ძირი-
თადი საგნუბი მან წაგვიკითხა.

-თ.ქ. მისი საკანონდატო დისერტაცია გამოვლენიშულია საქ. მ/ა ფიზიკის
და გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომებში 1946 წელს და სტატიის ბოლოს წერს,
რომ დისერტაცია შესრულდა ლანდაუს ხელმძღვანელობით, ე. ი. ის ლანდაუსთან
1948 წლამდე ყოფილა დაყავითი მიზანი.

-თს.-შეიძლება, მაგრამ ფაქტის ვაგან მამასახლისოვის მონაყოლი. ვივი
ითვლება ლანდაუს სკოლის ერთ- ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

-7. ე- უნდა ვიკარაულოთ, რომ „ინკუვნიტოდ“ ლ. ლანდაუს თბილისში ჩამოსვლა და გივი ხუციშვილის მასთან დამოწაფება, რომელსაც აღწერს გველე-სიანი წიგნში „გავან მამასახლისმოვ“, მოხდა 1943 წელს.

-თ. ს.-შეიძლება ეს ფაქტი, რომელსაც მე ვუვები მოხდა არა 1948, არამედ 1948 წ-ზე ადრე. ეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა. ჩვენ სრულიად ახალი წიგნიდან გვიკითხავდა, ჩანდრასევარის, ოპერატორის, ტრომსონის და სხვების ნაშრომებს გვიკითხავდა, რაც ტორის ფიზიკაც მან წავიკითხა.

Եմիրաճ Արամյանը զգովազգաց մը ծայրօննա. յրտելը բաղաւ սայութն
Իմունից գովազգաց ապահով է առաջարկը ամոնինա, մորոյ գլուխ «Rhys
Rev» մոմութինա.

რომ დაგამთავრე, ჩავაბარე ასპირანტურაში. მანამ, პროფესორ ელეფთერი ანდრონიკაშვილთან მომიერდა კონფლიქტი კოსმოსური სხივების ექსპედიციაში. ორჯერ ვიყავი დალბუზზე უბრალო ცხოვრებისულ საკითხებზე. შემდეგ როცა ჩამრიცხეს ასპირანტურაში, ბატონი ელეფთერიც იქ იჯდა და 5 მივიღე. გხედავ, ანდრონიკაშვილი არ მიწერია ხელმძღვანელად?! არ მესამოვნა რაღაც ის იყო დესპოტური ბუნების, მკაცრი, მე კი თავისუფლების მოყვარე ვიყავი, ამიტომ გი-გა მირიანაშვილს ვთხოვე შენ იყავი ჩემი ხელმძღვანელი-თქ. იგი დამეთახმა . გადავწერე ისე, რომ ვერავინ ვერ გაიგო და გიგა გახდა ჩემი ხელმძღვანელი. ისედაც მისი კათედრის-ბირთვული ფიზიკის სპეციალობით მქონდა დამთავ-რებულო უნივერსიტეტი.

მოსკოვში მიღლინების დროს რამდენიმე სარკუმენდაცია წერილი მქონდა: კალაბუხოვის, ვაგანის, გივიც შეკვადა, რომ ოფიზიურ პრობლემებში" აღვესვე-

სკისთან მოვეწუვე, მაგრამ ალექსეევსკის მოუვიდა მარცხი გარსიმაშიღლოთან და გამოუშვა ასპირანტურიდან, ამიტომ ეს კონტაქტი არ შედგა. მერე პრობერეტონი მიეღიდა გივი, დაულაპარაკა და თვითონ უთხრა თანხმობა. ლექტედევის სახელმობის „ФИАН“ დირექტორმა ცუდად მიგვიღო. 1954 წელია და სიტუაცია შეიცალა; აյ რას ჩამოდითხართო და სხვა. გივიმ გვიშველა, რომ არ გამოვევდეთ. პრობოროვმა მიმიღო 6 თვით, რომ „ეპრძ ტექნიკა ამეთვისებინა. რომ კუთხარი ცოტა ხნით მინდა დარჩენა-თქო, მან განმიცხადა: მე თავად „ეპრძ არ მანტერესებს; მყავსო ასპირანტი ყაზანიდან, რომელმაც ტექნიკა უნდა აითვისოს 888-ზე, თუ რაღაცა და შენც სანტიმეტრული აითვისე სხვა ასპირანტთან ერთადო. კამათოც არ დავუწყევ.“

ბასოვთან მოვტევდო პირველ კვირას, არ იყო ჩამოსული მალინკოვი და ბასოვმა ფაქტიურად ჩემს თვალწინ დაიწყო ეს კვანტური ელექტრონიკა. ორი მოხსენება გააკეთა, ერთი ფიან"-ში, ერთი კაპიცასთან - „ფიზ. პრობლემებში“, ორივე მოხსენებას ვესწრებოდი მე.

სანტიმეტრებითა, რომ ახალი იდეა არ დევს კვანტურ ელექტრონიკაში, ლაზურებში; რაც ანტიაინმა დაწერა საუკუნის დასაწყისში, ის დევს საფუძვლად. იქ ოპტიკოსებს არ ჰქონდათ მაგისი მიღდომის სტილი. მაგათა წყარო იყო ხმაურის ფონი: რადიო-ფრიზერისებმა გაკეთეს ეს და მიგიღნენ თანამდებობაზონამდე, და აი, როცა აკეთებდნენ სანტიმეტრულ დიაპაზონს, ჩემს თვალწინ მოხდა კველაფერი.

პრობოროვმა მომცა ბლინის სტატია: „ყველა უარს ამბობს ამის გარჩევაზე და გაარჩევო? ვუთხარი კი-თქო. დავიწყე თარგმნა, ინგლისური მიჭირდა. მალინკოვს შეეჩივლე, და მომცა თარგმნილი და დაუმატა: მთავარი ისაა, ვერ გაიგებ ვერაფერს“. ერთი ორი საკითხი რომ ვერ გავიგე, მათესთან გავიქცი: მაშინ იყი მოსკოვის უნივერსიტეტში სადოქტოროზე მუშაობდა. გივი არ იყო იქ და ორ სემინარზე მოვყენი. გადაირია პრობოროვი. გივიმ მითხრა: პრობოროვმა აღიარა, კანდიდატი ხარ უცველ.

ეს დანადგარი, რომელიც აწყობილი ჰქონდა მალინკოვს, ჭირდებოდა კრიოგენულ სისტემებში. მას პრობოროვი მოელაპარაკა, რომ ჩემთვის გადმოეცა ეს დანადგარი და იქ „ფიზ. პრობლემებში“ გამეგრძელებინა მუშაობა, რადგან ჰელიუმი იყო ამისთვის საჭირო. გაიგო ეს ანდრონიკაშვილმა. მოწერილი მქონდა წერილი, რომ ვაკეთებ დანადგარს, მომაქს და დაბალი ტემპერატურის ლაბორატორიაში უნდა გაფაგრძელო მუშაობა-თქო. თავად მივწერ შერიგების წერილი. მან თანხმობის წერილი გამომიგზავნა, მაგრამ ელეფთერმა იქ დარჩენის ნება არ დამრთო. ტელეფონით მესაუბრა ამ თემაზე და მითხრა: „თუ ახლა მანდ გააგრძელებ მუშაობას, თბილისში საერთოდ ვერ ჩამოხვალო“. პრობოროვს გადავიცი მისი სიტყვები და ისიც ისეთი გაგებული კაცი იყო, კველაფერს მისვდა. ფაქტიურად მოსკოვში 6 თვე ვიყავი, მარტიდან აგვისტომდე. სექტემბერში უკვე თბილისში ვიყავი. დანადგარის იქ გაკეთებული მთავარი დეტალები და კვანძები პრობოროვ-

მა მაჩუქა, დაბალი ტემპერატურების შესაბამისი დანადგარი უნდა გამოკვლეულია /
აქ და გავაკვთე ქიდევ:

როცა მივაგნით ექსპერიმენტით რადიო იმპულსურ მეთოდებს, ჰქონდა
როლი შეასრულა ვივიძ. სემინარი ჩამოგაყალიბეთ კვანტურ რადიო-ფიზიკაში,
რომელსაც ვივიძს სემინარს ვეძახდით. ადრე იყო ელეფთერის სემინარი. მასსოვან,
პირველი კითხვა-უარყოფითი ტემპერატურა რა არისო, რაც სათავეა მთელი ამ
კვანტური ელექტრონიდის.

რა არის ესო და მოვუყევი სემინარზე, რომ ეს არის დასახლებათა ინვერსია სწრაფი მავნიტური ველის მოვლენებში-თქმ. პერსელის და პაუნდის ცდა იყო 1951 წელს შესრულებული და ა. 1954 წელს მომაყოლეს. ეს რა ყოფილაო, ყველას უკერძა. აბსოლუტური ტემპერატურა არ შეიძლება უარყოფითი იყოს იმიტომ, რომ მასა არ არის უარყოფითი და სიჩქარე წარმოსახეობი და ამიტომ რანაირად გამოვა უარყოფითი. პოდა, ამ დროს თურმე სპინ-სისტემას გააჩნია უარყოფითი ტემპერატურა და წონასწორობაში მოდის მასთან, ნულიც ხდება და თურმე უარყოფითსაც ღებულობს, თუ უნდა. სხვათა შორისეს საკითხი მიყერს და მისი ექსპერიმენტულად მიღება პერსელის და პაუნდის მიერ 1951 წელს განხორციელდა.

60-იანი წლებისა და ახალი აღმოჩენილია ბირთვული მაგნიტური რეზონანსი. პირველად პაუნდს შევხვდი 1961 წელს. ინგლისში მოხსენება გააკეთა და როცა ბაღში გსეირნობდით დაველაპარაკე. ვუთხარი, რომ სტუდენტებს ვუკითხავ შენს ლამაზ ცდას და ისიც დავუმატე: ერთი ფრაზა, რომ დაგემატებინათ სტატიის ბოლოში, რომ ჩვენ მივიღეთ პირველი კვანტური გამაძლიერებელი", გვარიანი იქნებოდა-თქმ. თერმოდინამიკაზე ქონდათ მათ გადატანილი მთელი ურადღება და რას ნიშნავს ეს უარყოფითი სპინური ტემპერატურა, არ იყო ცხადი; არე იყო წითელი. დაქტიურად, სისტემა კი არ შთანთქავს, არამედ აძლიერებს დაცემულ ტალღას. ამიტომ არის კვანტური გამაძლიერებელი თქვენს მიერ პირველად აღმოჩენილი და ეს რომ დაგეწერათ თქვენ, მოხსნიდით პრიორიტეტებს, რადგანაც ბასოვმა და პროხოროვმა თქვენს, რომ აი ამ სისტემაში შეიძლება გენერატორი გავაკეთოთ, თუ მოვახდეთ მოლეკულების ზონდირებას". ორ მდგომარეობაში ხომ გვაქვს ელექტრონებით დასახლება- ერთს გაფართოვან ტაჟ. მეორეს დავაფორუქსირებ, მივიღებთ გენერატორს. ზედა დონეზე, რომ იქნება ზედმეტი ელექტრონები, მაშინ არომი გამოისხვების, თუ ენერგიის შენაძენი მეტია დანაკარგზე გენერაციას მიიღებ. ენერგიის მუდმივობის კანონიდან გამომდინარე, ეს იდეა 1951წელს მოუწიდა სემინარებზე პაუნდსაც.

გივი სუციმშელი სულ მეუბნებოდა, რომ გამეკეთებინა საკუნდიდატო და დავიცავი დაბალ ტემპერატურებზე „ეპრ“-ის შესახებ. ეს არის პირველი გამოკვლევები დაბალ ტემპერატურაზე საბჭოთა კავშირში ბლინის სტილში. აკადემიკოსი ე.ზაფოლისკი იყო ჩემი ოპონენტი საკუნდიდატოზე და თქვა, რომ ეს შრომები ძალიან ჰვაეს ბლინის შრომებს. ბატონი გივი იყო ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი.

